უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყანაში. ტრეფიკინგი იწყება წარმოშობის ქვეყანაში დაქირავებით, სიღარიბესთან უშედეგოდ მებრძოლი ადამიანების მოტყუებით, რომლებიც გამოსავლის არარსებობის გამო ადვილად იჯერებენ ტყუილ დაპირებებს კეთილმოწყობილი სამუშაო ადგილების შესახებ. ქვეყნიდან გასასვლელი დოკუმენტების მომზადება, საზღვრის გადაკვეთა - ეს ის მომენტებია, სადაც "იკვებებიან" არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკები და ტურისტული ფირმები. მას მოჰყვება: მოტყუება, დაშინება, შანტაჟი, ძალადობა. ეს ყველაფერი ხდება დანიშნულების ქვეყნის ტერიტორიაზე. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული ხდება ერთადერთი მიზნით: მოგების მიღება მუშახელის დაუზოგავი ექსპლუატაციის გზით და ესეც დანიშნულების ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება. მოგება რჩება დანიშნულების ქვეყნის ბიუჯეტში.

მიუხედავად ტრეფიკინგისა და ადამიანებით კონტრაბანდული ვაჭრობის (trafficking and smuggling) დეფინიციებში არსებული უთანხმოებისა, სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც აღიარებენ, რომ ტრეფიკინგი გლობალური პრობლემაა და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ერთიანი პოლიტიკის საფუძველზე არსებულ აქტიურ მოქმედებებში ხედავენ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, ძირითადად, იაფი მუშახელის წყაროს წარმოადგენენ. 90-იანი წლებიდან რეგიონში დანიშნულების ერთ-ერთი ძირითადი ქვეყანა თურქეთი იყო. საქართველო ასურბაიჯანისა და სომხეთის

მოქალაქეებისათვის თურქეთში გასასვლელი სატრანზიტო ქვეყანაა. თურქეთიდან სამხრეთ კავკასიის მოქალაქეები მიემგზავებიან იტალიაში, საბერძნეთში, მთელ ევროპაში და ზოგჯერ არცთუ მთლად დეკლარირებულ გზით (გასვლა თურქეთ-ბულგარეთის და ბულგარეთი-საბერძნეთის საზღვრის მეშვეობით).

2004 წელს პირველად გაკეთდა და გამოქვეყნდა IOM Turkey –ის მოხსენება, რომელშიც მოყვანილია თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები. თურქეთში ყოველწლიურად 300-დან 350 ათასამდე ადამიანი ჩადის მხოლოდ საქართველოდან და ასურბაიჯანიდან. თურქეთში არალეგალური მიგრანტების რაოდენობამ 1995-2002 წლებში შეადგინა: ასურბაიჯანიდან – 6352 ადამიანი, საქართველოდან – 8113.

IOM Turkey-ის მონაცემებით	1998	1999	2000	2001
საქართველოდან ყოველწლიურად ჩასული ადამიანების რაოდენობა	202.000	181.200	180.500	162.700
ცხოვრების უწყლებით				761
მუშაობის უწყლებით				162
მოქალაქეობა მიიღეს ქორწინებით სულ				979
არალეგალური მიგრანტების რაოდენობა სულ				8.113
დეპორტირებულია	1.722	1.690	2.670	2.527

პოსტ-სოციალისტური სივრცის ზოგიერთი ქვეყნიდან თურქეთში შესული მოქალაქეების დეპორტაციის მიზეზები:

IOM Turkey –ის მონაცემები	პროსტიტუცია	ვადაგასული ვიზა	არალეგალური შესვლა	არალეგალური სამუშაო	სხვა	სულ
ასურბაიჯანი	695	549	26	188	628	2086
საქართველო	813	768	114	70	762	2527
რუსეთი	615	296	14	33	296	1254

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან თურქეთში 5-6-ჯერ მეტი ადამიანია შესული, ვიდრე საქართველოდან, თურქეთიდან საქართველოს ორჯერ მეტი მოქალაქეა დეპორტირებული, ვიდრე რუსეთის.

1996-2001 წლებში თურქეთიდან დეპორტირებულია 3606 ქალი და ბჰჰპ-თი დააგადებული 1626, სულ 5232. 2002 წლის პირველ ნახევარში მოხდა საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია: ტრამპონიდან – 107, ანტალიიდან – 77, სტამბულიდან – 91, ანუ 275 ადამიანი, ხოლო მთლიანად თურქეთიდან – 752. დღეისათვის ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა, რადგან საქართველოში ტრეფიკინგის პრობლემა სახელმწიფომ მხოლოდ 2003 წლის ზაფხულში აღიარა და პრობლემის სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საანონსებო ბაზა

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა რიგ საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვის, მთავრობათშორისი მხარდაჭერისა და დანაშაულებრივი საქმიანობის აღმოფხვრასთან. აღნიშნულთაგან რამდენიმე საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი ეხება ადამიანების ვაჭრობას (ტრეფიკინგს). ესენია:

1) "კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ." საქართველოში ძალაში შევიდა 1994 წლის 21 აპრილიდან;

- 2) "კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ." ძალაში შევიდა 1994 წლის 2 ივლისს;
- 3) "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია." ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს;
- 4) "1959 წლის 20 აპრილის ევროპის კონვენცია "კრიმინალურ საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ." ძალაში შევიდა 2000 წლის 11 იანვარს;
- 5) "შეთანხმება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოების (BSEC) მთავრობებს შორის დანაშაულის, განსაკუთრებით, მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ." ძალაში შევიდა 2000 წლის 27 ივლისს.

ამ დოკუმენტში მოცემული მოთხოვნებისა და მათი შესრულებისათვის წარმოდგენილი ვადების მიუხედავად, ამ მიმართულებით არანაირი აქტიური ნაბიჯი არ გადადგმულა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მოთხოვნათა განხორციელების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული იქნა რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც ადამიანთა ვაჭრობას (ტრეფიკინგს) შეეხება:

- 1) №284, 3 ივნისი, 1997 წელი - "საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფი სომების შესახებ."
 - 2) №351, 7 ივლისი, 1997 წელი - "უშიშროების საბჭოს მიერ ადამიანთა უფლებების დაცვის დაუყოვნებლივი სომების შემუშავების მიზნით შიდა უწყებრივი კომისიის შექმნის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ."
 - 3) №511, 28 აგვისტო, 1999 წელი - "საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის სომების გაძლიერების შესახებ."
 - 4) №39, 6 თებერვალი, 2000 წელი - "1999 წელს გატარებული სამუშაოს შედეგები და 2000 წლის მიზნები სასამართლო რეფორმის კანონის წესის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განვითარებაში."
 - 5) №64, 25 თებერვალი, 2000 წელი - "ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის დამტკიცების შესახებ (2000-2002 წლები)."
 - 6) №48, 20 თებერვალი, 1998 წელი - "ქალთა განვითარების პოლიტიკის შექმნის მიზნით სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ."
 - 7) №8, 18 ივნისი, 1998 წელი - "2001-2004 წლებში საქართველოში ქალთა პირობების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ."
 - 8) №240 17 მაისი, 2002 წელი - საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება "საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ"
 - 9) 2003 წლის 17 იანვრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №15 "ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის დამტკიცების შესახებ."
- გარდა აღნიშნულისა, 2002 წლის 18 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა დადგენილება №1454 - "ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სათანადო ღონისძიებათა გატარების შესახებ", რომელიც შეიცავდა რეკომენდაციას საქართველოს პრეზიდენტისათვის, რათა პარლამენტისათვის წლის ბოლომდე რატიფიცირებისათვის წარედგინა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ და მისი მეორე დამატებითი ოქმი „ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით, ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და აღმნაშავის დასჯის შესახებ“.

აუცილებელია აღინიშნოს აშშ-ს ანტი-ტერორიზმული კანონის დიდი როლი, რომელიც ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნებში აშშ-ს საელჩოების აღნიშნულ საქმეზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ მოხსენებისთვის ინფორმაციის შეგროვებას. ინფორმაციას იღებენ სახელმწიფო სტრუქტურების, ომბუდსმენის ინსტიტუტის, იმ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინტერვიუების საშუალებით, რომლებიც მუშაობენ ქვეყანაში ადამიანთა უფლებებისა და ტერორიზმის საკითხებზე. ტერორიზმის მონიტორინგისა და აღკვეთის ოფისი ამზადებს მოხსენების პროექტს, იყენებს მოპოვებულ ინფორმაციას და წარუდგენს მას აშშ-ს მთავრობას, ტერორიზმის პრობლემის მიმართ სახელმწიფოების პროგრესის შესაფასებლად.

2003 წლის მოხსენება დიდად არ განსხვავდებოდა 2002 წლის ანგარიშისგან. მითითებული იყო, რომ საქართველოს კანონმდებლობას არ გააჩნია სპეციალური ანტი-ტერორიზმული კანონი და არ არის ტერორიზმით დაზარალებულთა დასაცავად მიმართული მიზნები. აღნიშნული იყო ასევე ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტი-ტერორიზმული განყოფილებამ ვერ მიიღო საკმარისი დაფინანსება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

2003 წლის 10 სექტემბერს გამოქვეყნებული იქნა ინფორმაცია მესამე ჯგუფს მიკუთვნებული ქვეყნების (რომლებმაც სომეხი მიიღეს თანამშრომელი მონობის აკრედიტაციისთვის) ბოლო სამ თვეში მიღწეული წარმატებების შესახებ.

ასეთი ათი ქვეყანაა: ბელიზი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, დომინიკის რესპუბლიკა, საქართველო, საბერძნეთი, ჰაიტი, ყაზახეთი, სურინამი, თურქეთი და უსბეკეთი.

ყველა ამ ქვეყანას ჰქონდა წინსვლა: მიიღეს ანტი-ტერორიზმული კანონმდებლობა, სომეხი მთავრები დააფინანსა ტერორიზმის მსხვერპლთა დახმარების პროგრამები, შეიქმნა ეროვნული (ნაციონალური) მექანიზმები ტერორიზმთან ბრძოლისა და ტერორიზმის დევნისათვის. ჩატარდა ტერორიზმის პრევენციის საინფორმაციო კამპანიები; თითოეული ქვეყნის თანამდებობის პირები, ქვეყანათა მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრებისა და სხვა თანამდებობის პირთა ჩათვლით, აღნიშნავენ, რომ ტერორიზმი არის ადამიანთა უფლებების მკვეთრი დარღვევა. ამ დადებითმა მოქმედებებმა აშშ-ს მთავრობის აღიარება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

ტერორიზმის მსხვერპლთა დაცვის კანონის თანახმად, 2003 წელს, პირველად, ამერიკის პრეზიდენტს უნდა განესაზღვრა ტერორიზმთან ბრძოლაში ქვეყნების მიღწევის დონე. იენისის მოხსენებაში შეფასდა 116 ქვეყანა და 15 მათგანი მოათავსეს მესამე რიგში. მესამე რიგში ათავსებენ ქვეყნებს, რომელთა მთავრობებსაც არ მიუღიათ არსებითი ძალისხმევა და არ აკმაყოფილებენ მინიმალურ სტანდარტებს.

მოხსენება ქვეყნდება იენისის დასაწყისში. 2003 წელს, ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, მესამე ჯგუფში მოხედრილ ქვეყნებს მიეცათ სამი თვე ანტი-ტერორიზმული კანონით გათვალისწინებული სანქციების შესასრულებლად. შემდეგ მდივანმა განიხილა ამ 15 მთავრობის ძალისხმევა ადამიანების ვაჭრობის სფეროში და გადაწყვიტა, რომ შემოთხსენებული ქვეყნებიდან მეორე რიგში მოსახვედრ სტანდარტებში შესაბამისობაში მოსაყვანად არსებით სომეხს იღებს 10 მთავრობა. მათ შორის იყო საქართველოც.

მთავრობის განზრახვა ნათლად წარმოაჩენს მათ სწრაფვას ამ პრობლემის გადაწყვეტისა და სერიოზული თანამშრომლობისაკენ.

შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები იწყებენ ბრძოლას ამ ეროვნებათშორის დანაშაულთან – მონობის თანამედროვე ფორმასთან¹, – ნათქვამია 2003 წლის 10 სექტემბერს.

აშშ-ს მთავრობის მიერ დადგინებული ზომები იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც ანაპროფიტაჟი სჩადიან მონობის სახანძარს

აშშ-ს პოლიტიკა არ ითვალისწინებს არაპუმანიტარული დახმარების აღმოჩენას ქვეყნებისთვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს.

კონგრესის შესაბამისი კომიტეტი სახელმწიფო სამდივნოსგან იღებს რამდენიმე ტიპის ანგარიშს, რომელიც აღწერს ტრეფიკინგთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას. ესენია:

1. წლიური ანგარიში.

ყოველწლიურად, არა უგვიანეს 30 აპრილისა, სახელმწიფო სამდივნომ უნდა წარუდგინოს ანგარიში კონგრესის შესაბამის კომიტეტს ტრეფიკინგთან დაკავშირებული არსებული სიტუაციის შესახებ. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს იმ ქვეყნების სიას, რომლებიც უნდა იღებდნენ ზომებს ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად და იმ ქვეყნებისა, რომლებიც ამ მინიმალურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებენ. ეს ანგარიში ასევე შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისა და ქვეყნების შესახებ, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი ზომები.

2. პერიოდული ანგარიშები

სახელმწიფო სამდივნომ ასევე შეიძლება წარუდგინოს კონგრესის შესაბამის კომიტეტს პერიოდული ანგარიშები, როგორცაა ინფორმაცია ტრეფიკინგის მიმომ ფორმებისა და ქვეყნების შესახებ, რომლებიც აღარ აკმაყოფილებენ მინიმალურ სტანდარტებს ტრეფიკინგთან ბრძოლაში.

უწყება. 2002 წლიდან ყოველ ფისკალურ წელს, ყოველი ქვეყნის შესახებ, რომლებსაც მოეთხოვებათ ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება და რომლებიც ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, აშშ-ს პრეზიდენტი ვალდებულია კონგრესის შესაბამის კომიტეტს წარუდგინოს რომელიმე შემდეგი უწყება, არა უადრეს 45 და არა უგვიანეს 90 დღისა:

1. არაპუმანიტარული დახმარების შეწყვეტა: აშშ არ გაუწევს პუმანიტარულ დახმარებას იმ ქვეყნის მთავრობას, რომელიც არ დააკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს მომავალ ფისკალურ წლამდე.
2. თუ ამ სახელმწიფოს მთავრობას ეს დახმარება უკვე მიღებული აქვს, აშშ აღარ დაფინანსებს ამ მთავრობის ოფიციალურ პირთა მონაწილეობას კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში და შეუწყვეტს დაფინანსებას მომდევნო ფისკალური წლისთვის, სანამ ეს მინიმალური სტანდარტები არ იქნება დაკმაყოფილებული.
3. პრეზიდენტი მიმართავს განვითარების მულტილატერალური ბანკების აღმასრულებელ დირექტორებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს,

¹ Press Statement Richard Boucher, Spokesman

რომ მხარი არ დაუჭირონ ამ ქვეყნისთვის რაიმე სესხის ან სხვა ფონდების გაცემას მომდევნო ფისკალური წლის განმავლობაში, სანამ ეს სახელმწიფო არ დააკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს (გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა, განვითარებისთვის ხელშეწყობისა, რომელიც კონკრეტულად ეხება ამ ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მოთხოვნილებებს და არ არის ადმინისტრირებული მთავრობის მიერ).

4. პრეზიდენტს ასევე შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება სხვა საერთაშორისო არაჰუმანიტარულ დახმარებებსაც.

საპარლამენტო ანონსები სავაჭრო

2002 წლისთვის უკვე არსებობდა იმ მუხლის პროექტი, რომელიც შესწორების სახით უნდა შესულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. იგი შეიცავდა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციას და ითვალისწინებდა სასჯელს ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენისთვის.

მხოლოდ 2003 წლის ივნისში, როცა საქართველო აღმოჩნდა მესამე ჯგუფში (აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც გაკეთდა საქართველოში სიტუაციის მონიტორინგის საფუძველზე აშშ-ს ანტი-ტრეფიკინგული კანონის შესაბამისად), ცვლილებები შეიტანეს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ძალაში 2003 წლის 10 ივლისიდან შევიდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წლის 6 ივნისს შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები, რომლის მიხედვითაც ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) გამოცხადდა სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებად. აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 143¹ და 143² მუხლები, რომელთა მიხედვით, ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) გულისხმობს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირებას, გადაყენას, გადამაღვას ანდა მიღებას ექსპლუატაციის მიზნით.

ადამიანის ექსპლუატაციად კი, ამავე მუხლების მიხედვით, ჩათვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის, ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწყობისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

აღნიშნულ მუხლებს გააჩნია ასევე მაკვალიფიცირებული ნიშნები, რომელთა მიხედვით მიიმდებოდა პასუხისმგებლობა. ასეთ მაკვალიფიცირებულ ნიშნებს კი წარმოადგენს იგივე ქმედება, თუ იგი ჩადენილია:

- ა) არაერთგზის;
- ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- გ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

- დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- ე) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
- ვ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
- გ) წინასწარი შეცნობით უმწყო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავესე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, ნადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ჰ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ზემოთაღნიშნული დამატებების მიხედვით, ასევე განისაზღვრა ვალდებულება გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში მომზადებულიყო კომპლექსური ხასიათის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის, აღნიშნული დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების, ასევე ამ დანაშაულის შედეგად მსხვერპლად ცნობილ პირთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) საქართველოს წარმომადგენლობის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და რიგ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადებული იქნა კომპლექსური ტიპის კანონპროექტი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ“.

კანონპროექტი განსაზღვრავს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, თანამდებობის პირთა, სახელმწიფო ორგანოთა და არასამწევრმოყო იურიდიულ პირთა უფლებამოსილებას, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში, ასევე ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

2006 წლის მარტის ბოლოს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

ამ კანონის მე - 4 მუხლში, „სახელმწიფო პოლიტიკა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“, წერია: სახ.მ.წიფო თავისი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ღონისძიებებს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად.

2005-06 წლებში სტრატეგიის მიხედვით უსაფრთხოების სამსახურის ბაზისზე

ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის მომზადდა სპეციალური პროექტი. პროექტის განხორციელების I ეტაპზე 2004 წლის 11-დან 18 ივნისის ჩათვლით შეიქმნა სამქმედო გეგმა და მოწყო მათი სამუშაო ვისიტი კიევა და ოდესხაში (უკრაინა). სამქმედო გეგმის შედეგობადა სახელმწიფო სტრუქტურების

წარმომადგენლების საგან, არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოში ეუთო-ს მისიის თანამშრომლებისაგან. ჯგუფი ხედვოდა უკრაინაში ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს, მოხდა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც წინასწარ დაგეგმილი პროგრამის მიხედვით ჩატარდა. პროექტის განხორციელების I ეტაპის ძირითად მიზანს წარმოადგენდა:

- მეთოდოლოგიის გაცნობა-შესწავლა, რომელიც შემდგომში დაეხმარება ქართველ სპეციალისტებს მოახდინონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მართებული იდენტიფიკაცია და მათთვის კვალიფიციური დახმარების დროულად აღმოჩენა.
ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადაყვანა და მათი დაცვის მექანიზმების შექმნა, და ეოველივე ამის სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანა (ეროვნული რეფერალური მექანიზმების შექმნა).

შეხვედრების მიმდინარეობის დროს უკრაინელი კოლეგები გეიზარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, რომელიც ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლის მექანიზმებს ეხებოდა, ასევე ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, ქართველ და უკრაინელ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

შეხვედრებმა ცხადყო, რომ საჭირო იყო შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ტრენინგების ჩატარება პროფესიული ჯგუფებისათვის (“ცხელი ხაზის” თანამშრომლებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, პოლიციელებისთვის, ოპერატიული თანამშრომლებისთვის, მოსამართლეებისთვის და ა.შ.).

ერთობლივი შეხვედრების და კონფერენციების ჩატარება, ქვეყნებს შორის ქსელური მუშობის ორგანიზების მიზნით.

ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო სტრუქტურების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არასამთავრობო სექტორში ტრეფიკინგის პრობლემაზე მომუშავე პროფესიონალები და ექსპერტები უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურებში.

უკრაინელი სპეციალისტები ტრეფიკინგის პრობლემაზე სამართლებრივი კუთხით 1998 წლიდან მუშაობენ. მათთან მუდმივმა ურთიერთობამ ჯგუფის წევრებში წარმოშვა ბევრი საინტერესო მოსაზრება და იდეა, რომელთა განხორციელება შესაძლებელია მოხდეს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზეც. ამგვარი შეხვედრების ორგანიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საწყის ეტაპზე, რათა მომხდარიყო ტრეფიკინგის სფეროში მომუშავე სპეციალისტების გაერთიანება და მომავალი ერთობლივი სამუშაოების დასახვა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო პროექტის განხორციელების II ეტაპი. სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემოთავაზებულ იქნა წინადადება: შემუშავდეს საქართველოში ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულების 5 ჯგუფში:

1. საკანონმდებლო ბაზის შექმნა (მოდერატორი - გ. გოგობერიძე).
2. ტრეფიკინგის აღმოფხვრა (მოდერატორი - თ. იასუშივილი).
3. მიგრაციული პრობლემები (მოდერატორი - ა. ნალბანდოვი).
4. საინფორმაციო-საგანმანათლებლო სამუშაოები (მოდერატორი მ. გოგოლაძე).

5. დასარალებულთა დაცვა (მოდერატორი - წ. ნასაროვა).

ჯგუფის წევრებმა მუშაობის ძირითად მიმართულებად აირჩიეს ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფცია, ორმლის თანახმად, ტრეფიკინგი განიხილება, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს და პრაქტიკაში გაატაროს სათანადო პოლიტიკა, რათა საკუთარ ტერიტორიაზე აღმოფხვრას ტრეფიკინგის შემთხვევები და სათანადო დახმარება აღმოუჩინოს თანახმად, დასარალებულებს. ამ მიდგომის ფარგლებში მიღებულ იქნა შემდეგი სახის შეხედულება, რომ ტრეფიკორების მიერ სხვისი გასამრჯელოს უკანონოდ მითვისება, შეურაცხყოფა, ძალადობა, სამუშაოს შესრულება იძულების წესით, თავისუფლების შეზღუდვა და მუშაობის მძიმე პირობები ადამიანის უფლებათა დარღვევას წარმოადგენს. მოხლოდ ამგვარი მიდგომა შეუწყობს ხელს, რათა დაიწყოს დაუძინებელი ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ და მოხდეს დასარალებულებისათვის დახმარების დროულად გაწევა.

ჯგუფის წევრების შეხედრები რეგულარულად ტარდებოდა საქართველოში ეუთოს მისიის ხელშეწყობით. თითოეულ ჯგუფში მუშაობდა 7-15 ადამიანი, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორიდან. უკრაინაში ყოფნის პერიოდში და ეუთოს მისიის თბილისის ოფისის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ წარმოადგენილ მასალებზე დაყრდნობით, ხელმოქმედებებმა შეიმუშავეს სხვადასხვა მიმართულებები, რომლებსაც ახორციელებდნენ შესაბამისი პროფილის ჯგუფებში. დასასრულს ჯგუფების მონაწილეთა შორის მოხდა პრობლემის ირგვლივ არსებულ აზრთა შეჯერება და ერთ მთლიანობაში მოქცევა. სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობის დამთავრების შემდგომ იგი ითარგმნა რუსულ და ინგლისურ ენებზე, შესწორებების შესატანად იმ სამინისტროებისა და უწყებების მისამართებზე დაიგზავნა, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. სამოქმედო გეგმის პროექტი, ასევე გაგზავნილ იქნა საქართველოს, უკრაინის და სომხეთის არასამთავრობო და სავრთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც დანიტერესებული არიან ტრეფიკინგის საკითხებით. სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ორგანიზაციების თანამშრომლებმა: "ინსტიტუციონალური რეფორმები და არაფორმალური სექტორი" (IRIS), "კათოლიკური დახმარება საქართველოში" (CRS), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), მიგრაციული პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD).

2004 წლის 11 ნოემბერს თბილისში შედგა კონფერენცია, რომელზეც განხილულ იქნა სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი. კონფერენციისთვის მზადების პერიოდში შეიქმნა მე-6 ჯგუფი მონიტორინგის პრობლემებთან დაკავშირებით (მოდერატორი - ზ. მხეიძე), ხოლო მე-2 ჯგუფის ფასილიტაცია დაევადა ლ. შატბერაშვილს. კონფერენციის მთავარ ექსპერტად მოწვეულ იქნა ქინ გვრტა ტოერმანი (ICMPD). ასევე კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა: ქინი მილა გავერლოვა (ბულგარეთი, წარმომადგენელი CRS-დან), რ. გულნასარიანი (სომხეთში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ოფისის წარმომადგენელი).

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სტრუქტურების 50-მდე წარმომადგენელმა, საერთაშორისო ორგანიზაციების 17-მა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების 12-მა თანამშრომელმა, საქართველოში დიპლომატიური მისიების ხუთმა წარმომადგენელმა.

კონფერენციის მონაწილეები დაეკავით 6 მცირე სამუშაო ჯგუფად და წარუვადგინეთ სამოქმედო გეგმის შესწორებული ვარიანტი. რადგანაც

სამინისტროებმა და უწყებებმა მოგაწოდეს საკმაოდ ფასეული შენიშვნები და კომენტარები, ჩვენ ისინი გავითვალისწინეთ სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტში. კონფერენციაში მონაწილე ექსპერტებს მიერ მიღებული კონცენტრირება კონკრეტული საკითხების ირგვლივ და საბოლოო დასკვნების გამოტანა.

კონფერენციის მუშაობის მეორე დღეს ჯგუფების ხელმძღვანელებმა, ანტი-ტრეფიკინგული სამუშაო ჯგუფის წევრებმა და ექსპერტებმა განიხილეს კონფერენციის პირველ დღეს მომუშავე მცირე ჯგუფების მიერ მიღებული შედეგები და მოილაპარაკეს შეეცანათ დამატებითი შესწორებები სამოქმედო გეგმის პროექტში. ასევე იმსჯელეს სამოქმედო გეგმის ხორცშესხმის და პრაქტიკაში გატარების მექანიზმების შესახებ, შემუშავეს მარეგულირებელთა სისტემა, რომლითაც მომავალში სამოქმედო გეგმაში დასახული სამუშაოების შეფასება მოხდება.

შემდეგ ეტაპზე სამოქმედო გეგმა და თანდართული მასალები განსახილველად გადაეცა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებას, სადაც მოხდა მისი კიდევ ერთხელ დახვეწა და შეთანხმება სამინისტროებსა და უწყებებთან. საქართველოს პრეზიდენტის მ.სააკაშვილის მიერ 2004 წლის 29 დეკემბერს ხელი მოეწერა ბრძანებულებას (№623), რომელიც ამტკიცებს წარდგენილ სამოქმედო გეგმას მცირედი შესწორებებით.

2004 წელს ერთობლივი სექტორთაშორისი და უწყებათშორისი საქმიანობის გამოცდილებამ 2005-06 წლების რეალისტური და კომპლექსური სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე მიგვიყვანა, რომელიც მოიცავს ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა აღკვეთას, ხელს უწყობს პრობლემის პრევენციას და ტრეფიკინგით დაზარალებულთათვის დახმარების გაწევას.

2004 წლის 11 ნოემბერს თბილისში გამართული კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ 2005 წლის ბოლოსთვის მონიტორინგის შედეგების მიხედვით მოახდინენ 2006 წლის სამოქმედო გეგმის კორექტირებას. ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სამოქმედო გეგმის ოპტიმიზაციისათვის მონიტორინგს განახორციელებს კომისია.

პროვანი სამუშაო ხაზი

სამოქმედო გეგმის პროექტი და შესაბამისი მასალები გადაეცა უშიშროების საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილებას საბოლოო რედაქტირებისათვის, აგრეთვე, სამინისტროებთან და სხვადასხვა უწყებებთან შესათანხმებლად. ერთობლივად შემუშავდა მოქმედებათა გეგმის რეალიზაციის ინდიკატორები, რომელიც წარედგინა საექსპერტო ჯგუფს.

2005 წლის 1 თებერვალს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა № 50 ბრძანებულებას საქართველოს უშიშროების საბჭოსთან არსებული დროებითი უწყებათშორისი კომისიის შექმნის შესახებ.

კომისიის შემადგენლობაში არიან მინისტრის მოადგილეები, საერთაშორისო და ორი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის (*GILA*-ს და *PHDS*) წარმომადგენლები.

კომისიის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისა და ამ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოსაფხვრელად მიმართული ღონისძიებები

განხორციელებისათვის წინადადებების შემუშავება, უშიშროების საბჭოსთვის მისი წარდგენა განსახილველად.

2. პრეზიდენტისთვის კანონმდებლობაში წინადადებებისა და ცვლილებების შეტანისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებების უსრუნველყოფის საკითხების წარდგენა.
3. საქართველოს უშიშროების საბჭოსთვის განსახილველად ანალიტიკური ნარკვევების მომზადება საქართველოდან წასული მიგრანტების მდგომარეობისა და მათი უფლებების დაცვის შესახებ; მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებელი წინადადებების შემუშავება.
4. საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენი წინადადებების ერთობლივი შემუშავებისთვის ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში იმ სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც დაკავშირებული არიან ტრეფიკინგის საკითხებთან.
5. საქართველოს პრეზიდენტისთვის არალეგალურ შრომით მიგრაციასთან და ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნისა და გაძლიერებისთვის საჭირო წინადადებების წარდგენა.
6. არალეგალურ შრომით მიგრაციასთან და ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.
7. ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის.
8. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციების განხილვა და მათ საფუძველზე შესაბამისი მოხსენებების მომზადება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის.

დანართის ბაზოცნა

2003 წლის იანვარში, ჯერ კიდევ სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებების შეტანამდე ანუ ტრეფიკინგის კრიმინალიზაციამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ტრეფიკინგთან ბრძოლის ქვე-განყოფილება.

2003 წლის იანვარში შექმნილი ტრეფიკინგის საწინააღმდეგო განყოფილება 2004 წლის ივლისში დაშალეს. 2004 წლის ნოემბერში 10 ადამიანის შემადგენლობით ხელახლა დააკომპლექტეს განყოფილების სახით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტში. 2005 წლის თებერვალში შეიქმნა ანტი-ტრეფიკინგული სამმართველო, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგება – ტრეფიკინგთან ბრძოლის და თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის.

გაისარდა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოვლენა, რადგან აქტიური მუშაობა დაიწყო ანტი-ტრეფიკინგულმა დეპარტამენტმა; გაძლიერდა პროკურატურის უედამხედველობა პოლიციის გამოძიებებზე.

2003 წლის 6 ივნისიდან 2005 წლის 18 მარტამდე საქართველოს პროკურატურის საქმის წარმოებაში ტრეფიკინგის მუხლით აღძრული იყო 23 საქმე, უშიშროების დეპარტამენტის მიერ – ოთხი საქმე, სულ 36 პირის წინააღმდეგ, რომელთაგან 29 ქალია, ხოლო 7 – მამაკაცი. დაპატიმრებულია 25 ადამიანი (20 ქალი და 5 მამაკაცი). სასამართლოში გადაცემულია შეიდი საქმე. 2005 წლის ბოლოსთვის განაჩენი გამოტანილია 5 პირის მიმართ.

საქართველოში სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ დადგენილია ტრეფიკინგით დასარალებული 64 ადამიანი. მათ შორის, უფროსები – 48 ქალი 18-დან 35 წლამდე, 1 მამაკაცი; ბავშვები – 11 არასრულწლოვანი, 4 – ახალშობილი.

ასევე გამოვლენილია პროსტიტუციაში ჩაბმის 59 შემთხვევა, 1 – შრომითი ექსპლუატაცია, 4 – ბავშვებით ვაჭრობა.

თურქეთის მონაცემების მიხედვით, 2004 წელს საქართველოს 16 მოქალაქე იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ცნობილი გახდა ახალგაზრდა მამაკაცთა ტრეფიკინგის ორი შემთხვევა თურქეთიდან აფხაზეთში. პირველი ჯგუფი ითვლიდა 10 ადამიანს, ხოლო მეორე – 4-ს.

საქართველოში ადამიანებით ვაჭრობა ძირითადად ხორციელდება შრომის ექსპლუატაციის, მოქმედების უკანონო ფორმების, სექსუალური ექსპლუატაციისა და ორგანიზებული მათხოვრობის მიზნით.

ადამიანებით ვაჭრობის სფეროში 2000-02 წლებთან შედარებით ახალი ტენდენციები შეიმჩნევა, რაც უკავშირდება მარშრუტებს, ადამიანებით მოვაჭრეთა მეთოდებს, დანიშნულების ქვეყნებს. მაგალითად, 4-5 წლის უკან ადამიანები ძირითადად გაჰყავდათ თურქეთში, ახლა კი – საბერძნეთსა და ესპანეთში.

- 2004-05 წლებში საქართველოში შეიცვალა საპასპორტო მაგიდის ყველა უფროსი, მთელი ხელმძღვანელობა სამართალდამცავ ორგანოებში, სასლერის დაცვის სტრუქტურების ჩათვლით. ამან დაარღვია ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოძახებისა და ტრანზიტის აწყობილი ჯაჭვები. ამავე დროს, სახელმწიფო სტრუქტურებში პერმანენტული გადანაცვლებებისა და რეორგანიზაციების გამო, შემცირდა სახელმწიფო კონტროლის დონე და სავარაუდოა, რომ არ არსებობს პოსიტიური ეფექტი.
- ცალკეულ შემთხვევებში ტრეფიკორები აღარ ართმევენ პასპორტებს მოქალაქეებს და გაჰყავთ ისეთ ადგილებში, საიდანაც ძნელია გაქცევა (მაგ. კაბადოკიის მსგავსი ადგილები თურქეთში). ტრეფიკორების საქციელი იმით აიხსნება, რომ არ დაადანაშაულონ ტრეფიკინგში.
- რუსეთში კავკასიური წარმოშობის პიროვნებების მიმართ ადგილი აქვს დისკრიმინაციას მკვლელობის ჩათვლითაც კი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე.

არის რუსეთში (ირდ. ოსეთი) ბავშვების სამათხოვროდ გაყვანის ფაქტები.

საქართველოში ატაფინანსთან ბიძოლის სისხაშის მუშაობის მუდებანი

არსებობს მოქმედებათა ეროვნული გეგმა ტრეფიკინგის წინააღმდეგ, რომელიც შემდეგ სფეროებს მოიცავს: ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის ყველა ფორმა, ცოდნის ამაღლება, გამაფრთხილებელი ზომები, მსხვერპლის დაცვა და დახმარების აღმოჩენა, სასამართლო დევნა, კადრების მომზადება, კანონმდებლობის რეფორმა, კვლევები.

ნაციონალური გეგმის რეალიზაციისათვის მოიზიდება: სახელმწიფო ფონდები, საერთაშორისო დახმარება განვითარების მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებების ექსპერტები.

არსებობს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მოქმედებათა ეროვნული გეგმის სხვა მონაწილეთა შორის შრომისა და პასუხისმგებლობის მკვეთრი გამიჯვნა და რეალიზაციის დროებითი ჩარჩოები.

ბოლო დროს არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები იძულებული ხდებიან აქტიურად იმოქმედონ პრეზიდენტის ბრძანებულებისა და უშიშროების საბჭოს აქტიური მუშაობის სეგაველენით, რომელიც ახორციელებს ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების საშუალებით ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროში სწავლის შესაძლებლობა ეძლევა: სამართალდამცავ ორგანოებს, მოსამართლეებს, ბრალმძებლებს, საკონსულტო, საემიგრაციო და სასახლდრო სამსახურების თანამშრომლებს.

2005 წლის ბოლოს ხელახლა უნდა განიხილონ მოქმედებათა გეგმა მისი ოპტიმიზაციის მიზნით.

საქართველოში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებობს ნდობის ტელეფონი, რომელიც ორიენტირებულია მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებზე. მიგრაციის საკითხებს კი პირდაპირი კავშირი აქვთ ტრეფიკინგის პრობლემასთან.

არსებობს უწყებრივი თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, პოლიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ადგილობრივ ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

ადამიანებით ვაჭრობის ბრძოლის წინააღმდეგ არსებული ეროვნული გეგმის რეალიზაციისას მიღწეული წარმატებების კონტროლს ანხორციელებს საქართველოს უშიშროების საბჭო. ანტი-ტრეფიკინგული უწყებათაშორისო კომისიის სხდომების ანგარიშები იგზავნება დანტერესებულ სტრუქტურებში.

ადამიანებით ვაჭრობის სფეროში არსებული მონაცემების შესახებ პასუხისმგებლობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს პოლიცია, პროკურატურა და უშიშროების საბჭო (ანტი-ტრეფიკინგული კომისიის მდივანი).

ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია ხდება: პოლიციის საგამოძიებო ღონისძიებებით, კერძო პირებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხშირად თვითონ ტრეფიკინგის იმ მსხვერპლთა ჩვენების საფუძველზე, რომლებმაც დახმარებისათვის პოლიციას მიმართეს.

ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის პროცესში ჩართული არიან: ექსპერტები სამართალდამცავი სტრუქტურებიდან, იურისტები, ფსიქოლოგები, დამოუკიდებელი ექსპერტები.

დახმარების სახეები, რომლებითაც სარგებლობენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლები: საცხოვრებელი ადგილი/თავშესაფარი უსაფრთხო ადგილას, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, იურიდიული დახმარება, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებაში დახმარების აღმოჩენა.

მოხალისეობის საფუძველზე მსხვერპლს აღმოეჩინება დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მხოლოდ გზის ხარჯებს ანაზღაურებს.

2004 წლიდან წარმოშობის ქვეყანაში რეპატრირებული იქნა ადამიანთა ვაჭრობის 30 მსხვერპლი: უფროსები - 13 ქალი უზბეკეთიდან, ერთი ნოგერიელი; ბავშვები - 17 წლის გოგონა უზბეკეთიდან.

პროგნოზი

აღამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტურად მიგვაჩნია შემდეგი საკმეიანობების განხორციელება:

- სპეციალურ პროფესიონალურ ჯგუფებთან მუშაობა;
- მუშაობისა და ქმედებების შეთანხმება, ინფორმაციის გასიარება ქველა დონეზე;
დასარაღებულთა დაცვა და რეაბილიტაცია.

აღამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში უახლოესი მომავლისთვის პრიორიტეტული ნაბიჯები:

- ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრის გახსნა;
- ეროვნული სამოქმედო გეგმის საქმიანობების გადამუშავება 2005 წელს შესრულებული აქტივობების შესაბამისად;
სხვადასხვა სტრუქტურების კოორდინაციის გაძლიერება და ქმედებების შეთანხმება;
სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორს შორის ხელშეკრულების ხელმოწერა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სისტემის შექმნაზე;
- შეთანხმებების ხელმოწერა რეადმისიის შესახებ.

ՎԻՃՈՆԾՅՈՒ
ԸՆՏԱԿՈՑՈՒՄԻ ԹՆՆԱԸՅՈՒ



EUROPEAN
COMMISSION

ICMPD - International Centre for Migration Policy Development
მიგრაციის პოლიტიკის განვითარების სერთაშორისო ცენტრი

აღმინაწილის ტექნიკური

(ამოქმედებული მიხატონი პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო სწავლის სახელმწიფოებრივად, იოსებან) აქტივობის და პროექტის ჩამოყალიბების შემთხვევაში პროექტის დახმარებით (PHD – პოლიტიკის განვითარების პროექტი)

აღმინის უწყებებზე მიმართული მიმართვა

სისხლის სამართლის რეალური დაკავშირებით არსებობს რამდენიმე განსხვავებული შეხედულება და კონცეფცია, რომელთა წარმოშობაც პოლიტიკურ შეხედულებებზე, ისტორიულ განვითარებასა და კულტურასა და მოკიდებული. მიუხედავად ამისა, სასამართლო ფუნქციების ფუნდამენტალური გაგება აშკარად რელევიანტური ხდება, როცა საქმე ეხება სასამართლოს როლის დადგენას ტრეფიკინგთან ბრძოლაში.

აღბათ, ევლასე მნიშვნელოვანი განსხვავება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: სოფი სისხლის სამართლის სისტემას აღიქვამს როგორც ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოს უფლებას დასაჯოს კანონდამრღვევები. ამ შეხედულების მიხედვით, სახელმწიფო იდენტიფიცირებულია სასოგადოებასთან, როგორც ერთ მილიანობასთან. მაგრამ ამ შეხედულების თანახმად, დანაშაულებს გამოძიება არის სახელმწიფოს ძირითადი ინტერესი და ის მიმოხილულია კანონდამრღვევის წინააღმდეგ და საქმის მსვლელობის დროს – მოპასუხე მხარის წინააღმდეგ.

ამი. ს. წინააღმდეგო შეხედულების თანახმად, კითხვის ქვეშ დგება ძირეული ცნება “სახელმწიფოს უფლება დასაჯოს კანონდამრღვევი”. ამ შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ დემოკრატიულ სასოგადოებაში უფლებამოსილი პირები იმისთვის არსებობენ, რომ ხალხს ემსახურონ და გაითვალისწინონ ყოველი პიროვნების უფლებები, რომლებზეც გაველნას მოახდენს მათი ქმედებები. ასე რომ, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის სისტემის ლეგიტიმურობა დამოკიდებულია მათ უნარზე ემსახურონ კანონიერებასა და ინდივიდის კონკრეტულ ინტერესებს.

ეს სახელმძღვანელო მხარს უჭერს სისხლის სამართლის სისტემის მეორე შეხედულებას, რომელიც სისხლის სამართლის სისტემის ცენტრში ათაულებს არა სახელმწიფოს, არამედ ინდივიდების, ადამიანის უფლებებს.

სახელმწიფოში

სახელმწიფოში ან რეგიონში ტრეფიკინგის არსებობის აღიარების მომენტისთან თუ გაველენებთ თვალს, ვნახავთ, რა სწრაფად იზრდება იგი და სტრატეგიული რისკებს უქმნის სახელმწიფოს სტაბილურობასა და მომავალს. ეს სტრატეგიული რისკები რამდენიმეა:

დესტაბილიზაცია არსებულ სექს და შრომით ბაზრებზე
რადგან ტრეფიკინგის მსხვერპლნი არალეგალური სექს და შრომითი ბაზრებისთვის გარედან შემოსულ ძალას წარმოადგენს, არსებობს

პოტენციური საფრთხე, რომ ამ ნიადაგზე გამოიწვევენ ძლიერ დაპირისპირებებს სხვადასხვა კრიმინალური ჯგუფების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის. ტრეფიკორები ხომ გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიან ადგილობრივი კრიმინალურ ელემენტებთან ადამიანთა ექსპლუატაციის ამ მომუშაობიანი ფორმების კონტროლისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს, რადგან ყოველდღიური შემოსავალი ამ დანაშაულიდან ძალიან დიდია. **ორგანიზებული დანაშაულების ზრდა და დივერსიფიკაცია**

ორგანიზებული ტრეფიკინგის დანაშაული იზოლირებულად არ ხდება. როგორც კი ყალიბდება ტრეფიკინგის ქსელი, ის სწრაფად იწყებს დივერსიფიკაციას და ორმხრივად სასარგებლო კავშირებს აყალიბებს უკვე არსებულ ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან. მათ შორის, ისეთებთან, რომლებიც სხვა სფეროებში მუშაობენ (მაგალითად ტერორიზმი, ნარკოტიკებისა და იარაღის ტრეფიკინგი და ა.შ.).

ეკონომიკური დესტაბილიზაცია “ფულის გარეცხვის” რაოდენობის გაზრდით
ფინანსური მოგება, რომელიც პროსტიტუციაში ტრეფიკინგს მოაქვს, მალევე აკავშირებს მას ფულის გათეთრების რთულ ინტერნალურ და ექსტერნალურ ფორმებთან. ეს პროცესი, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ფინანსური და კომერციული ბაზრების მდგომარეობას და იწვევს ეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

დემოგრაფიული დესტაბილიზაცია
იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა ტრეფიკინგი განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწევს, მან შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის დესტაბილიზაცია მაკრო და მიკრო დონეებზე. ეს დაკავშირებულია ქვეყნის გარეთ გაყვანილ მსხვერპლთა და განსაკუთრებით, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა რაოდენობასთან, რომელთა დანიშნულების ადგილიც ერთი სპეციფიური ქვეყანა ან ბასარია.

საზოგადოებრივ სექტორში კორუფციის ზრდა
შეიძლება ითქვას, რომ ტრეფიკინგი და კორუფცია მშვენივრად ერგებიან ერთმანეთს. ამ დანაშაულებათა მრავალშიანი სტრუქტურა სხვადასხვა ინსტიტუტების ოფიციალური პირებისთვის კორუფციაში ჩართვის უთვალავ შესაძლებლობას ქმნის. ნაღდი ფულის დიდი რაოდენობით ყოველდღიური დინება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული კანონდამცავი სტრუქტურების მცდელობებს. ეს მართლაც იდეალური საშუალებაა იმ დანაშაულის ზრდისთვის, რომელსაც კორუფცია ჰქვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტრეფიკინგის დანაშაული დარჩება მისი კავშირი კორუფციასთან, საფრთხეს უქმნის საზოგადოდ სამართლიანობის სისტემას და ამ სისტემისადმი ცივილიზებური საზოგადოების რწმენას.

პოლიტიკური კორუფცია და გავლენის სფეროებით ვაჭრობა
ტრეფიკორების მიერ კრიმინალური ქმედებებით დაგროვილი ქონება ამ უკანასკნელთ საშუალებას აძლევს იყიდონ პოლიტიკური გავლენა და პირადი მოგების მისაღებად პოლიტიკური სისტემა ცივილიზირებულ კორუფციაში. ასევე აღსანიშნავია პოლიტიკური პროცესების კორუფციაში ჩართვისათვის მუქარისა და შანტაჟის გამოყენების შესაძლებლობები იმ პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც გარკვეულ ხელშეწყობას სთავაზობენ ტრეფიკორებულ მუქავეებს.

შინაგანი ეკონომიკური ინვესტიციების დესტაბილიზაცია
შინაგანი ეკონომიკური ინვესტიციების დესტაბილიზაცია შეიძლება აღმოცენდეს, როგორც ზემოთ განხილული რამდენიმე რისკის საერთო

შედევრი მაგალითად, იმ რეგიონებში, სადაც ორგანიზებული ტრეფიკინგის არსებობა გამოიწვია ადგილობრივი ფულის გათეთრება და სასოფლო-სამეურნეო სექტორის კოორდინირება იმ დონეზე, რომ საფრთხე შეექმნა ეკონომიკისადმი რწმენას. ეს ყოველივე ნეგატიური გავლენას მოახდენს შინაგანი ინვესტირების სტრატეგიებზე ფართო გლობალურ კონგლომერატში.

ადამიანების სხვაობები, ხობოხს ფნოზანი

ახსაზანი სხაზანი

ადამიანების ტრეფიკინგი 21-ე საუკუნეში მიმდინარე გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი ყველაზე აშკარა დანაშაულის მაგალითია. ის გავლენას ახდენს ყოველ ქვეყანასა და რეგიონზე, თანაც წარმოადგენს წლიდან წლამდე მზარდ პროცესს.

ამ ფენომენთან დაკავშირებული ციფრები შემაშფოთებელია. თუმიცა, კვლევები და შეფასებები განსხვავებულ მაჩვენებლებს იძლევიან, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველწლიურად საშუალოდ 500 ათასიდან 2 მილიონამდე ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა ამ დანაშაულმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ასეულ ათასობით ადამიანი ტოვებს ამ რეგიონს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ტრეფიკინგის მსხვერპლია. თავიდან, ამ რეგიონიდან ადამიანები ევროგაერთიანების ქვეყნებში სექს-ინდუსტრიაში მათი ექსპლუატაციის მიზნით გადაჰყავდათ. დღეს ბალკანეთის რესპუბლიკებიდან ადამიანების ტრეფიკინგი მთელ მსოფლიოში ხდება – ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შუა, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში. ამასთან, ძირითად მიზნად სექსუალური ექსპლუატაცია რჩება, თუმიცა, სხვა ფორმები, როგორცაა: მონური შრომა, კრიმინალური საქმიანობა და ორგანიზებითი ვაჭრობა, ასევე აქტუალურია.

ამ საკითხს მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით თუ გააანალიზებთ, რიცხვები აქაც ერთობ შემაშფოთებელია. გაერთიანებული ერების საერთაშორისო დანაშაულების პრევენციის ცენტრი ვარაუდობს, რომ ყოველწლიური გლობალური კაპიტალბრუნვა, რომელიც ამ დანაშაულთან არის დაკავშირებული, წარმოადგენს 7-დან 8 მილიარდამდე ამერიკულ დოლარს. ეს კი ნარკოტიკებით ვაჭრობის გლობალური კაპიტალბრუნვის ტოლფასია. ამ ფინანსური მასშტაბების გათვალისწინებით, გასაკვირი აღარაა, რომ ეს დანაშაული თანდათან საერთაშორისო კრიმინალური სინდიკატების კონტროლის ქვეშ ექცევა, რომლებიც დაუნდობლად უგულებელყოფენ მსხვერპლთა უფლებებს. ეს უკანასკნელი კი, ყველაზე დამლუპველი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

ტრეფიკინგის, როგორც ეკონომიკური დანაშაულის, განსაკუთრებით ძალმომრეობითი ფორმის ფუნდამენტური მახასიათებლები არ შეცვლილა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში: კვლავ მიმდინარეობს მსხვერპლთა რეკრუტირება ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნებიდან და მათი გადაყვანა უფრო მდიდარ ქვეყნებში ან განსაკუთრებულ ადგილებში, სადაც დანიშნულების ქვეყნის მდიდარი მოქალაქეები იკრიბებიან.

მსხვერპლთა ექსპლუატაციის ფორმები განსხვავებულია, მაგრამ ყველა მათგანი უფლისხმობს იძულებასა და ადამიანის ბოროტად გამოყენებას. ექსპლუატაციის ფორმები (იცვლება სექსუალურიდან შრომით ექსპლუატაციამდე: დამონება შინამოსამსახურებად გამოყენებისთვის, კრიმინალური ქმედებებისთვის, ორგანოების გადანერგვისთვის, იძულებითი სამხედრო სამსახურისა და ქორწინებისთვის).

ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, რნება ამ დანაშაულის ყოველზე გაერცვლებულ კატეგორიად იმ მარტვი მიხევის გამო, რომ მას ეყოფოთვის ევგელაზე მეტი მოკება მოაქვს ტრეფიკორებისთვის. ტრეფიკინგის სხვა ფორმები, როგორცაა კრიმინალური ქმედებებისთვის და ორგანოების გადაწერებისთვის ადამიანთა გამოყენება, ისრდება, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდა ქალების სექსუალური ექსპლუატაცია ბევრად მოგვბინია, ვიდრე ადამიანების მონად გაყიდვა ან ერთჯერადი შემოსავლის მიღება საკვერცხის ამოჭრით.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის კონტექსტში მნიშვნელოვანია ეთნიკური წარმომავლობა, რადგან კლიენტები მოითხოვენ ქალებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქალებს დღეს აფრიკაში პოულობენ, ხოლო აფრიკელ ქალებს - ევროპაში. აღმოსავლეთ ევროპიდან ქალები ცენტრალურ ამერიკაშიც კი გადაიყვანება.

ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი ტენდენცია მსხვერპლთა საშუალო ასაკის შემცირებაა. ეს კლიენტების შეხედულებებისა და მოთხოვნების ანარეკლია. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში თვლიან, რომ არასრულწლოვანებთან სექსი ამცირებს სქესობრივი გზებით გადამდები დაავადებების რისკს.

უკვე არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ არსებული კრიმინალური ქსელები ბაეშეების სექს-ტურისის "ახალ" ფორმასაც ჩამოაყალიბებენ: ეს უკანასკნელი ბაეშეების შექმნას, გადაყვანასა და შემდგომ მათი პედოფილებებისთვის მიყიდვას გულისხმობს დასაყვლეთსა თუ მთელს მსოფლიოში.

სტატისტიკის საბიძინოთი ანგარიში: ხაზახიხაბა, ბადაყვანა და ახალაბასია

ტერმინი "ადამიანების ტრეფიკინგი" მოიცავს სამ ძირულ ელემენტს. თითოეული მათგანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ესენია:

უპირველეს ყოვლისა, ტრეფიკინგი საჭიროებს ახალი ადამიანური რესურსების რეკრუტირებას, რომელთა მოკების მოტანის მიზნით შესაძლებელია ექსპლუატაცია. რეკრუტირება ხდება გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ უფრო ხშირად ხორციელდება მსხვერპლის მთლიანი ან ნაწილობრივი მოტყუების საშუალებით სამშრომოს ხასიათის, ანაზღაურების ან სამუშაო პირობებთან დაკავშირებით (ან ყოველივე ერთად).

მეორე ელემენტი არის ტრანსპორტირება, რომელიც არ ეფუძნება ტრანსპორტირებადი ადამიანების თავისუფალ ან ინფორმირებულ არჩევანსა და თანხმობას. ტრანსპორტირება, როგორც წესი, მოიცავს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას, ან სულაც რამოდენიმე სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას. თუმცა, ტრანსპორტირება შეიძლება მოიცავდეს მსხვერპლის სამშობლოს ფარგლებში მისი ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანასაც. ეს ინტერნალური ტრეფიკინგია და მისი რაოდენობა თანდათან მატულობს.

მესამე ელემენტი არის საბოლოო დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ, მსხვერპლის გამუდმებული ექსპლუატაცია. ეს რეჟიმი შენარჩუნებულია სხვადასხვა მექანიზმებით, როგორცაა: ძალადობის მექანა ან გამოყენება, ასევე მსხვერპლის ეკონომიკური უნარობის ექსპლუატაცია ან მისი ისოლაცია.

ტრეფიკინგში, ჩვეულებრივ, ჩართულია ერთზე მეტი დამნაშავე და ასევე შეიძლება მასში ჩართული იყვნენ კრიმინალებიც, რომლებიც ადამიანებს ისე ყიდვიან, როგორც ყოველდღიური მოხმარების საგნებს - ე.წ. "ბროკერები" ან თუმცა, ამ მოვლენის როგორც მორალური, ისე დანაშაულებრივი მხრიდან განხილვის შემთხვევაში, დიდი განსხვავება არ არის. მიუხედავად იმისა, თუ რა განასხვავებთ ტრეფიკორებს ერთმანეთისგან, მათ ქმედებას ყოველთვის ერთი საერთო შედეგი აქვს - ეს არის ადამიანის დაბეჩალებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ტრეფიკინგის დანაშაულისთვის აუცილებელი არ არის მსხვერპლის საზღვარგარეთიდან შემოყვანა. აუცილებელი პირობაა მოხდეს მსხვერპლის გადაყვანა მაშინ, როცა ის იმყოფება ფიზიკურ ან სოციალურ იზოლაციაში ექსპლუატაციის მიზნით. ამ თვალსაზრისით, ტრეფიკორების მიერ გამოყენებული ტერორებისა და ტრანსპორტირების საშუალებები განპირობებულია თავად მსხვერპლისთვის დამახასიათებელ სოციალურ და ეკონომიკურ დეპრივაციას. შესაბამისად, ის საშუალებები, რომლებიც შეეძლოს ამ ფუნდამენტალური დეპრივაციის ფორმებს და მის სამოქალაქო უფლებების დაკარგვას, მდგომარეობს ლეგალურ, სოციალურ და პიროვნული შესაძლებლობების მიცემაში, რაც მას საშუალებას მისცემს, იცხოვროს დაცულად.

ძირადი მონახუნი: აღმონახუნი ტრეფიკინგის "მონონი"- და "ბანკონი" ფაქტობრივი

ტრეფიკინგი მხოლოდ იმიტომ ფუნქციონირებს, რომ ამ ჯაჭვის დანაწილისში არსებობს მსხვერპლი, რომელიც მიგრაციაში ხელაღს საკუთარი და სამშობლოში დარჩენილი ახლობლების მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. მათი გამგზავრების სურვილი წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების რთულ კომბინაცია.

"მონონი"- ფაქტობრივი

მიუხედავად ეკონომიკური პრობლემებისგან გამოწვეული სხვადასხვა იმპერატივებისა, ძირითადი მიზეზი მაინც მსხვერპლთა ემიგრაციაში წასვლის მზადყოფნაა. ანუ იმთავითვე, ტრეფიკინგი იმიტომ ფუნქციონირებს, რომ არსებობს ეკონომიკური უთანასწორობა ქვეყნებს შორის (ან ქვეყნის რეგიონებს შორის) და ეკონომიკურად გაჭირვებული ხალხის სურვილი, რომ მიგრაციაში წავიდნენ ეკონომიკურად უფრო მაღალ დონეზე მყოფ ქვეყნებში.

მიგრაციის მცირე კანონები ძალიან ზღუდავენ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ლეგალური მიგრაციის საშუალებას. ეს იმ პირობებსაც ეხებათ, რომლებსაც აქვთ ისეთი ცოდნა და უნარი, რაზეც მიმღებ ქვეყანაში მოთხოვნილება არსებობს. ხოლო ტიპური ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის, რომელიც, როგორც წესი, არ ფლობს რაიმე განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს, ლეგალური მიგრაცია თითქმის შეუძლებელია.

სანამ არსებობს ქვეყნებს შორის სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილება და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები გააგრძელებენ ლეგალური შრომითი მიგრაციის შესზღუდას, ადამიანთა ტრეფიკინგი გაგრძელდება, ვინაიდან ის სასურველ ქვეყანაში მიგრაციის არალეგალურ საშუალებებს იძლევა.

ძირითადი ელემენტი, რომელიც ქმნის პირობებს ტრეფიკინგის აყვავებისთვის, არის დანიშნულებისა და წარმომავლობის ქვეყნებს შორის სიმდიდრის მნიშვნელოვნად არათანაბარი გადანაწილება. ასევე: ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების შესზღუდა დანიშნულების ქვეყნებში და ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, იმ ქვეყნებიდან წარმოშობილნი, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი საშუალებით დანიშნულების ქვეყანაში მიგრაციის უფლება.

ხანისშეზღუდული სოსიაციური ფაქტობრივი

როგორც სამშობლოში, ასევე დანიშნულების ქვეყანაში მოქმედი ექსპლუატაციური კრიმინალური ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ სამუშაოს დანიშნულების ქვეყანაში.

როგორც ამ უკანასკნელი 5 წლის დაკვირვება გვიჩვენებს, საერთაშორისო კრიმინალურმა ქსელებმა იპოვეს და ახლა დაუნდობლად იყენებენ ამ ადამიანურ და ეკონომიკურ საფუძვლებს, რათა მიიღონ სარგებელი.

მსხვერპლის პერსპექტივიდან, სოციალური და ეკონომიკური დაუცველობის დონეზე შეგაგეუნას ახდენს “მიმწოლი” ფაქტორი და სრდის მათ სურვილს დატოვონ სახლი მიგრაციის არალეგალური თუ ლეგალური გზებით – მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ მოცუპავედ ანდა პროსტიტუტად ქცევის უაღრესად. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები: გაზრდილ პერიოდში მყოფი ქვეყნების გაყვანა; გენდერული დისკრიმინაცია; უმუშევრობა; სოციალური ფაქტორები, როგორცაა, განათლების ნაკლებობა ან ძალადობა სახლში;

“ბაზნაჟი” ფაქტორები

“მიმწოლი” ფაქტორების გვერდით არსებობს ფაქტორთა მთელი ჯგუფი, რომლებსაც შეგვიძლია “გამწვევი ფაქტორები” ვუწოდოთ. ეს უკანასკნელნი სრდიან მსხვერპლის დაუცველობას და გოგონებსა და ქალებს ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომ ადვილად წამოიგებიან ტრეფიკორის ანკესს. სემოთ განხილული დისკრიმინაციული და ნეგატიური “მიმწოლი” ფაქტორების საპირისპიროდ, “გამწვევი” ფაქტორები დასავლური ცხოვრების უპირატესობებად არიან აღქმული. ესენია:

- დასაქმებისა და ფინანსური ჯილდო/ანაზღაურების მიღების იმედი;
- დანიშნულების ქვეყანასთან ასოცირებული მატერიალური სარგებლის მიღება;
- სოციალური მდგომარეობისა და მოპერობის გაუმჯობესება;
- დასავლური ევროპული ცხოვრების “ბრწყინვალეობა” და მომხიბველულობა;

ტრეფიკირებულ ქალებს სჯეროდათ, რომ ისინი შეძლებდნენ მდიდარ დასავლურ ქვეყანაში ადგილის დამკვიდრებას და იქ მოკლე დროში დიდი თანხის შოვნას, რომელსაც შემდეგ საკუთარი ოჯახის სიღარიბისა და სოციალური მარგინალიზაციის დასაძლევად გამოიყენებენ. ეს ის ძლიერი სურვილია, რომელსაც ტრეფიკორები ადვილად აფიქსირებენ და შემდეგ ბოროტად იყენებენ.

სონაჯაჟი ფაქტორები

გარდა წმინდა ეკონომიკური ფაქტორებისა, არსებობს სხვა მიზეზებიც, რომლებიც აიძულებს უამრავ ადამიანს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან სასლარგარეთ პროსტიტუციისა და დამონებისთვის წავიდეს.

რთულ ეკონომიკურ პერიოდებში, როდესაც ზოგადად მიიმე კლიმატია სასოგადოებაში, არსებული პატრიარქალური სტრუქტურა აძლიერებს მამაკაცების პოზიციებს. შედეგად კი ქალები, რომლებიც უკვე სუბორდინაციულ პოზიციაში იყვნენ, კიდევ უფრო უფასურდებიან როგორც რესურსი სასოგადოებაში. გარდა ამისა, მრავალ ქალსა და გოგონას სოციალური წინაპირობა გაანინათ, რათა საკუთარი სხეული და სექსუალურობა მიიჩნიონ რესურსად, ზოგჯერ, თავის ერთადერთ რესურსადაც კი. ეს შესედელებები აგრძელებენ ქალების მარგინალიზაციასა და დისკრიმინაციის ცხოვრების ყველა ასპექტში და არ აძლევენ მათ გამბედაობას, რათა აქტიური როლი ითამაშონ საკუთარი სასოგადოების მართვასა და ცვლილებებში.

მარგინალიზაცია სოგჯერ უფრო გაძლიერებულია მეორადი და უმაღლესი განათლების ან სხვა ფორმის წვრთნის ნაკლებობით, რაც უფრო ამცირებს ქალებისა და თინეიჯერ გოგონების შესაძლებლობებს ისედაც შესლუდული ალტერნატივების პირობებში.

ქალთა მიმართ ძალადობის როლი და კონკრეტულად ოჯახური ძალადობა ხშირად გადაშვევტი ფაქტორია, როდესაც ქალები მიგრაციაში წასვლას წყვეტენ. ოჯახური ძალადობა დისფუნქციურ ოჯახებში არის ქალთა უფლებების ყველაზე ხშირი და მძიმე დარღვევა და ქალებს იგი დაუცველებს ხდის მათი ტრეფიციორების წინააღმდეგ.

საბოლოოდ, ქალებისთვის, რომლებიც სიღარიბის, უმუშევრობის, გენდერული და შრომითი დისკრიმინაციისა და ოჯახური ძალადობის პირისპირ აღმოჩნდნენ, კარგი ანაზღაურება მიცდური წინადადებაა და ხშირად ესენებთან, რომ "საზღვარგარეთ წასვლა უკეთეს სამყაროში ჯადოსნური კარის შეღების ტოლფასია".

ბანსვაჯება ახალგაზრდა და ადამიანის უფლებების დამცველებს შორის

იძულების ფაქტორი და მისი როლი აშკარა განსხვავებას ქმნის ადამიანების ტრეფიციინგსა და ტრეფიციინგის სხვა ფორმებს შორის, როგორცაა ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის ტრეფიციინგი, სადაც ადამიანთა უფლებების დარღვევას არ აქვს ადგილი. ეს განსაკუთრებით ეხება ადამიანებით ტრეფიციინგსა და ადამიანებით კონტრაბანდულ ვაჭრობას შორის განსხვავებას. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს და არ არის დაფუძნებული პიროვნების იძულებაზე. მკაცრად სამართლებრივი პერსპექტივიდან, ისინი "მსხვერპლები" არც კი არიან, რადგან კონტრაბანდირება არ არის გაგებული, როგორც დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, არამედ როგორც სასოგადოებრივი წესრიგის, კერძოდ კი მიგრაციის კანონების წინააღმდეგ.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციასა და მის ორ დამატებით პროტოკოლში ადამიანებით კონტრაბანდული ვაჭრობისა და ადამიანების ტრეფიციინგის შესახებ – პირველად მოხდა ამ ორ ფენომენს შორის ნათელი განსხვავების ჩამოყალიბება.

ადამიანებით კონტრაბანდული ვაჭრობის წინააღმდეგ გაეროს პროტოკოლის მიხედვით, ადამიანთა კონტრაბანდული ვაჭრობა გულისხმობს "ვაჭრობას, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მატერიალური მოგების მისაღებად, ადამიანის არადეგალურ შეყვანას სახელმწიფოში, რომლის მუდმივი მაცხოვრებელი ან ეროვნების წარმომადგენელიც ის არ არის." ადამიანებით კონტრაბანდული ვაჭრობა არის დანაშაული იმ სასოგადოებრივი წესრიგის წინაშე, რომელიც სასღვრის ღვგალურად გადაკვეთას არეგულირებს. ამისგან განსხვავებით, ადამიანების ტრეფიციინგი არის ცალკეული ინდივიდის უფლებების დარღვევა.

უეჭველია, რომ ორივე – ტრეფიციინგისა და კონტრაბანდირებაც – წარმოადგენს არადეგალური მიგრაციის ფორმებს და ორივე მოდუსს ოპერანდი მსგავს კომპონენტებს შვიცავს. მაგრამ არსებობს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომლებსაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიმარტავთ.

ახალგაზრდა ან ახალგაზრდა ტრეფიციინგის დამცველებს შორის

კონტრაბანდის შემთხვევაში, პოტენციური მიგრანტი საკუთარი ინიციატივით უკავშირდება კონტრაბანდისტს, რომელიც მას წინასწარი გადახდის შემდეგ ეხმარება არსებულ ქვეყანაში არადეგალურად შესვლაში.

ტრეფიციინგის შემთხვევაში კი საკმე გვაქვს ასევე არადეგალურ მიგრანტთან, თუმცა მისი რეკრუტირება ხდება ან იძულებით, ანდა მოტყუებით. მისი თანხმობა სხვა ქვეყანაში შესვლაზე არ არის დაფუძნებული თავისუფალ ან ინფორმირებულ არჩევანზე.

მეორე ელემენტი, რითაც ერთმანეთისგან განსხვავდება ტრეფიკინგი და ადამიანებით კონტრაბანდული ვაჭრობა, არის ტრეფიკიორსა და მსხვერპლს შორის ექსპლუატაციური ურთიერთობა საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის შემდეგ. კონტრაბანდირების შემთხვევაში, მხოლოდ მიგრაციის სურვილის გამოყენება ხდება და მიგრანტსა და კონტრაბანდისტს შორის ურთიერთობა წყდება ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ.

ტრეფიკინგის შემთხვევაში, ტრეფიკიორის მიზანი სწორედ ისაა, რომ საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ურთიერთობა გაგრძელდეს და მას შრომითი ან სექსუალური იძულების და ექსპლუატაციის ფორმა მიეცეს. ამ უკანასკნელს კი მიგრანტის დეპრივაცია, ადამიანური ღირსების დამცირება და სხვა ფაქტორები ერთვის.

ბანსვაჯის მნიშვნელობა

გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანის ტრეფიკინგსა და კონტრაბანდულ ვაჭრობას შორის ნათელი განსხვავება დაინახოთ, ვინაიდან ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის აუცილებელი ზრუნვისა და მხარდაჭერის აღმოჩენა დამოკიდებულია სამართალდამცავი პირების მიერ (მათ შორის, სასამართლოს) ამ განსხვავების სწორ შეფასებაზე.

დღეს ეს განსხვავება ყოველთვის არ არის დანახული და ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხშირად არ მოიხარებიან როგორც ძალადობის მსხვერპლნი. შესაბამისად, მათი დაცულობის, ჯანმრთელობისა და დახმარების მიღების უწყება ირღვევა იმ სოციალური ინსტიტუტების მიერ, რომლებიც რეალურად სწორედ დაუცველი ადამიანების დასახმარებლად და დამნაშავეების დასასჯელად არიან შექმნილი. განცდა, რომ მათ მეორედაც უღალატეს, ემატება უკვე გადატანილ უსამართლობის განცდას.

სტატუსის მქონე მსხვერპლის სამი ფაზა:

1. მსხვერპლის იდენტიფიკაცია (ბაზისიკა)

ქალების და გოგონების რეკრუტირების მეთოდები სხვადასხვაა და დამოკიდებულია ტრეფიკიორების მუშაობის პრინციპებსა და მათ ორგანიზებულობაზე.

შველასე გაერცხლებული მეთოდებია:

- ცალკეული პიროვნებები ეძებენ საზღვარგარეთ წასვლით დაინტერესებულ გოგონებს ბარებში, კაფეებში, კლუბებსა და დისკოთეკებში; რეკრუტირებას ახდენენ არაფორმალური ქსელის საშუალებით, როგორცაა ოჯახი, მეგობრები; სარეკლამო განცხადებების მეშვეობით, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოსა თუ სწავლებას სთავაზობენ.
- სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც სთავაზობენ საზღვარგარეთ მუშაობას, სწავლებას, მიგრაციას ან უბრალოდ, მოგზაურობას;
- იყენებენ ყალბ ან წინასწარ შეთანხმებულ ქორწინებებს; ძალიან ხშირად, პიროვნება, რომელიც ტრეფიკიორებისთვის ეძებს ხალხს, იცნობს თავის მსხვერპლს და სოფჯერ მისი ნათესავიც კი არის.

ტრეფიკიორები ეძებენ საშუალებას გამოიყენონ ის “მიმწოლი” და “გამწევი” ფაქტორები, რომლებსაც ზემოთ გვექონდა საუბარი. ისინი ფოკუსირებული არიან ქალებსა და გოგონებზე, რომლებიც ახალ შესაძლებლობებს ეძებენ საზღვარგარეთ და სახლში მიმე ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა

აქვთ. ქალებს სთავაზობენ მაღალანაზღაურებად კარიერას საზღვარგარეთ, როგორცაა ოფიცინტად, მოცეკვავედ, მსახიობად და სხვ. მუშაობა. საერთაშორისო ქორწინების სააგენტოები ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს იქნას ტრეფიკინგის ბიზნესის შესანიშნავად. ხშირად ქალები მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში წასვლისას აცნობიერებენ თავდაპირველი შეთანხმების სიყალბეს და იძულებითი პროსტიტუციის მსხვერპლნი ხდებიან.

თითქოს, არსებობს საკმაო სანდო ინდიკატორი, რათა გაეარჩიოთ ერთმანეთისგან ნამდვილი და ტრეფიკინგის საფუძვლად გამოყენებული სააგენტოები. ზოგჯერ ნათესავეები, "სამშრობო" და სახელმწიფო ინსტიტუტებიც კი, როგორცაა ობოლთა თავშესაფარი, ერთებიან ქალებითა და გოგონებით ვაჭრობაში. ზოგჯერ კი მომავალი ტრეფიკინგის მსხვერპლს უბრალოდ, იტაცებენ.

არსებობს შემთხვევები, როცა მსხვერპლს აქვს ინფორმაცია, თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება მოუწევს, მაგრამ მან არ იცის, რა პირობებში. საგარეოდ დიდ იცის, რომ მას საზღვარგარეთ სექს-ინდუსტრიაში მოუწევს მუშაობა. მაგრამ მას ატყუებენ პირობების შესახებ – პგონია, რომ იქ დამოუკიდებელი იქნება და თვითონ გააკონტროლებს საკუთარ სამუშაოს. ზოგჯერ კი იცინა, რომ მხოლოდ სტრიპტიზ-შოუებში იცეკვებენ, ანდა "ელასიკური პროსტიტუტები" იქნებიან.

არცერთმა ქალმა, რომელიც საზღვარგარეთ სექს-ინდუსტრიაში სამუშაოდ მიდის, არ იცის, მუშაობის როგორი პირობები ექნება – ხანგრძლივი სამუშაო დღეები, უსაფრთხო სექსუალური მომსახურება და იძულების ის დონე, რაც მის თავის დაღწევის ნებისმიერი მცდელობისას წინ ელობებათ.

არსებობს მოტყუების საშუალებების მთელი წყება – როგორც მსუბუქი, ასევე ძალიან მძიმე.

ხანააჩიანი 4 ძიხიანი საშადახა:

1. აბსოლუტური იძულება მოტყუებით ან მოტაცებით. ეს აღარ არის იშვიათი შემთხვევა და განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ალბანეთსა და კოსოვოში, ასევე აზიის ზოგიერთ ქვეყანაში;

2. მოტყუება ლეგალური სამუშაოს ან სტატუსის შეთავაზებით: ქალებს სჯერათ, რომ ისინი იმუშაებენ ოფისებში, რესტორნებში და ბარებში ან შექმნიან ოჯახებს.

3. ნახევრად ტყუილით შეცდენა: თითქოს ისინი იმუშაებენ გართობის ბიზნესში, როგორცაა, მოცეკვაეები ან სტრიპტიზ-შოუები;

4. ზოგიერთმა ქალმა იცის, რომ ის მძაფრად იმუშაებს, მაგრამ არ იცის, რამდენად მოხდება მათი ექსპლუატაცია და კონტროლი.

2. ტანსაცმის ფაზა - ტანსაცმის ფაზა

რეკრუტირების პროცესს მოსდევს ტრანსპორტირების ფაზა, რომლის დროსაც მსხვერპლი საშინელ ფიზიკურ ძალადმომრეობას განიცდის. მისი, როგორც ადამიანის უფლებები დარღვეულია და მას სხვა დანაშაულებების ატანაც უწევს. ეს მოგზაურობა შეიძლება მონაცავდეს სახლურის გადაკვეთას.

მსხვერპლთა დიდ ნაწილს მანამდე არასოდეს დაუტოვებია საკუთარი ქვეყანა და შესაბამისად, აბსოლუტურად დამოკიდებულები არიან ტრეფიკიორებს. ზოგიერთი ქვეყანის საერთაშორისო პასპორტის გარეშე ტოვებს, რადგან მათ არწმუნებენ, რომ ის საჭირო არ არის ან მოგვიანებით მიიღებენ. თუ მათ პასპორტი აქვთ, ტრეფიკორი პასპორტს ართმევს, რათა უსრუნველყოს მსხვერპლის მორჩილება.

ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში მყოფი მსხვერპლი დაუცველია თავისი აგენტების კაპრიზებისგან, რომლებმაც კარგად იცინა, რომ მსხვერპლის არა-ლეგალური სტატუსი ამცირებს პოლიციისგან ან სახელმწიფოსგან რაიმე

დახმარების მიღების შანსს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი საკუთარი ნებით და-
იწყებს მათი დახმარების ძებნას.

ქალებსა და გოგონების გადაყვანა სახლვერებზე საერთაშორისო ტრე-
ფიკინგის აუცილებელი კომპონენტია. უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლი თანა-
ზაა, რომ ტრეფიკორმა თავის თავზე აიღოს დოკუმენტებისა და ტრანსპორ-
ტის პრობლემების მოგვარება. ეს ტრეფიკორებს კონტროლის ხელსაყრელ
საშუალებებს აძლევს ტრანსპორტირების ეტაპზე.

სახლვარზე ქალი გადაჰყავთ სატვირთო, მისუბუქი მანქანით ან ავტობუ-
სით. ეს უფრო უსაფრთხოა ტრეფიკორებისთვის, ვიდრე საპაეო მგზავრობა.
ზოგიერთი მსხვერპლი დანიშნულების ადგილზე შორ დისტანციაზე გადამიყუ-
ანი საშუალებით ხვდება, როგორცაა, შორეული საფრენოსნო, სახლვაო და
სახმელეთო გადაწყვენები.

3. დანიშნულების ადგილს ვაზა – მიღება და ახსნაპაპაიის ტიპი

დანიშნულების ქვეყანაში შესვლის 3 ძირითადი მეთოდი არსებობს:

ფარული – ადამიანების ქვეყანაში კონტრაბანდირება მანქანებით, მატარებ-
ლით, ბორანით და ფეხით;

ღია – მოპარული ან გაყალბებული დოკუმენტებით;

ღია – ნამდვილი დოკუმენტების წარდგენით, სადაც არის ვიზა, რომელიც ქვე-
ყანაში შესვლის უფლებას იძლევა – ტურისტული, სასწავლო ან სამუშაო.

ამ ეტაპზე ხდება ტრეფიკორის ნამდვილი მიზნის – ექსპლუატაციის
რეალიზება. როგორც კი მსხვერპლი ჩაეა საბოლოო დანიშნულების ადგილას,
ის აღმოაჩენს, რომ მონურ პირობებებში უნდა იცხოვროს და იმუშაოს ძირი-
თადად სექს-ინდუსტრიაში, სახლში ან ქარხანაში ხანგრძლივად და არააღამი-
ანურ პირობებში.

ქალი მსხვერპლი, რომელიც იძულებულია პროსტიტუციას მიჰყოს ხელი,
ძირითადად, ქუჩაში მუშაობს. ზოგჯერ მათ ბარებში, ესკორტის სერვისში ან
ბინასუც უწყვეტ მუშაობა. ისინი იძულებულნი არიან იმუშაონ ხანგრძლივად
და ძალიან ბევრ კლიენტს შესთავაზონ საკუთარი სერვისი, მათ შორის, და-
უცველი და სახიფათოც. უმეტეს შემთხვევაში, მათ არ იციან ენა და კლიენტ-
თან ურთიერთობას მხოლოდ წინასწარ შედგენილი სექსუალური სერვისების
"მენიუსი" ამყარებენ.

ქალები შემდგომშიც ხშირად გადაჰყავთ ქალაქიდან ქალაქში ან ქვეყნი-
დან ქვეყანაშიც კი. ამის მიზანი მსხვერპლის დისლოკაცია და მეგობრის
შეძენის ან გარემოსთან გატანობის თავიდან აცილებაა, რაც ტრეფიკორებს
პოლიციისაგან იცავს.

ბევრი მათგანი არის ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპ-
ლი და ცხოვრობს მონურ პირობებში. ხშირია დაშინების მიზნით მკვლევლობე-
ბის შემთხვევებიც, რათა ამ უკანასკნელმა არ მისცეს ჩვენებები და არ სცა-
დოს დახმარების მოძიება. ბევრ მსხვერპლს თავის დაღწევის საშუალებას არ
აძლევს მათზე ან მათი ოჯახის წევრებზე შურისძიების მუქარა და პირადო-
ბის დამადასტურებელი საბუთების უქონლობა. მუდმივი ფიზიკური, ემოციური
და სექსუალური ძალადობა მას სხვა ალტერნატივას აღარ უტოვებს არსებულ
სიტუაციასთან შეგუების გარდა.

მსხვერპლის ადგილი და ახსნაპაპაიის

ტრეფიკორების ფუნდამენტალური მიზანია მსხვერპლი ხანგრძლივად
ამყოფოს ექსპლუატაციაში ფულის შოვნის მიზნით. ეს მათ ავადმდებულებს
დაიცვან თავისი ინვესტიცია, რათა ის არ გაიქცეს და გააგრძელოს მუშაობა.
ტრეფიკორს მსხვერპლზე გამუდმებული კონტროლი უნდა ჰქონდეს.

ამ ეტაპზე არსებობს მსხვერპლის გაკონტროლების მრავალი მეთოდი. თითოეული მექანიზმის გამოყენება დამოუკიდებლადაც შეიძლება და კომპლექსურადაც. მათი ერთად გამოყენება ნამდვილი ფსიქოლოგიური ტყვეობის მდგომარეობას ქმნის.

საპალო ახანაძე

საგალო კაბალა ერთ-ერთ ძირითად კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მსხვერპლს ავადმჯობელებენ მისი ქვეყანაში ჩამოყვანის გაზრდილი საფასური გადაიხადოს. ამ თანხას ემატება განუზომელი პროცენტი და ძალიან მალე გადასახადი საცხოვრებლისთვის, ბორძელისთვის, მეძველისთვის კლერენტების შოვნისთვის, ტრანსპორტირებისთვის და ა.შ. საბოლოო ჯამში, გროვდება უსარმასარი ვალი, რომლის გადახდაც შეუძლებელია.

რეორიხა და მონაშენების ნაშთი

ტრეფიკორები მსხვერპლს დოკუმენტებს ჩასვლისთანავე ართმევენ. ეს მსხვერპლს ართმევენ ოფიციალურ იდენტურობას და ხელს უშლის მას მოიძიოს დახმარება ან გადავიდეს სხვა ქვეყანაში. მსხვერპლთა უმრავლესობა წარმოშობით ისეთი ქვეყნებიდან არიან, სადაც პოლიცია განიხილება როგორც აგრესიული ძალა და არა - დამხმარე. ამის გამო, მათი უმეტესობა პოლიციას არ მიმართავენ.

ტრეფიკორები თავიანთ გავლენას კიდევ უფრო აძლიერებენ იმით, რომ მსხვერპლს არწმუნებენ, თითქოს მას შეუძლია პოლიციაში წასვლა, მაგრამ შედეგი ის იქნება, რომ მას დეპორტაციას გაუკეთებენ და სამშობლოში ჩასვლისთანავე მასზე შურს იძიებენ. ფაქტები აჩვენებენ, რომ ტრეფიკორები მართლდები არიან: იმ პიროვნებაზე უმრავლესობა, რომელიც ევროგაერთიანების ქვეყნებში დოკუმენტების გარეშე მიდის, პოლიციის მიერ სასწრაფოდ დეპორტირებულია თავის სამშობლოში ან არწმუნებენ, რომ პოლიცია კორუმპირებულია და მათთან მისვლას არანარი ასრი არ აქვს.

დოკუმენტების უქონლობა და პოლიციის შიში საბოლოო ჯამში ამცირებს ალბათობას, რომ მსხვერპლი პოლიციას ან ოფიციალურ სტრუქტურებს მიაკითხავს დახმარებისთვის. ეს კი ძალიან მომგებიანია ტრეფიკორებისთვის. შესაბამისად, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ქვეყანაში დარჩენის ლეგალური სტატუსის მინიჭება არა მარტო დაიცავს მათ უფლებებს, არამედ კანონდამცვე სტრუქტურებს დაეხმარება დანაშაულებრივი დაჯგუფებების გამოვლენასა და დაკავებაში. სამწუხაროდ, დანიშნულების ქვეყნებს არ სურთ ტრეფიკინგის მსხვერპლებს დროებითი დარჩენის უფლება მიანჭონ. თავის მხრივ, ეს შეუძლებელს ხდის ტრეფიკინგის მსხვერპლის უსრუნველყოფას შესაფერისი მსრუნველობითა და დაცვით.

ამ ნაკლის საპასუხოდ Stability Pact Task Force on Trafficking in Human Beings შემუშავდა რეკომენდაციები, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლს საცხოვრებელი უფლება უნდა მიენიჭოს პუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ანუ დროებითი საცხოვრებლის უფლება სულ მცირე 6 თვით, რომელიც მსხვერპლს უსრუნველყოფს მთელი რიგი სოციალური დახმარებებით.

ძალადობა და მონაშენების ბაზოყენება

ტრეფიკორები ასევე ფართოდ იყენებენ ძალადობასა და ძალადობის მუქარას, როგორც ფეჰქტურ საშუალებას მსხვერპლთა გაკონტროლებისათვის. მსხვერპლს ხშირად სცემენ და აუპატიურებენ, უსლუდავენ თავისუფლებას, ხანგრძლივად ანერებენ ისოლაციაში წყლისა და საკვების გარეშე, ნარკოტიკების გავლენის ქვეშ ან აწამებენ დანებითა და სიგარეტებით, რათა შეინარჩუნონ მორსილება. ძალადობა შეიძლება მიმართულ იქოს მსხვერპლის დასასჯელად, თუ იგი ტრეფიკორების მოთხოვნებს არ შეასრულებს; ანდა

როგორც გამაფრთხილებელი სიგნალი, იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა შედეგი მოჰყვება დაუმორჩილებლობას ამ უკანასკნელ შემთხვევაში – ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, რომელიც ტრეფიკიორის სექსუალური საღისშიდან მოდის.

სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევაში არ ერიდებიან კიდევ ერთი ძლიერი კონტროლის მექანიზმის გამოყენებას. ტრეფიკიორები ხშირად ემუქრებიან მსხვერპლს, რომ მის ოჯახს შეატყობინებენ მესავედ მუშაობის შესახებ. ამ მიზნით, მსხვერპლს ხშირად უღებენ სურათებს გაუპატიურების დროს და შემდეგ ამ სურათებს მისი შანტაჟისთვის იყენებენ.

ცალკეული კულტურებიდან წარმოშობილ მსხვერპლთან შეიძლება ერთობ სპეციფიური იძულების მექანიზმები მუშაობდეს. მაგალითად, დასავლეთ აფრიკელ (მაგ. ნიგერიელ) მსხვერპლზე ეუღლეს მსგავსარიტუალებმა შეიძლება ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს, შეაწინოს და მისი მორჩილება განაპირობოს. სხვა მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას მუსულმანი ქალები, რომლებსთვისაც მესავედ მუშაობის გამოაშკარაების მუქარა უფრო ქმედითია, რადგან მისი საკუთარი ოჯახის რეაქცია უფრო დიდი ფიზიკური რისკის პირისპირ აყენებს, ვიდრე ეს ტრეფიკიორისგან ემუქრება.

**მსხვერპლის ოჯახის წინააღმდეგ ძალადობის ბაზოყენების მუქარა;
ფსიქოლოგიური ტრავმა და ნაზება**

ტრეფიკინგის შემთხვევების გამოძიებამ გამოაშკარაა ასევე ერთ-ერთი ყველაზე უმჯობესი და პრობლემატური მუქარა მსხვერპლის დამორჩილებისთვის, რომლის არსიც მსხვერპლის ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარაში მდგომარეობს. ბევრ შემთხვევაში ტრეფიკიორები წინასწარ არკვევენ დეტალებს მსხვერპლის ოჯახის შესახებ. ეს შეიძლება იყოს უბრალოდ სახელები ან მისამართები და ა.შ. ტრეფიკიორს მეტი დეტალები არც კი სჭირდება მუქარისთვის, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი საკმარისია მსხვერპლის შესაშინებლად. მსხვერპლს, უბრალოდ, არ შეუძლია გარისკოს და ეჭვის ქვეშ დააყენოს საკუთარი ოჯახის წევრებისა და ახლობლების სიცოცხლე.

როდესაც სემთ ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმების კომბინაცია ხდება, შედეგად ვიღებთ ფსიქოლოგიური ტყვეობისა და წამების საშინელ რეჟიმს. ამის გასაგებად საჭიროა სიტუაციას მსხვერპლის თვალთვალ შევხედოთ.

ის მართლა უცხო ქვეყანაში, იზოლირებული, არ შეუძლია კომუნიკაციის დამყარება (ენის უცოდინრობის გამო), მას პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სამგზავრო დოკუმენტაცია წაართვეს, არ აქვს საკუთარ ოჯახთან კონტაქტის უფლება, არ იცის, სად იმყოფება, რადგან ხშირად გადააქვებთ სხვადასხვა ადგილას. იგი გამუდმებული ფიზიკური და სექსუალური ძალადობის საფრთხეშია, არც პოლიციას შეუძლია მიმართოს არასასურველი შედეგების შიშით, იძულებულია ყოველდღიურად ხანგრძლივი ურთიერთობა იქონიოს კლიენტებთან და ხშირად ჰქონდეს დაუცველი სექსუალური კავშირები. გარ-შემო კი მასზე და მის ოჯახზე შურისძიებით ემუქრებიან, თუ გაქცევა აკდუბა.

როცა ყველა ამ ფაქტორს ერთად გავითვალისწინებთ, ადვილი გასაგებია, რომ გაქცევის ძალიან ცოტა თუ ცდილობს და მიეხედებით, რატომ არის ტრეფიკინგის წინააღმდეგ მოქმედება ასე აუცილებელი და ამავე დროს, სამართალდამცავების პუმანური მოვალეობა.

316 ანონიმური შეკვეთები

აღამიანების ტრეფიკინგში პიროვნებები სხვადასხვა დონეზე არიან ჩართულნი – სპონტანურა კონტაქტებიდან – მაღალორგანიზებული საერთაშორისო ქსელებით დაბრუნებული.

ეს დონეები შეგვიძლია გაავარაუდოთ 3 ძირითად ჯგუფში:

1. საერთაშორისო მართვა

არაფორმალური ქსელები ინდივიდთა პატარა ჯგუფებია, რომლებიც ოჯახური კავშირებითა და ეთნიკური თემით არიან შესღებულნი, მაგრამ აქვთ საზღვარგარეთი კონტაქტები. ეს შეიძლება იყოს ემიგრანტის ოჯახი ან თვითონ ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალი, რომელიც უკან ბორდელებისთვის საჭირო ქალების რეკრუტირებისთვის ჩამოვიდა. ასეთი ქსელები ხშირად გამოიყენება მიმწოდებელ და მიმღებ ქვეყანას შორის სასაზღვრო რეგიონებში.

2. ადგილობრივი მართვა და მართვის საშუალებები

ფართომასშტაბიანი ორგანიზებული კრიმინალური ქსელები აკონტროლებენ ტრეფიკინგის ყველა ასპექტს – რეკრუტირებიდან დაწყებული, ტრანსპორტირებითა და დანიშნულების ქვეყანაში მდებარე ბორდელებისა და ქუჩის პროსტიტუტების მენეჯმენტით დამთავრებული.

ამ შემთხვევაში ტრეფიკინგი ბიზნესს ემსახურება, არსებობს “რეკრუტირების ოფისი”, “დოკუმენტაციის ოფისი”, “ტრანსპორტირების ოფისი” და “მეძებრის მენეჯმენტის ოფისი”. ტრეფიკორები თავის სამსახურს ძალიან სერიოზულად და პროფესიონალურად ეკიდებიან და წესრიგის შესანარჩუნებლად ხშირად მიმართავენ ძალადობას. ამ ბიზნესში ქალები სავაჭრო საქონელია, როგორც ეს იყო მონათა ბაზრებზე.

ასეთი ორგანიზებული ქსელები ხშირად არიან უკრაინიდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან და ბულგარეთიდან, მაგრამ მუშაობენ მთელ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ხშირად მათ დასავლეთ ევროპაში საკუთარი ბორდელები აქვთ და სხვა ქვეყნებს ტრანზიტისთვის იყენებენ.

3. ბაზალური მართვა

ასეთი ჯგუფები უზრუნველყოფენ გოგონების რეკრუტს და ტრანსპორტირებას ერთი ქვეყნიდან და შემდეგ მათ ყიდიან სხვა ქვეყანაში ბორდელებსა და პროსტიტუტების ქსელებისთვის, ანუ ისინი, როგორც მიმწოდებლები, გარკვეული საქონლის დისტრიბუციას ახდენენ ადგილობრივი მოვაჭრეებისთვის, რომლებიც უკვე, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ პროსტიტუციის მენეჯმენტს.

მსხვერპლს სოგჯერ რამდენიმეჯერ ყიდიან სხვადასხვა ჯგუფებსა და ბორდელებში, ან მათ უბრალოდ ამოძრავებენ ერთი ჯგუფი სხვადასხვა ბაზრებზე.

ტრეფიკინგის სამივე ფორმა ერთად არსებობს, რომელსაც პოსტ-საბოტო რესპუბლიკებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად პროფესიონალური და კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები მუშაობენ. ამ რეგიონებში ტრეფიკინგის რიცხვი ყველაზე სწრაფად იზრდება და წარმოადგენს მსოფლიოში მიმდინარე ტრეფიკინგის დაახლოებით 1/4%-ს.

აღმოსავლეთში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობისა და მიგრაციის დიდი ნაკადების, ხოლო დასავლეთში აყვავებული სექს-ინდუსტრიის გამო, უკვე არსებულმა კრიმინალურმა ქსელებმა სწრაფად შეაფასეს, რა მომგებიანი შეიძლება ყოფილიყო ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიხედვით. ხშირად ეს სფერო ქსელებია, რაც ნარკოტიკების

ტრეფიკინგისთვის იყო გამოყენებული, თუმცა, ქალებით ვაჭრობა ნარკოტიკებით ვაჭრობაზე ბევრად უფრო მომგებიანი აღმოჩნდა, თანაც, დაკავებისა და სასჯელის რისკი აქ ბევრად უფრო დაბალია.

306 პრინციპები

აუცილებელია გეგმავდეს, რომ არ არსებობს სპონტანიური ტრეფიკირებული ქალის სუსტი აღწერილობა, მაგრამ არსებობს ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ხშირად გვხვდება და ერთგვარ კონსტანტურობას აკლენენ:

- მსხვერპლთა უმრავლესობა არიან ქალები და გოგონები, მაგრამ დაახლოებით 2% არიან კაცები და ბიჭები;
- მსხვერპლთა უმრავლესობა არის 18-დან 25 წლამდე, თუმცა, თანდათან გაიზარდა რიცხვი უფრო ახალგაზრდა ტრეფიკირებული ქალებისა;
- მსხვერპლების რეკრუტირება ძირითადად ხდება პატარა სოფლებიდან, საშუალო სიღრმის ქალაქებიდან და გადატარებული რეგიონების ქალაქებიდან;
- მსხვერპლები უმეტესად უმუშევრები და ღარიბები არიან;
- მსხვერპლებს შეიძლება დაბალი განათლების სტანდარტები ჰქონდეთ;
- მსხვერპლები ხშირად დისფუნქციური ოჯახებიდან არიან;
- მსხვერპლებმა იშვიათად იციან უცხო ენა.

მაგრამ მსხვერპლის მთავარი მახასიათებელი (რაც მას მსხვერპლად აქცევს) არის ძლიერი სურვილი გაიუმჯობესოს თავისი მძიმე და ღარიბი ცხოვრების პირობები სასღვარგარეთ წასვლითა და იქ ფულის შოვნის გზით.

ყოველდღიური სტრატეგიის ეფექტურობა

პოლიტიკის შედეგები და დასკვნები

გაქროს ანტი-ტრეფიკინგული პროტოკოლის მე-9 მუხლი სახელმწიფოების მხრიდან ითხოვს “შეიმუშაონ ყოველმხრივი პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ზომები” ტრეფიკინგის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისთვის.

შესაბამისად, სახელმწიფოები უნდა შეთანხმდნენ ერთნაირ საშუალებად გეგმას, რომელშიც ჩამოაყალიბებენ ტრეფიკინგთან ბრძოლის კონსისტენტურ და ყოველმხრივ სტრატეგიას. მხარდაჭერილია ეფექტური პოლიტიკის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფისთვის სპეციფიური დაწესებულების შექმნა. SEE რამოდენიმე ქვეყანამ ის უკვე შეიმუშავა (ასევე, ბაჰრეინმა, კანადამ, განამ, პაკისტანმა და ა.შ.შ.-მ). ამ დაწესებულებამ უნდა შექმნას საშუალებები გეგმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდები. თუ საჭიროა, მან რეკომენდაციები უნდა მისცეს მთავრობას საშუალებად გეგმის ან საკანონმდებლო ჩარხის შეცვლისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მსხვერპლთან მუშაობენ, მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებით, ეს დაწესებულება შეძლებს ტრეფიკინგის სიტუაციის უფრო სუსტ შეფასებას. საერთაშორისო თანამშრომლობა ძალიან სასარგებლო იქნებოდა საკანონმდებლო ბაზების პარმონისაციისთვის. ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისას ესეც უნდა იყოს გათვალისწინებული. ხილო რაც შეეხება ტრანსნაციონალურ დანაშაულს, ამ შემთხვევაში კანონმდებლობების პარმონისაცია საერთაშორისო სტრუქტურების დღის წესრიგში უნდა მოექცეს, განსაკუთრებით ეს ეხება ევროკავშირს.²

² Kartusch (2001) 8.

პირობები და მოთხოვნები პირობების

“პირველადი პრევენციის” მიზანი ფართომასშტაბური პრობლემების გადაჭრაა, მაგალითად, რისკ-ჯგუფების ადრეული გამოვლენა. “მეორადი პრევენცია” კი მუშაობს ისეთ სიტუაციებში, სადაც მართალია ჯერ დანაშაული არ განხორციელებულა, მაგრამ ის უკვე თავისთავად იგულისხმება.

გაეროს ანტი-ტრეფიკინგული პროტოკოლის მე-9 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოებმა “უნდა მიიღონ ზომები, როგორცაა კვლევები, ინფორმაციული და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებით კამპანიების განხორციელება და სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების დანერგვა ტრეფიკინგის პრევენციისა და მასთან ბრძოლისთვის.”

ეს გულისხმობს ხალხში ტრეფიკინგთან დაკავშირებულ სიტუაციაზე ცნობიერების ამაღლებას. ეს ეფექტურია, თუ ხორციელდება ინფორმაციულად, არამენტალური ფორმით, რადგან ბევრი ქალი, რომელიც დასავლეთ ევროპაში სამუშაოდ მიდის, მსადაა იმუშაოს სექს-ინდუსტრიაში, მაგრამ არ იცის, რა პირობებში მოუწევს მუშაობა.

პირველადი პრევენციული ზომები გულისხმობს ტრეფიკინგული პირობების სოციალურ და ეკონომიკურ დაუცველობასთან ბრძოლას. რისკის ჯგუფი აქ ქალები და ბავშვებია, რომლებიც განიცდიან სიღარიბეს, უმუშევრობას, ეკონომიკურ სიდუხჭირეს, განათლების ნაკლებობას და ამასთან, ასაკობრივ, გენდერულ და ეთნიკურ დისკრიმინაციას. ტრეფიკინგის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მიმწოდებელ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რათა იქ გაუმჯობესდეს პოტენციალური მსხვერპლის საცხოვრებელი პირობები. ასე რომ, გაეროს ანტი-ტრეფიკინგული პროტოკოლის მე-9 მუხლი სახელმწიფოებს სთხოვს, რომ “მიიღონ ზომები, მათ შორის, ბილალტერალური და მულტილალტერალური კოოპერაცია, რათა შეამსუბუქონ ის ფაქტორები, რომლებიც ადამიანს, განსაკუთრებით კი ქალებსა და ბავშვებს, ტრეფიკინგისადმი დაუცველს ხდის. ესენია სიღარიბე, განვითარების დაბალი დონე და თანასწორი უფლებების ნაკლებობა”.

მეორე მიდგომა იქნება ტრეფიკინგის მსხვერპლების მიერ მოწოდებულ სერვისზე მოთხოვნების შემცირება. სოგადად რომ ეთქვათ, ფულის მიცემა ადამიანისთვის, რომელიც კრიმინალური დაჯგუფების მიერ არის ექსპლუატირებული, ნიშნავს დამნაშავეებისთვის ფულის მიცემას. შესაბამისად, თუ ნდობა ეტვი, რომ ეს პიროვნება იმყოფება კრიმინალური დაჯგუფების დაქვემდებარებაში, უმჯობესია მას საერთოდ არ მიეცეთ ფული.

ფიცილ შეიძლება ითქვას სექს-ინდუსტრიაზეც. თუ პიროვნება სექს-მუშაკია, მაგრამ ვერ ლაპარაკობს ადგილობრივ ენაზე და რაიმე სხვა ნიშნითაც უსტრანჯეს ჰქვას, ეს უკვე საბაზია მისი კრიმინალური დაჯგუფებისგან თავისუფლებაში ეტვის შესატანად. თუ პოლიციამ იცის, რომ რუმინეთიდან ხდება ბავშვების ტრეფიკინგი ენაში, სადაც ისინი მათხოვრობენ, ხალხმაც უნდა იცოდეს ეს, რათა ბავშვების ხელთ დამნაშავეებისთვის ფულის მიცემის მაგივრად, დაესმარონ ბავშვებს პოლიციაში მისვლასა და ტრეფიკინგისთვის თავის დაღწევაში.

გაეროს ანტი-ტრეფიკინგული პროტოკოლი ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ მიიღონ ისეთი ზომები – საკანონმდებლო, სოციალური და სხვა, რაც ხელს შეუწყობს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის ამოცილების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ.

სადაც არის რისკი, რომ იცის თავისუფლების დაკარგვის საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სახელმწიფო სტრუქტურებს, ეკონომიკურ პირს უნდა ესმოდეს,

რომ მისი ქცევა მიმართული უნდა იყოს სასოგადოების რწმენის მოსაპოვებლად და უნდა ასახავდეს, დაკისრებული მოვალეობებისადმი მის თავდადებულობას. შეუფერებელი იქნება, თუ სახელმწიფო პირი ისარგებლებს სხვა პირის სერვისით, რომლის ექსპლუატაციასაც კრიმინალური დაჯგუფება ახდენს. მეორე, იგივე ეხებათ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რადგან ისინი იბრძვიან ადამიანის უფლებების დაცვისთვის და შესაბამისად უნდა ესმოდეთ, რა გავლენას მოახდენს, თუ მათი პერსონალი დაეხმარება კრიმინალურ დაჯგუფებას და ამით მხარს დაუჭერს ადამიანის უფლებების დარღვევას. მსგავსი მოქმედებების პრევენცია ყველა ორგანიზაციის დღის წესრიგში უნდა იყოს, განსაკუთრებით კი ისეთების, რომლებიც სახლდარგარეთ მუშაობენ. უნდა რეგულარულად ტარდებოდეს ტრენინგები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალისთვის გენდერულ ძალადობასა და მსგავსი თემების შესახებ, როგორ შეიძლება ტრეფიკინგს ხელი შეუწოდოთ, თუ შეემატირებთ მოთხოვნას მსხვერპლის მიერ მოწოდებულ სერვისზე და ა.შ.³

ახავანის მხაზე მონა

როცა დანაშაული უკვე ჩადენილია, საქმეში ტრეფიკინგის პრევენციის მესამე დონე ვრთება. ეს გულისხმობს ყველანაირ მცდელობას, რომ შეწყდეს დანაშაულებრივი პროცესი და მოხდეს სამომავლო დანაშაულებების პრევენცია, მათ შორის, მსხვერპლის რევიქტიმისაც.

სანაშაულის პოლიცია

მესამე დონის პრევენციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაწესდეს უფრო მკაცრი სანქციები ტრეფიკორების წინააღმდეგ. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა სასჯელის პირობების დამძიმებაზე, არამედ მის გახანგრძლივებაზე. ასევე აუცილებელია, რომ სასჯელში აისახოს ჩადენილი დანაშაულების სერიოზულობა და ადამიანის უფლებების დარღვევის დონე. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლს მოეპყროთ პატივისცმითა და თანაგრძნობით და არ დაეკმაყოფილდეთ მხოლოდ კანონით განსაზღვრული დახმარებებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დათანხმდეს მსხვერპლი, მონაწილეობა მიიღოს ტრეფიკორების წინააღმდეგ პროცესში.

დამნაშაულებისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რაც მათ დაანახებს, რას ნიშნავდა მათი ქცევა მსხვერპლისთვის. ამ პროგრამებში უნდა უსრუნველყოს, რომ დამნაშავემ პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე და შეცვალოს თავისი დამოკიდებულება და ქცევა. მსგავსი პროგრამები ეფექტურად მუშაობს ისეთ მძიმე დამნაშაულებთან, როგორცაა გაუპატიურება, ან “სქინჰედების” ჯგუფის წევრებთან. როცა საქმე გვაქვს ტრეფიკინგთან, აღნიშნულმა პროგრამებმა ალბათ მხოლოდ დამატებითი როლი უნდა ითამაშონ და ევრასოდეს შეცვალონ პატიმრობას. აქ უპირატესობა ისევ მკაცრ სასჯელს ენიჭება.

³ Kartusch/Knaus/Reiter, 201.

ქართული ენის სახელმწიფო სასწავლებელი

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქ არის მოცემული. მიიღო რა ეს ინტერნაციონალური მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ასამბლეამ მოწოდებით მიმართა ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით დეკლარაციის ტექსტს და ყველაფერი იღონონ „მისი გაურცდლების, საჯაროობისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ქვეყნების ან ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განურჩევლად“.

პრეამბულა

ვ ი ნ ა ი დ ა ნ ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ ადამიანის უფლებათა უზღუდებელიყოფამ და აბუნად აცდებამ გამოიწვია ბრძაროსიანი აქტები, რაც ადამიანთა კაცობრიობის ხინდის და რომ ისეთი მსოფლიო შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებოდათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულა, როგორც ადამიანთა მაღალი მიხწრაფება; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ აუცდილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და საკვების წინააღმდეგ; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ აუცდილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ აგაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი, გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში;

ვ ი ნ ა ი დ ა ნ აწევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უსაღებო მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულებების მილიანად შესრულებისათვის, გენერალური ასამბლეა აცხადებს:

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვიდეს ყოველი ხალხი და სახელმწიფო რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიდავგ გათიყვანისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისიწრაფეოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტური აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკეთებით.

მუხლი 2

1. ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე

განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

2. გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია – დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შესაძლებელი თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ არ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალურია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წაშება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებული იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან."

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნას აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაჰკიდებენ, დატყრა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლებამოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, აქვს იმის უფლება რომ, მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გააჩინოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დაჩნაშავეობა ადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილი იქნა დანაშაული.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში. თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იკვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისი, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეპიოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.”

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წამდელიად წარმოადგენს წადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულსაკონებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ.

ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა: ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-წყევლებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამისის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეპიოს მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო სასაქონლებისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.
2. არაეის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი

21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა: ეს ნება უნდა გამოხატავდეს პერიოდულ და გაუკლებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უსრუველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უსრუველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
3. ყველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უსრუველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისათვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია ემატება სოციალური უსრუველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შეკრებების უფლების წათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება აქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების წათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უსრუველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.
2. დეკლარა და წყილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული

ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთიანი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და სოციალური მიხედვით, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს საავტოროდ; ტექნიკური და პროფესიული განათლება კი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თვითუფლის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადოდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ერთნაირად განვითარებას, შემწვანებლობასა და მეცობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პირობითი უფლება აირჩიონ რა სახის განათლება სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს სასოციალურების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორსაც იგი წარმოაგდენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ნამოთხედილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი სასოციალურების წინაშე, რადგან მხოლოდ სასოციალურებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორც კანონითაა დადგენილი მართოდ იმ მიზნით, რათა უსრულებელყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯგუფიანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, სასოციალური უწყისრისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ სასოციალურებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალი პირებისათვის უფლებისა ეწოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ნამოთხედილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

0

ადამიანის უფლებების დეკლარაცია

სტატია 1 უფლება თანასწორ შესაძლებლობაზე	სტატია 16 ქორწინების უფლება
სტატია 2 თავისუფლება დისკრიმინაციისაგან	სტატია 17 უფლება კერძო საკუთრებაზე
სტატია 3 უფლება სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი უსაფრთხოების	სტატია 18 აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება
სტატია 4 თავისუფლება მონობისაგან	სტატია 19 რწმუნის და ინფორმაციის თავისუფლება
სტატია 5 თავისუფლება წამებისა და სასტიკო მოქცევისაგან	სტატია 20 კრების და ასოციაციის თავისუფლება
სტატია 6 უფლება სამართალსუბიექტურობის აღიარებაზე	სტატია 21 უფლება იყო არჩეული და თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე
სტატია 7 თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე	სტატია 22 უფლება სოციალურ უზრუნველყოფაზე
სტატია 8 უფლება სასამართლო გარჩევაზე	სტატია 23 უფლება შრომისა და პროფესიულ კავშირებში მონაწილეობაზე
სტატია 9 თავისუფლება არაკანონიერი დაპატიმრებისაგან	სტატია 24 უფლება დასვენების და თავისუფალი დროის
სტატია 10 უფლება ღია საჯარო მოსმენაზე	სტატია 25 უფლება ადვოკატურ საცხოვრებელ სტანდარტებზე
სტატია 11 უდანაშაულობის პრეზუმცია	სტატია 26 უფლება განათლების მიღებაზე
სტატია 12 თავისუფლება პირად ცხოვრებაში ჩარევისაგან	სტატია 27 უფლება კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის და ურთიერთობის
სტატია 13 უფლება ქვეყნის გარეთ თავისუფალ გადაადგილებაზე	სტატია 28 უფლება ამ დოკუმენტით განსაზღვრულ სოციალურ წესრიგზე
სტატია 14 უფლება დევნიისაგან თავშესაფრის მოთხოვნაზე სხვა ქვეყანაში	სტატია 29 ვალდებულებები საზოგადოების წინაშე და თავისუფალი განვითარების უფლება
სტატია 15 უფლება მოქალაქეობის არჩევაზე	სტატია 30 თავისუფლება ხელყოფისაგან აქ ჩამოთვლილ უფლებებზე

ნსაოჩიხი I
მათინის პიხანი მონათხიხი

მე მეთინ ჯალიკი ვარ თურქეთის მოქალაქე, ვცხოვრობ ქ. სამსუნში. ივლისის დასაწყისიდან ვარ უმუშევარი. იენისის ბოლოს წემმა ძმა მითხრა, რომ რუსეთში ქვანახშირის კარიერებზე არის სამუშაო და თვეში 250 ამერიკულ დოლარს გადაგვიხდიან. მან ამის შესახებ შეიტყო ოლჯაისაგან, რომელიც თავისი შუფის კაბინეტში გაიცნო. მე და ჩემი ძმა ადრე ემუშაობდით ქვანახშირის მოპოვებაზე ქალაქ ბურსაში. I აგვისტოს, ოლჯაის გაცნობიდან ერთი კვირის შემდეგ მე და ჩემი თანაკლასელი, რომელსაც მე ეუთხარი ამ საჭიანი წინადადების შესახებ, ჩავედით ტრაპიზონში სადაც პორტში ოლჯაი დაგვხვდა. ჩვენ წინასწარ ვიყავით შეთანხმებული შეხვედრის დროსა და ადგილზე. მან კატერინტ გადაგვიყვანა გემზე. ალბათ იგი მოლაპარაკებელი იყო კაპიტანთან, რადგან გემზე ასვლის შემდეგ ჩვენთან მესახლერეები და საბაოს წარმომადგენლები არ მოსულან, ხოლო ოლჯაი მესაგრობის პერიოდში არავრთხელ შვევიდა კაპიტანთან კაიუტაში. 3 აგვისტოს ჩვენ შევედით რომელიცაღაც პორტში და მაშინვე ჩავედით გემიდან. გემიდან ჩამოსვლაძდე ჩვენთან არავენ მოსულა საბუთების ან ტვირთის შესამოწმებლად.

ოლჯაიმ (10 კაცი) ჩაგესვა მანქანაში, რომელიც პორტის ტერიტორიის გარეთ გველოდებოდა. 5 საათის მესაგრობის შემდეგ, მანქანა გაჩერდა უკაცრიელ ადგილზე და გადაგვსვეს სხვა სატვირთო მანქანაში. აქ ოლჯაიმ შეკრიბა ჩვენი პასპორტები სამუშაოსე საბუთების გასაფორმებლად. კიდევ ორი საათის შემდეგ მიგვიყვანეს ტყეში, სადაც იდგა ორი სახლი. აქედან ერთ-ერთი იყო ბარაკი, რომელშიც ჩვენ უნდა გვეცხოვრა. სამუშაო ადგილიც იქვე ახლოს მდებარეობდა.

სამუშაო მდგომარეობდა შემდეგში: ორი ვილებდით კარიერიდან ქვანახშირს, ხოლო ორს გადაქონდა იგი განსახლერულ ადგილზე. გუბუმედნენ ძალიან ცუდად, 15 დღის შემდეგ კი საერთოდ შეგვიწყვიტეს კება. ოლჯაი ყოველ სამ დღეში ერთხელ მოდიოდა, ხოლო როდესაც კება შეგვიწყვიტეს, საერთოდ გაქრა. უჭამდით იმას, რასაც ტყეში ვაგროვებდით. ჩვენს სამუშაოს აკონტროლებდა ვინმე ანსორი, რომელმაც ცოტა თურქული იცოდა. 3 სექტემბერს მასთან საუბრისას გავარკვიეთ, რომ ოლჯაიმ მოგვატყუა, იგი არ ამირებდა ჩვენთვის ყუღლის გადახდას და რომ უმყოფებოდით არა რუსეთში, არამედ აფხაზეთში (ტყვარჩელში) და უმჯობესი იქნებოდა თუ სახლში დაბრუნდებოდით.

ჩვენ ვთხოვეთ მას გაქცევაში დახმარება. მისგან გავიგეთ, რომ ოსამირის პორტში დატვირთვასე იდგა თურქული გემი. ტყე-ტყე ფეხით მივალწეთ გზას, საიდანაც სატვირთო მანქანით მივედით პორტში. გემის კაპიტანს მოვეუკვეთ ჩვენი ისტორია და ვთხოვეთ გემზე აყვანა. მან შემოგუთავაზა გემზეშვა გემის დატვირთვასე და დაგეთანხმდა მხოლოდ 4 ადამიანის გადაყვანასე.

ტრეფიკინგის დანაშაულის, როგორც მიხედვით კატეგორიის ორგანიზებული დანაშაულების სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვანია მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი დაზარალებულთა დაცვა და უსაფრთხოება, რომ ერთის მხრივ მასზე არ განხორციელდეს ზეწოლა დამნაშავეთა ჯგუფის მხრიდან, ხოლო მეორეს მხრივ ასეთი მუქარის შემთხვევაში არსებობდეს მისი დაცვის რეალური სამართლებრივი გარანტიები. ასეთი გარანტიების არ არსებობის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საერთოდ დაზარალებულთა და მათ წარმომადგენელთა მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში. ამიტომ გვემის პროექტში გათვალისწინებულია ვალდებულება, რომ მომზადების ეტაპზე მყოფ საქართველოს სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული ტრეფიკინგის დანაშაულებზე მოწმეთა, დაზარალებულთა და დამცველთა (ადვოკატთა) დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.

ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ამ დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ასევე ამ დანაშაულის თავდაზე მოსახლეობის სწორად ინფორმირებისათვის. სწორედ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გვემის პროექტით გათვალისწინებულია ვალდებულება, რომ კომპლექსურად შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტები და მომზადებული იქნეს ცვლილებები და დამატებები აღნიშნულ აქტებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვადასხვა ფორმების მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლის, საშუალო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა.

სამოქმედო გეგმის პროექტის მე-3 ნაწილის ძირითად ამოცანას წარმოადგენს არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება. პირველ ყოვლისა, საუბარია არალეგალური შრომითი მიგრაციის და ტრეფიკინგის რისკის შემცირებაზე, რისთვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

პროექტის მიხედვით, უნდა მოხდეს ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება სასკოლო პროგრამებში, აგრეთვე შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამები. მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საკითხებზე საზოგადოების ოპერატიული ინფორმირების უზრუნველსაყოფად საქართველოს დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებში გათვალისწინებულია შესაბამისი “ცხელი ხაზების” შექმნა და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, ოპერატორების მომზადება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი “ცხელი ხაზები” უკვე მოქმედებს, როგორც საქართველოს რამდენიმე უწყებაში (მაგალითად, გენერალური პროკურატურაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში), აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებში. ამგვარად, გვემის პროექტში საუბარია ამ პრაქტიკის გაფართოებისა და სრულყოფის შესახებ.

სამოქმედო გეგმის პროექტი ითვალისწინებს, რომ ტრეფიკინგის პრობლემასთან შეხებაში მყოფმა ყველი უწყებამ უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებათა დაგეგმვა და ჩატარება, საზღვარგარეთ მუშაობისა და სწავლის არსებული ლეგალური საშუალებების შესახებ საზოგადოების პერიოდული ინფორმირების მიზნით. ასე, მაგალითად, უნდა მოხერხდეს საქართველოს საპასპორტო-საეიზო სამსახურების, სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისა და საკონსულო დაწესებულებების უზრუნველყოფა დასარიცხვითი საინფორმაციო მასალებით საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ ლეგალური მუშაობის და ტრეფიკინგის თავიდან აცილების შესახებ.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია სათანადო მომზადების მქონე კადრების გარეშე. ამ პრობლემის მრავალპროფილიანი ხასიათიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებული საეკიპალური ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის: მოსამართლეებისათვის, საკონსულო სამსახურის თანამშრომელთათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომელთათვის, შესაზღვრეებისათვის, სოციალური მუშაკებისათვის, ჯანდაცვის სფეროს მუშაკებისათვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლებისათვის.

დაბოლოს, ტრეფიკინგის საფრთხის ადრულ ეტაპზე პროფილაქტიკის მიზნით, სამოქმედო გეგმის პროექტის განსახილველი ნაწილი ითვალისწინებს ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხების შეტანას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში, შესაბამისი პროფილის პედაგოგების მომზადებასა და გადამზადებას.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ქველთი ღონისძიებების განხორციელება ძალზე გართულებდა, თუ არ იქნება ადეკვატურად შეფასებული არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის მასშტაბები. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის პროექტის მიხედვით, ამოცანას წარმოადგენს არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემის შესახებ სრული საინფორმაციო სურათის შექმნა.

ამ მიზნის მისაღწევად, სამოქმედო გეგმის პროექტის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს არალეგალური შრომითი მიგრაციის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულებზე დამნაშავე პირთა ერთიან მონაცემთა ბაზის (საინფორმაციო სამსახურის) ფორმირებას და მისი გამოყენების წესისა და პირობების შემუშავება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ამასთან, გათვალისწინებულია წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემის შემუშავება, ამ ქვეყნებთან რეგულარული კონტაქტების და თანამშრომლობის გარღმავება, ტრეფიკინგის ფაქტების თავიდან აცილების, მსხვერპლთა წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით.

ტრეფიკინგის ტრანსნაციონალური ბუნების გათვალისწინებით, ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს საგარეო უწყების მუშაობას. დღემდე ამგვარი საქმიანობა საზღვარგარეთ მოქმედი საქართველოს დიპლომატიურ თუ საკონსულო დაწესებულებებში უფრო ერთგვარად და სპონტანურ ხასიათს ატარებდა. პრობლემის სერიოზულობიდან გამომდინარე, საჭიროა, რომ ამგვარ მუშაობას მუდმივი და მიზანმიმართული სახე მიეცეს. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმის პროექტის მიხედვით, ტრეფიკინგის დანაშაულების თვალსაზრისით მომატებული რისკის ქვეყნებში მოქმედ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომელთა უფლებამოსილებაში აუცილებელია ამ პრობლემების გათვალისწინებაც.

სამოქმედო გეგმის პროექტის მე-5 ნაწილში ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა კომპლექსია წარმოდგენილი. სახელდობრ, გათვალისწინებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მხარდაჭერის სისტემის შემუშავება და ამოქმედება, კანონმდებლობაში, პოლიტიკაში და დახმარების სამსახურებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება რისკ-ჯგუფების გენდერულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

არსებითად, სამოქმედო გეგმის პროექტის ამ ნაწილში საუბარია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ეროვნული რეგულაციური მექანიზმის შესაქმნელად აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. ამგვარი მექანიზმის ჩამოყალიბება რეკომენდირებულია ეუთოს, კერძოდ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ, როგორც ამ დანაშაულის მსხვერპლთა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

ზემოხსენებული ამოცანებიდან გამომდინარე, გეგმის პროექტში წარმოდგენილია შემდეგი დავალებები:

ადამიანის ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების პროცესში საქართველოს შს ორგანოების და პროკურატურის თანამშრომელთა ქცევის წესების (ეთიკის კოდექსის) შემუშავება და დანერგვა, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე;

2005 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში წინადადებების შემუშავება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემის შექმნის შესახებ;

2005 წლის მეორე ნახევრიდან სოციალურ-ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემის ამოქმედება, მსხვერპლთა სრული ანონიმურობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ამას გარდა, სამოქმედო გეგმის პროექტის მიხედვით, შესამუშავებელია წინადადებები ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სპეციალური თავშესაფრების შექმნის შესახებ. ამ მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროებს დაევალება წინადადებების მომზადება საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აუცილებელი თანხის გათვალისწინების შესახებ.

პროექტის ამ ნაწილის შედგენისას დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ სამოქმედო გეგმის რეალიზაციის პროცესში სახელმწიფოს შეეძლო უკვე არსებული შესაძლებლობების გამოყენება. სწორედ ამიტომ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის უფასო ანონიმური სამედიცინო დახმარებისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ჯანდაცვის არსებული, და არა ახალი, პროგრამების ფარგლებში.

ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ქმედითი სამართლებრივი დახმარების და სამართალწარმოების პროცესში უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის საკითხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის პროექტში ჩადებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეებისათვის სამართლებრივი დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, უფასო საადვოკატო დახმარების უზრუნველყოფის ჩათვლით.

სამოქმედო გეგმის პროექტის მე-ნაწილის მიზანია არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება, რისთვისაც საჭიროა არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მაკოორდინირებელი და სპეციალიზირებული აღმასრულებელი ორგანოების არსებობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ამ მიზნით, სამოქმედო გეგმის პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შრომითი მიგრაციისა და ადამიანის ტრეფიკინგის ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო-საკონსულტაციო საბჭოს (კომისიის) შექმნა. ამგარი სტრუქტურის შექმნის უფლებას გვაძლევს „საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-4.3 და მე-6 მუხლები. ამ უწყებათაშორისი სტრუქტურის ფარგლებში შესაძლებელია, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მუშა გეგუვის ბაზაზე ჩამოყალიბდეს შესაბამისი სამუშაო ორგანო.

ინსტიტუციონალური მექანიზმების გაძლიერების - მიზნით, გეგმის პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების სტრუქტურაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი დამოუკიდებელი ქვედანაყოფების შექმნა, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიგრაციისა საკითხებზე მიმუშავე ქვედანაყოფის შექმნა.

სამოქმედო გეგმის პროექტის ბოლო, მე-7 ნაწილი ითვალისწინებს არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგს, რომლის მეშვეობით განხორციელდება გეგმის შესრულების კონტროლი, მოცემულ სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთა და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება მათ დასაძლევად.

პროექტის ამ ნაწილის მიხედვით, განსახორციელებელია შემდეგი ღონისძიებანი:

ტრეფიკინგის პოტენციალურ მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინდიკატორების დადგენა, შემდგომში ტრეფიკინგის პრევენციის ზომების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით;
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის ინფორმაციების წარდგენა საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, ამ ინფორმაციების განხილვა და აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსათვის შესაბამისი მოსყენების მომზადება;
ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ჩაბმა მონიტორინგის პროცესში;
გაეროში ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის საწინააღმდეგო კონვენციისა შესახებ სახელმწიფო მოსენებების მომზადება ტრეფიკინგის და სექსუალური ექსპლუატაციის პრობლემის გათვალისწინებით;
მონიტორინგის პროცესისა და შედეგების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის გამოყენებით.

ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მუშა უკუფის მიერ შემუშავებულია ინდიკატორები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდება ადამიანთი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის რეალიზაციის ობიექტური შეფასება.

განსახილველი გეგმის შესრულება პრაქტიკულად არ მითხოვს დამატებით ფინანსურ უზრუნველყოფას. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. წინამდებარე განმარტებით ბარათში წარმოდგენილი ინფორმაცია სამოქმედო გეგმის მე-5 ნაწილის თაობაზე), ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სპეციალური თავშესაფრების შექმნის მიზნით შესაბამებელია წინადადებები 2006 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან სათანადო თანხების გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის პროექტის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებული სპეციალური ტრენინგების ჩატარებას, ამ დავალების შესრულება არ მოითხოვს სპეციალურ დაფინანსებას. ამ კუთხით საქმოდ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ ამგვარი საქმიანობის სათანადო გამოცდილება.

წინამდებარე სამოქმედო გეგმის პროექტი მომზადებულია ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მუშა უკუფის მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ დაინტერესებული სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქართველი ექსპერტები. სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში ეუთოს მისიის ადამიანური განზომილების ოფისის მხარდაჭერით, გათვალისწინებულია უცხოელი ექსპერტების შენიშვნები და რეკომენდაციები.

საეკლესიო სინოდის საეკლესიო ადმინისტრაციის შეწყობის აქტივობის და დადგენილების შესახებ

საეკლესიო სინოდის საეკლესიო ადმინისტრაციის აქტივობის და დადგენილების შესახებ:

მუხლი 143¹ ადმინისტრაციის აქტივობის (ტრენინგები)

1. ადმინისტრაციის აქტივობის და დადგენილების შესახებ, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადმინისტრაციის გადამხრება, გადაყვანა, გადახრება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, ისევე თანესუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგვის;

ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) დამინდობის მიზნით წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ე) დასარალებულის სასღვარგარეთ გაყვანით;

ვ) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ზ) წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამინდობის მიზნით მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, ისევე თანესუფლების აღკვეთით, ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია დასარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, - ისევე თანესუფლების აღკვეთით, ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.

შენიშვნა:

კოდექსის ამ და 1432 –ე მუხლების მიზნებისათვის ექსპლუატაციად ჩითვლება ადმინისტრაციის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადმინისტრაციის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადმინისტრაციის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტთა ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის მიმოქროვისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

მუხლი 143² არასრულწლოვანთა ვაჭრობა (ტრეფინგი)

1. არასრულწლოვანთა ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რეიდან თხუთმეტ წლამდე.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იძულებით, სანტაუით ან მოტყუებით;

გ) ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ვ) სამსახურბრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია არასრულწლოვანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

სახანსაყოფაო და საგარეო ურთიერთობების მინისტრის
ქვეყნის

ოქმი

დადგინების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების
სადაც არის მათი დასახლება, აღნიშნული და დასახლება

პროცესი

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,

აცხადებენ, რომ აღნიშნულის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის
აღკვეთა და მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს წარმოშობის, ტრანზიტისა და
დანიშნულების ქვეყნებში მრავალმხრივ საერთაშორისო მიდგომას, რომელიც მოიცავს
ტრეფიკინგის აღკვეთის, ტრეფიკერების დასჯისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის
ლორისძიებებს, აღნიშნული საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დაცვის ჩათვლით,

მხედველობაში იღებენ იმ გარემოებას, რომ მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის
არსებობის მიუხედავად, რომლებიც შეიცავს აღნიშნულის, განსაკუთრებით ქალებისა და
ბავშვების, ექსპლუატაციასთან ბრძოლის წესებსა და პრაქტიკულ ღონისძიებებს, არ
არსებობს უნივერსალური დოკუმენტი, რომელიც ეხება ტრეფიკინგის ყველა ასპექტს,

შეფოთებას გამოთქვამენ, რომ ამგვარი დოკუმენტის არარსებობით, პირები, რომლებიც
დაუცველი არიან ტრეფიკინგისაგან, არ იქნებიან საკმარისად დაცულნი;

მოითხოვენ გენერალური ასამბლეის 1998 წლის 9 დეკემბრის №53/111 რეზოლუციაზე,
რომლითაც ასამბლეამ გადაწყვიტა, დაეარსებინა ღია მთავრობათშორისი ad hoc კომიტეტი
ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მრავალმხრივი
საერთაშორისო კონვენციის შემუშავებისა და ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის
წინააღმდეგ, inter alia, საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავების განხილვის მიზნით,

დარწმუნებულნი არიან, რომ ამ დანაშაულის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის
მიზნებისთვის მიზანშეწონილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას
ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ დაემატოს აღნიშნულის,
განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და
დასჯის შესახებ ოქმი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული
ერების კონვენციასთან დამოკიდებულება

1. გაერთიანებული ერების კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის
წინააღმდეგ ემატება წინამდებარე ოქმი. ეს ოქმი უნდა განიმარტოს კონვენციასთან
ერთად.
2. კონვენციის დებულებები, mutatis mutandis, გამოიყენება ამ ოქმის მიმართ, თუ ოქმით
სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. ამ ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები უნდა ჩაითვალოს
კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებად.

მუხლი 2
მიზნები

ამ ოქმის მიზნებია:

- (ა) ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
- (ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, მათი უფლებების სრული პატივისცემით; და
- (ც) აღნიშნული მიზნების მისაღწევად მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მუხლი 3
ტერმინების განმარტება

ამ ოქმის მიზნებისათვის:

- (ა) “ტრეფიკინგი” ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრასპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებელის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას;
- (ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს;
- (ც) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით უნდა ჩაითვალოს “ტრეფიკინგად” მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება;
- (დ) “ბავშვი” გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე.

მუხლი 4
გამოყენების სფერო

ეს ოქმი, თუ მასში სხვა რამ არ არის დადგენილი, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების აღკვეთის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, თუ აღნიშნული დანაშაულები ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და მონაწილეობს დაზნაშავვითა ორგანიზებული ჯგუფი, ასევე აღნიშნული დანაშაულების მსვერპლთა დაცვისათვის.

მუხლი 5
კრიმინალიზაცია

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა სისხლის სამართლის დანაშაულებად გამოცხადდეს ამ ოქმის მე-3 მუხლში მითითებული ქმედებები, როდესაც ისინი ჩადენილია განზრახ.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს:

- (a) ქვეყნის შიგნით მოქმედი სამართლებრივი სისტემის ძირითადი დებულებების დაცვის პირობით, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი დანაშაულის ჩადენის მცდელობა;
- (b) ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ დანაშაულში თანამონაწილეობა; და
- (c) სხვა პირთა ორგანიზება ან ხელმძღვანელობა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი დანაშაულის ჩასადენად.

II. სიხუფიჩინის მსხვერპლთა დაცვა

მუხლი 6

ტრეფიკინგის მხეპრლთა დახმარება და დაცვა

- 1. შესაბამის შემთხვევებში და შიდა კანონმდებლობით დაშეებულ ფარგლებში, თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირადი ცხოვრება და ვინაობა, inter alia, ტრეფიკინგთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონფიდენციალურობის ჩათვლით.
- 2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი შიდა სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ზომებს, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლს, შესაბამის შემთხვევებში, უზრუნველყოფს:
 - (a) ინფორმაციით შესაბამის სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე;
 - (b) დახმარების გაწევით, იმ მიზნით, რომ მათი შეხედულებები და პრობლემები წარმოდგენილ და მხედველობაში მიღებულ იქნეს დანაშაულთა წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების შესაბამის სტადიებზე, იმგვარად, რომ არ შეილახოს დაცვის მხარის უფლებები.
- 3. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს იმპლემენტაციის ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებას, შესაბამის შემთხვევებში, არასამთავრობო ან სხვა ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ჩათვლით; კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებმა ისინი უნდა უზრუნველყონ:
 - (a) შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით;
 - (b) მათთვის გასაგებ ენაზე რჩევით და ინფორმაციით, განსაკუთრებით მათ სამართლებრივი უფლებებთან დაკავშირებით;
 - (c) სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით; და
 - (d) დასაქმებით, განათლებითა და სწავლებით.
- 4. ამ მუხლის დებულებათა გამოყენების დროს თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ასაკი, სქესი და სპეციალური მოთხოვნილებები, განსაკუთრებით ბავშვების სპეციალური მოთხოვნილებები, სათანადო საცხოვრებელი პირობების, განათლებისა და მზრუნველობის ჩათვლით.
- 5. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოება, სანამ ისინი იმყოფებიან მის ტერიტორიაზე.
- 6. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა სამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლს საშუალებას მისცემს, მიიღოს კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატუსი მიმღებ სახელმწიფოში

1. ამ ოქმის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულ ღონისძიებებთან ერთად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა სათანადო ზომების მიღება, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში ტრეფიკინგის მსხვერპლთ მის ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად დარჩენის ნებას რთავს.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დებულების განხორციელებისას თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ჰუმანურობისა და თანაგრძნობის ფაქტორები.

მუხლი 8

ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაცია

1. მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი მიმღებ სახელმწიფოში შესვლის მომენტისთვის, ვალდებულია ხელი შეუწყოს და მიიღოს უკან დაბრუნებული ასეთი პირი დაუსაბუთებელი და არაგონიერული დაყოვნების გარეშე, მისი პირადი უსაფრთხოების დაცვის სათანადო გათვალისწინებით.
2. თუ მონაწილე სახელმწიფო ტრეფიკინგის მსხვერპლს აბრუნებს იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც იყო ეს პირი ან რომელშიც იგი მუდმივად ცხოვრობდა მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისთვის, მაშინ ამ პირის დაბრუნებისას სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი პირადი უსაფრთხოება და ტრეფიკინგის ფაქტზე აღძრული ნებისმიერი სამართალწარმოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული; და სასურველია, პირის დაბრუნება მოხდეს ნებაყოფლობით.
3. მიმღები მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ დაუსაბუთებელი ან არაგონიერული დაყოვნების გარეშე უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ტრეფიკინგის მსხვერპლი მისი მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისათვის.
4. სათანადო დოკუმენტაციის არმქონე ტრეფიკინგის მსხვერპლის დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფომ, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები არის ეს პირი მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისთვის, მიმღები სახელმწიფოს თხოვნით უნდა გასცეს ისეთი სამგზავრო დოკუმენტები ან სხვა ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამ პირის მიერ მის ტერიტორიაზე დაბრუნებისა და შესვლისათვის.
5. ეს მუხლი არ უნდა ხელყოფდეს მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მინიჭებულ უფლებებს.
6. ეს მუხლი არ უნდა ხელყოფდეს ნებისმიერ მოქმედ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არეგულირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაბრუნების საკითხებს.

III. ალჯათუ, თანამშრომლობა და სხვა ღონისძიებაები

მუხლი 9

ტრეფიკინგის აღკვეთა

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ამომწურავი პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ღონისძიებები:
 - (ა) ტრეფიკინგის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით; და
 - (ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, განმეორებით მსხვერპლად ქცევისგან დაცვის მიზნით;
2. ტრეფიკინგის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა კვლევითი საქმიანობა, საინფორმაციო და მასშედის კამპანიები და სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები.
3. ამ მუხლის შესაბამისად შემუშავებული პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ღონისძიებები, საჭიროების მიხედვით, უნდა მოიცავდეს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა შესაბამის დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.
4. მონაწილე სახელმწიფოებმა ორმხრივი ან მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით უნდა მიიღონ ან გაამდიდრონ ღონისძიებები, რათა მოხდეს იმ ფაქტორების შემცირება, რომლებიც პირებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, დაუცველს ხდის ტრეფიკინგისგან, კერძოდ, ისეთი ფაქტორების შემცირება, როგორცაა სიღარიბე, განვითარების დაბალი დონე და თანაბარი შესაძლებლობების ნაკლებობა.
5. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ან გაამდიდრონ საკანონმდებლო და სხვა ზომები, როგორცაა საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, რათა შეზღუდონ ის მოთხოვნა, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი ფორმით ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაციას, რაც იწვევს ტრეფიკინგს.

მუხლი 10

ინფორმაციის გაცვლა და ტრეინინგი

1. მონაწილე სახელმწიფოთა სამართალდამცავმა, საემიგრაციო და სხვა შესაბამისმა უწყებებმა, საჭიროების მიხედვით, ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ ინფორმაციის გაცვლის გზით, მათი შიდა კანონმდებლობების შესაბამისად, რათა დაადგინონ:
 - (ა) არიან თუ არა ტრეფიკერები ან ტრეფიკინგის მსხვერპლნი ის პირები, რომლებიც სხვისი სამგზავრო დოკუმენტებით ან სამგზავრო დოკუმენტების გარეშე კვეთენ ან ცდილობენ გადაკვეთონ საერთაშორისო საზღვარი;
 - (ბ) რა სახის სამგზავრო დოკუმენტები იქნა გამოყენებული ან რა სახის სამგზავრო დოკუმენტების გამოყენების მცდელობას ჰქონდა ადგილი საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთის დროს ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენის მიზნით; და
 - (გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების მიერ ტრეფიკინგის მიზნით გამოყენებული საშუალებები და მეთოდები, მათ შორის მსხვერპლთა გადაბირება და ტრანსპორტირება, ასეთ ჯგუფებსა და ტრეფიკინგში მონაწილე პირებს შორის არსებული კავშირები და მარშრუტები და მათი გამოვლენის შესაძლო გზები.
2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ან გააძლიერონ სამართალდამცავი, საემიგრაციო და სხვა შესაბამისი უწყებების თანამდებობის პირთა მომზადება ტრეფიკინგის აღკვეთის სფეროში. მომზადება უნდა ეხებოდეს ტრეფიკინგის აღკვეთის მეთოდებს, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივ დევნას და

მსხვერპლთა უფლებების დაცვას, ტრეფიკერებისაგან მათი დაცვის ჩათვლით. მომზადება უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა და ბავშვთა დაცვის, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენლებთან დაკავშირებულ საკითხებს და ყურადღებას უნდა ამახვილებდეს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა შესაბამის დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.

- ინფორმაციის მიმღები მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ინფორმაციის მიმწოდებელი მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერი თხოვნა ამ ინფორმაციის შეზღუდულ გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუხლი 11

სასაზღვრო ღონისძიებები

- ადამიანების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუღალხავად, მონაწილე სახელმწიფოებმა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაამდიერონ საზღვრის კონტროლის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ტრეფიკინგის აღკვეთისა და გამოვლენისათვის.
- თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა, შესაძლებლობების ფარგლებში, აღიკვეთოს კომერციულ გადამზიდველთა სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით ამ ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.
- საჭიროების შემთხვევაში და მოქმედი საერთაშორისო კონვენციების შეუღალხავად, ისეთი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს კომერციული გადამზიდველთათვის, მათ შორის ნებისმიერი სატრანსპორტო კომპანიის ან სატრანსპორტო საშუალების მფლობელთათვის და ოპერატორებისათვის იმის დადგენის ვალდებულების დაკისრებას, რომ ყველა მგზავრი ფლობდეს მიმღებ სახელმწიფოში შესვლისათვის საჭირო ყველა აუცილებელ სამგზავრო დოკუმენტს.
- შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისთვის დაწესდეს სანქციები.
- თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლითაც შესაძლებელია, მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ოქმით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირებისთვის მათ ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმა ან მათთვის ვიზების გაუქმება.
- კონვენციის 27-ე მუხლის შეუღალხავად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სასაზღვრო კონტროლის ორგანიზების შორის თანამშრომლობის გააძლიერების შესაძლებლობა, *inter alia*, პირდაპირი საკომუნიკაციო არხების შექმნის და ოპერირების გზით.

მუხლი 12

დოკუმენტების დაცვა და კონტროლი

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს რათა:

- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ მის მიერ გაცემული სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არის ისეთი ხარისხის, რომ იოლი არ იყოს მათი ბოროტად გამოყენება და გაყალბება ან უკანონოდ შეცვლა, დუბლირება ან გაცემა; და
- უზრუნველყოფილი იქნეს მონაწილე სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით გაცემული სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მთლიანობა და უსაფრთხოება და არ მოხდეს მათი უკანონო შექმნა, გაცემა და გამოყენება.

მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, მეორე მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, გონივრულ ვადაში დაამოწმოს იმ სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობა და მოქმედების ვადა, რომლებიც გაცემულია მისი სახელით ან არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გაცემულია მისი სახელით და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი, რომ გამოიყენება ტრეფიკინგისთვის.

IV. დასაბუთო დებულებები

მუხლი 14

დათქმა

1. ამ ოქმში არაფერი უნდა ხელყოფდეს სახელმწიფოთა და პირთა საერთაშორისო სამართლით, მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების სამართლით გათვალისწინებული უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს, ხოლო შესაბამის შემთხვევებში, 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის ოქმს, აგრეთვე ამ დოკუმენტებით დადგენილ non-refoulement პრინციპს.
2. ამ ოქმში აღნიშნული ღონისძიებების განმარტება და გამოყენება უნდა მოხდეს ისე, რომ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ პირები, იმის გამო რომ ისინი არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ამ ღონისძიებათა განმარტება და გამოყენება უნდა მოხდეს დისკრიმინაციის დაუსწავლობის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 15

დავების მოგვარება

1. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ ამ ოქმის ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით.
2. თუ ამ ოქმის ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით გონივრულ ვადაში, მაშინ სადაო საკითხი, ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნით, უნდა გადაეცეს არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟის დანიშვნასთან დაკავშირებით მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის ვადაში ეს მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის ორგანიზებაზე, მაშინ ერთ-ერთ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დავა განსახილველად გადასცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ამავე სასამართლოს სტატუტით დადგენილი წესით.
3. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს, ამ ოქმის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს ამ მუხლის მე-2 პუნქტს. ამ მუხლის მე-2 პუნქტს არ ექნება სავალდებულო ძალა სხვა წევრი სახელმწიფოებისთვისაც იმ წევრ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელმაც გააკეთა ასეთი დათქმა.
4. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია გააუქმოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და მიერთება

1. ეს ოქმი ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად 2000 წლის 12-დან 15 დეკემბრამდე იტალიის ქალაქ პალერმოში, ხოლო ამ ვადის შემდეგ – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ქალაქ ნიუ იორკში 2002 წლის 12 დეკემბრამდე.
2. ეს ოქმი ასევე ღიაა ხელმოსაწერად ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისათვის, თუ ასეთი ორგანიზაციის ერთ წევრ სახელმწიფოს მაინც აქვს ხელმოწერილი ეს ოქმი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.
3. ეს ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტი დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის დეპონირება შეუძლია, თუ მისმა ერთმა წევრმა სახელმწიფომ მაინც მოახდინა ასეთი დოკუმენტის დეპონირება. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტში ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლები ამ ოქმით რეგულირებულ საკითხებთან მიმართებაში. ასეთმა ორგანიზაციამ ასევე უნდა აცნობოს დეპოზიტარს მისი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
4. ეს ოქმი ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციისთვის, რომლის ერთი წევრი მაინც არის ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფო. მიერთების დოკუმენტი დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. მიერთების დროს, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლები ამ ოქმით რეგულირებულ საკითხებთან მიმართებაში. ასეთმა ორგანიზაციამ ასევე უნდა აცნობოს დეპოზიტარს მისი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ მე-40 დოკუმენტის დეპონირებიდან 90-ე დღეს, მაგრამ ეს ოქმი ძალაში არ შევა კონვენციის ამოქმედებამდე. ამ პუნქტის მიზნებისთვის, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ დეპონირებული დოკუმენტი არ ჩათვლება ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ დეპონირებული დოკუმენტების დამატებით საბუთად.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისათვის, რომელიც მოახდენს ამ ოქმის რატიფიკაციას, მიიღებს, დამტკიცებს ან მიუერთება მას მე-40 დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, მაშინ ამ სახელმწიფოსათვის ან ორგანიზაციისთვის ეს ოქმი ძალაში შევა მის მიერ სათანადო დოკუმენტის დეპონირებიდან 30-ე დღეს ან ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ამ ოქმის ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ რომელი თარიღი დადგება უფრო გვიან.

ცვლილებების შეტანა

1. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ ოქმის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება მასში ცვლილების შეტანის შესახებ და

გადაუგზავნოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელმაც შემდგომ ცვლილების შესახებ წინადადება უნდა გადაუგზავნოს მონაწილე სახელმწიფოებს და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციას მისი განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის სხდომაზე მონაწილე სახელმწიფოები ყოველმხრივ უნდა შეეცადონ ცვლილებების შეტანის მიზნით წარმოდგენილ თითოეულ წინადადებასთან დაკავშირებით მიაღწიონ კონსენსუსს. თუ კონსენსუსის მიღწევის ყველა მექანიზმი ამოიწურა, ხოლო შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, მაშინ, უკანასკნელი გამოსავლის სახით, ცვლილება მიღებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი მაინც.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციები, მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, სარგებლობენ იმდენი ხმის უფლებით რამდენი მათი წევრი სახელმწიფოც არის ამ ოქმის მონაწილე, ასეთ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ხმის უფლების განხორციელება, თუ მათი წევრი სახელმწიფოები თვითონ ახორციელებენ ამ უფლებას და პირიქით.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ცვლილება ექვემდებარება მონაწილე სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ცვლილება მონაწილე სახელმწიფოსთვის ძალაში შედის მის მიერ რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის გენერალურ მდივანთან დეპონირებიდან 90 დღის შემდეგ.
5. ძალაში შესული ცვლილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც გამოთქვეს თანხმობა ამ ცვლილების სავალდებულობის თაობაზე. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ ოქმის დებულებები და ადრინდელი ცვლილებები, რომელთა რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცებაც მათ მოაზღვინეს.

მუხლი 19 დენონსაცია

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.
2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია წვეტს ამ ოქმის წევრობას, თუ ამ ორგანიზაციის ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა მისი დენონსაცია.

მუხლი 20 დეპოზიტარი და ენები

1. ამ ოქმის დეპოზიტარად ინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.
2. ამ ოქმის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ორიგინალები, რომელთაგან ყველა აუთენტურია, დეპონირებულ უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

რის დასტურადაც, ქვემოთ სრულუფლებიანი ხელისმომწერნი, თავიანთი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

ნაწიანის უფლებათა სახანაჯიო ჰინსიუნი იმ ჰინაბთა მიმართებაში, რომელიც ნაწიანებით სახითაშოხისო ვაჰიოში დასახილენა

ვაჰიანი: *ფონსანი* აქვით ვაჰიონი ნინალოზა, პრანსი სახითაშოხისო ითიონი
ქაბოი პაიონის უფლებათა მხანა, ა.შ.მ.
ბოზაჯიო აქვით ვაჰიონი ნინალოზა, აქონი

მონა მინახი:

სტანდარტული პრინციპები - ეს ადამიანის უფლებათა შესახებ იმ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების დამუშავების შედეგია, რომლებიც საერთაშორისო-საკანონმდებლო სორმების ჩარჩოებში არის აღიარებული.

დოკუმენტის მიზანია იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც სექს-მონობაში გამოყენებით დასარაღდენ, ასევე მათი ჩათვლით, ვინც ექსპლუატრებული იყენენ ძალადობრე ან იძულებით შრომაში, ან მონობის სხვა ფორმებში.

სტანდარტული პრინციპები იცავენ ვაჭრობისაგან დასარაღებულ პირთა უფლებებს. დაცვის საკანონმდებლო მექანიზმების ჩათვლით, ისინი მიმართული არიან დასარაღებულთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრის, მატერიალური ანაზღაურების უზრუნველყოფის, ფინანსური კომპენსაციისა და მათი სულიერი თუ ფიზიკური გამოჯანმრთლების ხელშეწყობისაკენ.

საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ყოველი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, ვალდებულია უზრუნველყოს მათი შესრულება, მათ შორის - ძალადობის თავიდან აცილება, ძალადობის შედეგების კომპეტენტური გამოძიების გარანტირება, მოსალაღეთა დასჯა და ძალადობისაგან დასარაღებულთათვის კომპენსაციის მიცემა.

სტანდარტები მოიცავს ვაჭრობის განსაზღვრას და მოითხოვს შესაბამის სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს ვაჭრობისაგან დასარაღებულ პირთა მიმართ.

ვაჭრობა: ყველა ქმედება ან განზრახვა, დაკავშირებული (ვალდებული პირის (ან ასევე პირთა ჯგუფის) გადაბრუნების თან, მის ტრანსპორტირებასთან ქვეყნის ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ, რომელიც მოიცავს ყიდვას, გაყიდვას, გადაცემას, ამ მოქმედებებიდან მოგების მიღებას ან უზარალოდ ასეთი პირის (პირთა) შენახვას შემდგომში მოტყუების გზით გამოსაყენებლად, იძულებით (ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით), თანამდებობრივი მდგომარეობის ან სავალო კაბალის გამოყენებით, ასევე პირის (პირთა) დამოკიდებულებაში ან მონობის პირობებში ყოლა დამოუკიდებლად იმისა, ნაზღაურდება ასეთი შრომა თუ არა.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა: ყველა საკანონმდებლო დონეზე, სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკაში, არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა გამოიყენოს დისკრიმინაციული მიდგომა ვაჭრობისაგან დასარაღებულ პირთა მიმართ.

უსაფრთხოების და სამართლიანი ფორმულირების გარანტიები: ყველა სახელმწიფოს მართებს აღიაროს, რომ ვაჭრობისაგან დასარაღებულ პირებს წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების მსხვერპლს. მაშასადამე, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა დაიცავს დასარაღებულთა უფლებები, მიუხედავად მათი განუსაზღვრელი მიგრაციული სტატუსისა. ამასთან, დაიცვას ისინი რეპრესიებისაგან, ფიზიკური, მორალური და სხვა სახის აბუსივად ადვებისაგან.

მართლმსაჯულებასთან დაშვება: სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი ქმედებები, მიმართული ცოცხალი საქონლით მივაჭრეთა დასჯისაკენ არ შეეწინააღმდეგება დასარაღებულთა კერძო უფლებების დაცვის პრინციპებს, არ დამიცრებს პირადი ღირსების გრანობას და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. ცოცხალი საქონლის მოვაჭრეთა წინააღმდეგ შესაძლებელია ბრალდების წაყენება სქესობრივ ან ძალადობის სხვა ფორმებში (მკვლელობის, იძულებითი ორსულობის და იძულებითი აბორტის ჩათვლით), მოტაცებაში, არად ჩაგდებაში, სისასტიკეში, არადამინურ ან დამამცირებელ მოპყრობაში, მონობაში ან მის მსგავს პირობებში შენახვაში, რომელთაც მიეკუთვნება: იძულებითი შრომა, სავალო კაბალა ან იძულებითი ქორწინება.

ანაზღაურების გარანტია: სახელმწიფომ ვაჭრობისაგან დასარალბეულნი უნდა უზრუნველყოს უფლებით, მიაღწიონ დამნაშავეთაგან და მათი თანამონაწილეთაგან ზიანის ანაზღაურებას.

ლეგალური ყოფნის უფლება: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ვაჭრობისაგან დასარალბეულნი შესაბამისი დროებითი ყიზით, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის (ასევე მუშაობის) უფლებას იძლევა სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ სხვა პროცესების ან მოსმენების განმავლობაში. სახელმწიფომ დასარალბეულნი უნდა უზრუნველყოს მუდმივი თავშესაფრის მოთხოვნის უფლებით იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი იქნენ გაყვანილნი, ხოლო დეპორტაციის შემთხვევაში რეპრესიების გამოყენების შესაძლებლობით ამ სახელმწიფოს მიმართ.

სამედიცინო მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა: დასარალბეულ პირებს სახელმწიფოებმა უნდა აღმოუჩინონ აუცილებელი სამედიცინო დახმარება და უზრუნველყონ სოციალური მომსახურებით მოცემულ ქვეყანაში დროებითი ყიზის განმავლობაში.

რეაბილიტაცია და რენეტგრაცია: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დასარალბეულთა სამშობლოში დაბრუნება მათი უსაფრთხოების სრული გარანტით და მხოლოდ მათი თანხმობით, იმ პირობით, რომ ისინი თავად შეძლებენ არის გაკეთებას.

რეაბილიტაციის პროცესი: ეს პროცესი უნდა შეიცავდეს სამედიცინო და ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფას, საკანონმდებლო დაცვასა და სოციალურ მომსახურებას, რომელიც დასარალბეულთა გამოჯანმრთელებისკენაა მიმართული.

სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა: სახელმწიფოები მოვალენი არიან ითანამშრომლონ ამ სტანდარტების შესრულების უზრუნველსაყოფად.

შეჯამება:

სტანდარტების შექმნა შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო დოკუმენტების დამუშავების შედეგად, რომლებიც ოფიციალურად არიან აღიარებული საერთაშორისო იურიდიულ ნორმებად. სტანდარტები მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობის შეცნობის გასაძლიერებლად და დასაცავად, და ეხება ადამიანებით საერთაშორისო ვაჭრობისაგან დასარალბეულ პირებს, მათ შორის - ძალადობრივ ან იძულებით შრომისთან დაქვემდებარებულ პირებს, რაც გათვალისწინებულია მონობასთან.

მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც წარმოადგენდა ობიექტს ან საგანს იმ მოვატრისა, რომელიც ძალადობის, მოტყუების ან საეალო კაბალის გამოყენებით, საკუთარი შრომისა და სხეულის გაკონტროლების საშუალებას ართმევდა მას.

სტანდარტები წარმოადგენენ დასარალბეულთა უფლებების დაცვის ინსტრუმენტს და იცავენ მათ კანონის ძალით. ისინი მიმართულია დასარალბეულთა ელემენტარული უფლებების დაცვისაკენ, უზრუნველყოფენ რა მათ საკანონმდებლო მექანიზმებით, ზიანის ანაზღაურებით და გამოჯანმრთელებაში დახმარებით. სტანდარტები ასევე ითვალისწინებს დასარალბეულთა დაცვას ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან.

სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან უზრუნველყონ ადამიანებით ვაჭრობისაგან დასარალბეულთა დაცვის გარანტიები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობაში, რომლებიც რატიფიცირებული არიან ამ სახელმწიფოთა მიერ. ასეთი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულება აუცილებელია. ამავე დროს, არსებობს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ განმტკიცებული მრავალი წესი და სტანდარტი, რომელიც კვლავაც რჩება სარეკომენდაციო ნორმად გაეროში შემავალი ქვეყნებისათვის. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო მექანიზმები სახელმწიფოთაგან მოითხოვენ იმ კანონთა პატივისცემას, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავენ. ისინი სახელმწიფოებს ძალადობის აღკვეთის, დანაშაულთა კვალიფიციური გამოძიების, დამნაშავეთა მიმართ შესაბამისი სასჯელის გამოყენებისა და ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას აკისრებს.

და მიანიც, მიუხედავად ყველაფრისა, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ასრულებს დაზარალებულთა დასაცავად გამიზნულ ქმედებებს, რომლებიც ამივე დროს, მათ მოვალეობებს შეადგენენ.

დაცვის განხორციელების აუცილებლობა, რომლისკენაც სტანდარტები მოგვიწოდებენ, ეხება ვაჭრობისაგან დაზარალებულ ყოველ ადამიანს, დამოუკიდებლად (ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა) სქესისა და ასაკისა. ამასთან, აუცილებელია იმის მინიშნებაც, რომ დაზარალებულთა პროპორციულად დიდ ნაწილს შეადგენენ ქალები და გოგონები, რომელთა მდგომარეობა დისკრიმინირებული და დაუცველი რჩება მრავალ ქვეყანაში. ვაჭრობის გენდერული ხასიათი განპირობებულია ისტორიულად ტრადიციული კანონებით, შესაბამისი პოლიტიკითა და ეროვნული ადამ-სევეებით, რომლებიც ამართლებენ და მხარს უჭერენ ქალთა და გოგონათა წაგრულ მდგომარეობას. სწორედ ეს პირობები წარმოადგენენ დაბრკოლებას მათ მიმართ ადამიანის უფლებების განხორციელებაში. ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს ასევე პრობლემის გაღრმავებას. ასეთი კენკარი ერთგვარად ამჟღავნებს ქალებისადმი, როგორც ბავშვებისადმი დამოკიდებულებას და ეწინააღმდეგება ქალთა, როგორც სრულწლოვან მოქალაქეთა უფლებებს. მაგალითად, საკუთარი სიცოცხლისა და სხეულის კონტროლის უფლებას. ამასთან, ეს კენკარი სტიმული აძლევს ქალის განსაკუთრებულ სტატუსის – „ბავშვების დამცველის“ ჩამოყალიბებას და სპობს ცვლილებებს ქალებთან დამოკიდებულებაში საზოგადოების მხრიდან. იგი ხაზს უსვამს ქალის პასუხისმგებლობის საკითხს ოჯახის წინაშე, რაც ძირითადად განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამუშაოს ძიების მიზნით ქალები ეკონომიკურ მიგრანტებად გადაიქცევიან ხოლმე. თანამედროვე მიგრანტთა დაახლოებით ნახევარი ქალია. აქედან გამომდინარე, საეხებით ლოგიკურია, რომ სტანდარტებში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სრულწლოვანთა უფლებებსა და მოთხოვნილებებს, ასევე დიდ დროს უთმობენ ვაჭრობისაგან დაზარალებული ქალების პრობლემების მოგვარებას.

სტანდარტებში არ შედის კონკრეტული მდგომარეობები, რომლებიც შეეხებოდა არასრულწლოვანი გოგონების ან საერთოდ, ბავშვების სპეციალურ სტატუსს, უფლებებს თუ მოთხოვნილებებს. სრულწლოვანებს, კერძოდ ქალებს, განაჩნია შესაძლებლობები და მოთხოვნილებები, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა ბავშვთა კანონიერ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს. ბავშვის სპეციალური უფლებები და მათი განსაკუთრებული მოთხოვნილებები დაცული უნდა იყოს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის პრინციპების თანახმად.

სტანდარტების მეორე მნიშვნელოვან და აუცილებელ კომპონენტს შეადგენს ეფექტური სასამართლო გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დაზარალებულთან თანამშრომლობაზე. მაგრამ, როგორც წესი, ვაჭრობის მსხვერპლი გაურბიან ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტს და არ სჯერათ სამართალდამრცხვი სტრუქტურებისა. აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ვაჭრობისაგან დაზარალებულთა უმრავლესობა არიან ის ადამიანები, ვისაც ცხოვრების ძალიან დაბალი დონე ჰქონდათ და ამ ფაქტორით იყვნენ დათრგუნულები. ბევრი მათგანი ძალიან ხშირად იმყოფებოდა ისეთი სხვადასხვა უარყოფითი ვარქმეების გაგლეხის ქვეშ, როგორცაა დისკრიმინაცია რელიგიური რწმენის საფუძველზე, გენდერული დისკრიმინაცია, გენდერული ძალადობა ან სამხედრო კონფლიქტები. ყველა ამ ფაქტორს ძალიან მოქნილად იყენებენ მოვაჭრეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები უმოქმედონ და კორუპირებული იყვნენ, ხოლო დაზარალებულები რაც შეიძლება პასუხები.

ამგვარად, დამნაშავეთა ეფექტური გამოვლენის, გამოძიების და დასჯის კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს დაზარალებულ პირთა მზადყოფნა, დახმარება გაუწიონ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოების წარმომადგენლებს. აღიარებენ და იცავენ რა პირთა უფლებებს, რომლებიც ვაჭრობისგან დაზარალდნენ, სტანდარტები უბიძგებენ და სტიმულს აძლევენ მათ შეატყობინონ ხელისუფლების ორგანოებს დანაშაულის შესახებ და გამოვიდნენ მოწმის რანგში.

პირთა უფლებების სრულად დასაცავად, რომლებიც ვაჭრობის შედეგად დაზარალდნენ, აუცილებელია დაქირებული მოთხოვნა იმისა, რომ ქვეყნებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, არსებული სამართლებრივი ნორმების სრულყოფის, ახალ-

ნორმების მიღების და მათი ცხოვრებაში დანერგვის ნათელი. აგრეთვე საჭიროა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფორმირება საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების საფუძველზე ყველას მიმართ, დაზარალებულთა ჩართვით. როგორც მინიმუმ, ეს კანონები და შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილ პრინციპებზე:

1. ბანსაზღვრება

სახელმწიფოებმა უნდა მოიწონონ ან შემოიღონ, პერიოდულად გადასინჯონ და გააანალიზონ კანონმდებლობა. შეესაბამება თუ არა იგი შემდეგ განმარტებებს:

ვაჭრობა: ყველა მოქმედება და შესაბამისი განზრახვა, დაკავშირებული გადაბირებასთან, ერთი ქვეყნის ფარგლებში ან მის საზღვრებს გარეთ მათ ტრანსპორტირებასთან, ყიდვასთან, გაყიდვასთან, გადაადგილებასთან, ხელიდან ხელში გადაცემასთან ან შენახვასთან ერთა:

ა) რომლებიც მიზიღენი იქნენ მოტყუების გზით, იძულებით (ძალადობის გამოყენებით ან მისი მუქარით, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით), ან საეალო დამოკიდებულებით (კაბალით);

ბ) ამ პირის არათავისუფალი (სახლის, სექსუალური ან რეპროდუქციული) მდგომარეობაში შენახვის მიზნით, მიუხედავად იმისა, ნაზღაურდება თუ არა მისი შრომა;

კომენტარი: ვაჭრობის პროცესი შეიძლება მოიცავდეს პირს ან პირთა ჯგუფს დაწვებული გადაბირებით - დამთავრებული უკანასკნელი პირით, რომელიც ყიდულობს ან იღებს მსხვერპლს. ეს შეიძლება იყოს პირი, რომელიც ადამიანს აკალებს მონობის პირობებში ან მის მიმართ იყენებს მონობისდაგვარ მეთოდებს და იძულებით შრომას. მაგალითად, იძულებით გამოყენება მსუბუქ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, თევზჭერაში, სექს-ინდუსტრიაში, იძულებით ქორწინებაში, სადაც ქალებს ვირტუალური პატიმრობით აკაებენ. „ქმრების“ მიერ მათი მუდმივი გაუპატიურება ხშირად გამოიყენება იძულებითი ფეხმძიმობისათვის, რომლის მიზანს საკუთარი „ქმრების“ შეილება უზრუნველყოფა წარმოადგენს. ვაჭრობის განსაზღვრა არ მოითხოვს საზღვრების გადაკვეთას. თანამედროვე ვაჭრობის შემთხვევების უმეტესი ნაწილი ერთი რეგიონის ან ერთი ქვეყნის ფარგლებში ხდება. ასეთი დაზარალებულები არანაკლებ იტანჯებიან ძალადობისაგან, ვიდრე ისინი, ვისაც საზღვრის გადაკვეთა უხდება.

ვაჭრობის აქტის პირთად ელემენტს წარმოადგენს მოტყუების, ძალადობის, გრძელვადიანი კაბალის და ბოროტი მიზნებით გამოყენების ნაირსახეობა. როგორც წესი, ტყუილი შეეხება დენიფორმაციებს შესასრულებელი სამუშაოს პირობების ან მისი ხასიათის შესახებ. მაგალითად, მომავალი მსხვერპლი შეიძლება თავისით დათანხმდა სექსუალურ ინდუსტრიაში მუშაობას, მაგრამ არ დათანხმებულა იმ პირობებით, რომლებიც მონობის ტოლფასია, ან წესიერი სახლის მაგივრად ფაბრიკაში მუშაობას გულისხმობს.

სამუშაოს ან მომსახურების (მაგალითად, როცა საუბარია სექსუალური მომსახურების სფეროზე) ხასიათი არანაირ კავშირში არ არის იმ კითხვასთან - ნამდვილად აქვს თუ არა ადვილი იმ პირთა უფლებების დარღვევას, ვინც ამ მომსახურებას ახორციელებს. მოვაჭრის მიერ ტყუილის, ძალადობის ან გრძელვადიანი კაბალის გამოყენება იმისათვის, რომ მსხვერპლი აიძულოს იმუშაოს მონობისდაგვარ პირობებში, - ართმევს დაზარალებულს საკუთარი სხეულის კონტროლის შესაძლებლობას, რაც ადამიანის ელემენტარული უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

მოცემული განსაზღვრება დებლირებას უკეთებს ადამიანთა უფლებების არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ასეთ ქმედებებს კრძალავენ. კონვენცია მონობის წინააღმდეგ, I სტატია (1) - მონობას განმარტავს, როგორც „ადამიანის სტატუსს ან მდგომარეობას, რომელთა მიმართებაშიც გამოიყენება ნებისმიერი ქმედება - გამყარებული კერძო საკუთრებაზე დაყრდნობით“. მონობის საწინააღმდეგო კონვენციის I სტატიისათვის დამატებითი კონვენცია მოგვიწოდებს ისეთი პირობების განადგურებისაკენ, რომლებიც მონობის ტოლფასია და რომელშიც ვაჭრობაში გამოიყენებული ხელხის უმრავლესობა იმყოფება.

ეს განსაზღვრება მოგვიწოდებს, რომ „საბოლოო, მიღიანი გაუქმება“. გრძელვადიანი კაბალისა, ანუ სტატუსის ან მდგომარეობის ჩამორთმევა, რომლებიც იმის რესულტატია, რომ გვირგვინის სახით იყო შეთავაზებული ხალხის პერსონალური სამსახური, რომლებიც მეფელის დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდნენ იმ დროს, როცა ამ მომსახურების ხანგრძლივობა და ხასიათი არ იყო განსაზღვრული“. განსაზღვრება ასევე მოგვიწოდებს იძულებითი ქორწინების გაუქმებისაკენ, ქალის გადაცემის „მიღებული ანაზღაურებისათვის“, ბავშვის გადაცემას „სხვა ადამიანისათვის, ანაზღაურების მიღებით ან არ მიღებით, თვითონ ბავშვის ან მისი შრომის ექსპლუატაციის მიზნით“ სტატია 6.2. კრძალავს „მონური სტატუსის მისაღებად სხვა ადამიანის იძულებას იმისათვის, რომ დაკავებულ იქნეს მისი ადგილი ან ჩამოცილებულ იქნეს მის კმაყოფიზე მყოფი პირი“.

შრომის მსოფლიო ორგანიზაცია (შრო) გამოის მოწოდებს მსგავს მეთოდებს. შ.მ.ო-ის კონვენციის 2 სტატიის 29 მუხლი კრძალავს იძულებითი და ვალდებულებითი შრომის გამოყენებას, განმარტებული, როგორც „ყოველი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მოითხოვენ დასავსის სამუშაოების ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირისაგან, მისგან შესაბამისი თანხმობის არქონისას“. სტატია 4 ამტკიცებს, რომ „კომპეტენტური ძალოვანი ორგანოები ვალდებული არიან — აკრძალონ მოკვების მიღება იძულებითი ან ვალდებულებითი შრომიდან, რომელიც ცალკეულ კერძო პირებს, კომპანიებს თუ ასოციაციებს ხმარდება“.

ვაჭრობისაგან დასარაღებელი ადამიანი: ადამიანი, რომელიც გადაიბირეს, გადაადგილეს, იყიდეს, გაყიდეს, გადასცეს და რომელიც მიიღეს, როგორც ზემოთ „ვაჭრობის“ განმარტებაში იყო აღნიშნული, დამატებული ბავშვები (როგორც ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციაშია განსაზღვრული), მოუხედავად იმისა, — დათანხმდა ამას ბავშვი თუ არა.

კომენტარი: განსაზღვრება მიჯნავს უფროს პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით თანხმდებიან გადაადგილებას (ქვეყნის ფარგლებში თუ მის გარეშ) და მთლიანად არიან ინფორმირებული სამუშაოს თუ მომსახურების კატეგორიისა და პირობების შესახებ, რომლებიც უნდა შეასრულონ, — და უფროს პირებს, რომლებიც საერთოდ არ ეთანხმებიან ან გამოთქემავენ თანხმობას, რომელიც ტყუილად, იძულების ან გრძელვადიანი კაბალის შედეგია. უფლება მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება, რომელიც პირად ცხოვრებას შეეხება — აქვს ნებისმიერ სრულწლოვან პირს, ამაში იგულისხმება გადაწყვეტილება დამამცირებელ ან ექსპლუატაციურ პირობებში მუშაობაზე უმეტეს შემთხვევაში ესებათ მიგრირებას, რომლებიც საკმაოდ ხშირად ნებაყოფლობით თანხმდებიან სირთულეებსა და საშიშ სამუშაოს. სწორედ პირთა ეს კატეგორია ხდება ძალიან მალე ვაჭრობის მსხვერპლი, რადგანაც უკვე ტრანსპორტირების პროცესში — მოვაჭრეები ახდენენ მათი პასპორტების კონფისკაციას, ხოლო შემდგომ იმყოფებიან პატიმრობაში, — იყენებენ რა ძალადობას, უმეტეს შემთხვევაში კი ართმევენ მათ გადაადგილების თავისუფლებასა და არჩევანის უფლებას.

სიტუაციებში, როდესაც მუშაობის პირობები არ არის უარესი, ვიდრე ეს იყო მოსალოდნელი მუშისათვის და მას არ აქვს წართმეული გადაადგილების და არჩევანის თავისუფლება, — დამპირავებელი ან ექსპლუატატორი შეიძლება დაისაჯოს სხვა სახის დანაშაულებებისათვის, მაგალითად როგორცაა — ფისკური ანგარიშსწორების მუქარა, უკანონო დაკავება, შრომის ბოროტად გამოყენება, ასევე სხვა სახის შესაბამისი ადმინისტრაციული და სამოქალაქო დარღვევები. ასეთ პირობებში მუშაობაზე არსებული თანხმობის ფაქტები, თავიდან არ აცდლებს დამპირავებელსა თუ ექსპლუატატორს პასუხისმგებლობას, ქვეყნის კანონების შესაბამისად, რომლებიც თავის მხრივ, კრძალავენ ამგვარ ქმედებებს.

და ბოლოს, ბავშვების შესახებ. ვაჭრობის განსაზღვრის ანალოზისას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვები განსაკუთრებით დაკვას საჭიროებენ და რომ „თანხმობის“ კატეგორია არასოდეს შეიძლება ემსახურებოდეს ბავშვებით მოვაჭრის გასასამართლებელ საბუთად ბრალდების პროცესში.

მოვაჭრე: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს, არის თანამონაწილე ან თანხმდება ყველა ქმედებას, რომელიც ზემოთ, — „ვაჭრობის“ განსაზღვრისას იყო აღწერილი.

კომენტარად განსაზღვრების ასეთი ფორმულირება მიმართულია ქმედუნარიანი ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების დასჯისაკენ, მათი ჩათვლით, ყინც მიზანმიმართულად უკეთებს იგნორირებას ადამიანებით ვაჭრობის პრობლემებს. განსაზღვრება არ აერთიანებს პირებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც უნებურად ვაჭრობის არსებობის არცოდნით აღმოჩნდნენ ჩართულნი ვაჭრობის ჯგუფში, (რეაქც მავალითად - ტაქსის მძღოლები ან სასტუმროს მენეჯერები).

II. სახელმწიფოს პოლიტიკა

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და დაიცვან თითოეული პირის უფლებები - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან შეთანხმებით. სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიანთი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები. მათ უნდა შექმნან ამ უფლებათა გამოყენების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს კონკრეტულად, რომელიც ადამიანის უფლებები მოიცავს არამარტო სახელმწიფოს ვალდებულებას - პატივი სცეს და დაიცვას ისინი, არამედ ვალდებულებას - უზრუნველყოს თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი უფლებების რეალიზაციის საშუალებები.

ამ ვალდებულებათა აღიარებისას, ყოველმა სახელმწიფომ პერიოდულად უნდა მოახდინოს კანონმდებლობის გადახედვა და განაღვივება, რათა გარანტირებული იყოს მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე მისი ეფექტურობა ვაჭრობის აღმოფხვრის და ყველა იმ პირის დაცვის მხრე, რომლებიც ვაჭრობისაგან დაზარალებულნი არიან. სახელმწიფო ვალდებულია:

ანტიდისკრიმინაციის პრინციპი

1. გარანტირებულ იქნას, რომ ვაჭრობისაგან დაზარალებული პირები, საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე - რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, პოლიტიკური ან სხვა მრწამისის, ეროვნული, სოციალური ან წარმომავლობის, დამატებული მათი ვაჭრობის მსხვერპლის ან სექს-ინდუსტრიაში მომუშავეის სტატუსის მიხედვით არ გახდნენ დისკრიმინაციის ობიექტები.

2. შეწყდეს უკვე დაწყებული ან ანუღირება მოხდეს იმ მოქმედი ზომების, რომლებიც მიმართული არიან მოქალაქეთა ან ლეგალურ რეზიდენტთა საცხოვრებელი ქვეყნის ან მის საზღვრებს გარეთ თავისუფალი გადაადგილების აკრძალვის ან გარუღებისაკენ იმ საფუძველზე, რომ მოქალაქეები ან ლეგალური რეზიდენტები შეიძლება იყვნენ ან გახდნენ ვაჭრობის მსხვერპლნი.

კომენტარად ქალებით ვაჭრობის სამარცხენო მოვლენის გასამართლებლად საკმაოდ ხშირად გამოიყენება იმ ქალთა დისკრიმინაციული მდგომარეობა, რომლებიც ერთიანდება იმ ცრუ წარმოდგენებთან, რომ განსაკუთრებული ეთნიკური, რასობრივი და სოციალური კლასის, ან სხვა მარგინალიზირებული ჯგუფის წარმომადგენელი ქალები - ე.წ. „მეორე ხარისხიანი“ არიან.

ვაჭრობის აღკვეთისაკენ მიმართული ზომები ყველა ქალის ძალადობისაგან „დაცვის“ მიზნით არ უნდა გახდეს მათთვის ნებისმიერი ადამიანის უფლებების „წართმევის“ საფუძველი, იმდენად რამდენადაც ადამიანის უფლებათა ნორმები ხელშეუხებელს წარმოადგენს. სახელმწიფოები ვალდებული არიან, გასცენ გარანტია იმისა, რომ დაცული იქნება დაზარალებულთა უფლებები.

III. ადამიანის დაცვა და უსაფრთხოება

3. გარანტირებული იქნეს:

ა) დაშვების შესაძლებლობა იმ ქვეყნის საელჩოსა და საკონსულოში, რომლის მოქალაქესაც ვაჭრობისაგან დაზარალებული პირი წარმოადგენს. საელჩოსა თუ საკონსულოს არარსებობის შემთხვევაში, გარანტირებული იქნეს დაშვება სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, რომელიც თავის თავზე აიღებს დამხრების აღმოჩენის ვალდებულებას, - ან საერთაშორისო და სამთავრობო უწყებების ნებისმიერ წარმომადგენელთან, რომელთა მოვალეობასაც ასეთი ხალხის დაცვა წარმოადგენს, ასევე

ბ) არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაშვების შესაძლებლობა, რომლებიც დახმარებას ან კონსულტაციას უწყვეტ ვაჭრობის შედეგად დაზარალებულ პირებს.

4. მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებულთა, ასევე ვაჭრობის მოწვევთა დაცვის უსრუნველყოფა, რათა მათი უსაფრთხოება და ღირსება არ იყოს დამოკიდებული სასამართლო გამოძიებაზე, ასევე:

ა) ვაჭრობისაგან დაზარალებული პირების დაშინებისაგან დაცვის რეკრესიებით დაშინების ზოგადად და განსაკუთრებით მოვაჭრების და მათი პარტნიორების მხრიდან, დამატებული ძალადონი სტრუქტურების წარმომადგენლების მუქარები – ყველა სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ სხვა ოურიდული პროცესების დროს. ასევე, თუ აუცილებელია – მოხდეს დაზარალებულთა ოჯახის წევრებისა და მეგობრების ანალოგიური დაცვით უსრუნველყოფა;

ბ) შეიცვალოს საპასპორტო მონაცემები, სადაც ეს აუცილებელია;

გ) მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და მეგობართა უსაფრთხოების მოთხოვნილების გათვალისწინება, თუ მოხდა მოვაჭრის დაპატიმრება, დაკავება ან მისი ნებისმიერი ფორმით გათავისუფლება, ასევე თუ მოხდა ვაჭრობაში ექვმიტანილის დაპატიმრება ან განსჯა, ან ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის ბოროტად გამოყენება.

5. მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებული ნებისმიერი პირის, ან პირის, რომელიც შეიძლება დაზარალებულიყო – ინფორმირება მათი კანონიერი უფლებებისა და პროცედურების შესახებ, კომპენსაციის მიღების, დაკარგულის ანაზღაურებისა და დახმარების მიღების შესახებ.

6. არ მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებული პირების – თვალთვალი, დაკავება და დაპატიმრების მცდელობა, თუ ეს უკავშირდება ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსს, რაც შეიძლება გულისხმობდეს ლეგალური ვიზის (სამუშაო ვიზის) არქონას, ასევე მათხოვრობას, პროსტიტუციას, არაკანონიერ ცხოვრებას, ან არალეგალური ვიზის და სხვა დოკუმენტების გამოყენებას. არ მოხდეს იმ პირთა დაკავება, რომლებიც ციხეებში ან დაკავების სხვა ადგილებში დაზარალებულ ვაჭრობისაგან ნებისმიერ დროს, – სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან სხვა სასამართლო პროცესებამდე, მათი მიმდინარეობისას, თუ მათ შემდეგ.

7. აკრძალულ იქნეს იმ ხალხის სახელების საზოგადოდ გახმაურება, რომლებიც სექსუალურ ინდუსტრიაში იქნენ გაყიდვით ან გამოყენებულნი, ასევე აიკრძალოს დაზარალებულთა ისტორიების გახმაურება, რადგანაც ამან შეიძლება ტყივილი მიაყენოს და მოახდინოს ან პირის, მისი ოჯახის ან მეგობრების დისკრიმინაცია, განსაკუთრებით – თავისუფლად გადაადგილებასთან, ქორწინებასთან და შრომითი მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით.

8. შეიქმნას სპეციალიზირებული საპოლიციო და სხვა დამსჯელი ქვეგანყოფილებები, რომლებიც მზად იქნებიან სპეციფიკურ სიმნელებთან, გენდერულ პრობლემებთან და ვაჭრობის შედეგად დაზარალებულ პირებთან სამუშაოდ.

კომენტარები: ზემოთხსენებული მდგომარეობები მოწოდებულია ვაჭრობის შედეგად დაზარალებულ პირთა, არა როგორც დამნაშავეთა, არამედ როგორც ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის შედეგად დაზარალებულთა განზარტებისათვის.

ცოტა ხნის წინ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სახელმწიფოებს “საყოფაცხოვრებო პრობებში დაზარალებული ქალების დახმარებისა და მათი საჩივრების შემდგომი ოფიციალური განხილვისაკენ” მოუწოდა. ეს მოთხოვნები მოწოდებულია სამართლიანობის დასაზღაურებლად. მაგრამ, ვაჭრობის შემთხვევაში, სამწუხაროდ სახელმწიფოთა უმრავლესობა აგრძელებს ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა ინტერპრეტირებას, როგორც არალეგალური მიგრანტებისა და დამნაშავეების, მათი შემდგომი თვალყურის დევნებით.

პრაქტიკა გეინვენებს, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობის პოლიტიკა – ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირებს აიძულებს მათი შეიკავონ ძალადონი ორგანოებისათვის იმ შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისაგან, რომელიც მათ შემთხვევით, რადგან ეს ყველაფერი შეიძლება – დაკავებით, დაპატიმრებით ან დემორტაციით დასრულდეს.

სასამართლო პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება უსაფრთხოებისათვის უდავსი შედეგები მოჰყვეს: არსებობს შურისძიების რისკი დაზარალებულის ან მისი ოჯახისათვის (განსაკუთრებით ორგანიზებული

დანაშაულის დროს), ასევე მომავლის გეგმების მსხერევის, სოციალური გაფორმების დროს ან ძალადანი ორგანოების მიერ თვალთვალის რისკი. იმისათვის, რომ მოვაჭრეების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესები იყოს წარმატებული, - სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკა და მიიღონ კანონები, რათა შემცირდეს ვაჭრობის შედეგად დაზარალებულთა საიზიროება ძალადანი ორგანოებისა და მართლმსაჯულების წინაშე. გარდა ამისა, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს დაზარალებული პირების დახმარების ძიების, ძალადანი ორგანოების ინფორმირებისა და, თუ მათ სურთ, - მოწოდებად გამოუვლინოს ხელშეწყობისაკენ. დაზარალებულთა ვინაობა არ უნდა ფორმირებდეს რომელიმე სასამართლო პროცესის დროს ან რომელიმე სასოჯადო-საჯარო დოკუმენტში. გარდა ამისა, ეს მონაცემები არ უნდა გახდეს პრესის და სასოჯადოების სხვა ფუნქციონარების (ტრეიდეტა ოჯახის წევრებზეც, - თუ ამას არ არის შესაბამისი თანხმობა) ხელმისაწვდომი.

მართლმსაჯულება და მშვიდაობა

9. მიღებულ იქნეს ყველა აუცილებელი ზომა იმის გარანტირებისათვის, რომ ყოველი ვაჭრობისგან დაზარალებული, მიუხედავად მათი მიგრაციის სტატუსისა და საშუალო ლეველურობისა, სადაც ისინი მუშაობდნენ (იგულისხმება მათხოვრობა და სექს-ინდუსტრიაში მუშაობაც), - მათ აქვთ უფლება აღიარონ სისხლის სამართლის საქმე მოვაჭრეების ან სხვა პირების წინააღმდეგ, რომლებიც აქვს ექსპლუატაციის უწყვედნენ ან ამცირებდნენ მათ. იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრეს აქვს დიპლომატიური ხელშეუხებლობა, სახელმწიფომ მას უნდა ჩამოართვას იმუნტეტი ან გააძეოს დიპლომატი. სახელმწიფოებმა შემოიღონ დაზარალებულთა სწრაფი ინფორმირების მექანიზმი მათ უფლებებთან და კომპეტენციასთან დაკავშირებით.

10. მოხდეს დაზარალებულთა უზრუნველყოფა ყველა ყოველი, მიმდინარე თუ მომავალი სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სხვა მოსმენების დროს, როცა ვაჭრობისგან დაზარალებული გამოდის მოწმის, მომჩივნის, მოპასუხის თუ სხვა მხარის სტატუსით. ასევე, მოხდეს ყველა იმ დოკუმენტთან თუ ანგარიშთან დაშვების უზრუნველყოფა, რომელიც დაზარალებულის მშობლიურ ენაზე გამართულ მოსმენას შეეხება. ვაჭრობისგან დაზარალებულ პირებს და მოპასუხეებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა თარჯიმნები და ადვოკატები. თუ ვაჭრობისგან დაზარალებულს არ ძალუძს თარჯიმნის და ადვოკატის ანაზღაურების გადახდა, მომსახურება მისთვის უფასო უნდა იყოს.

11. მოხდეს იმის ცნობა, რომ ვაჭრობა ეს დაზარალებული პირისადმი ჩადენილი დანაშაულის ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია. ვაჭრობაში ბრალდებულებს უნდა დაემატოთ შემდეგი ბრალდებებიც:

- ა) სექსუალურ და სხვა ნიდაგზე ძალადობა (ეს ეხება მკვლევრობებს, იძულებით ფუნქციონირებას, იძულებით ქორწინებას, იძულებით აბორტსა და გატაცებას);
- ბ) წამება, სისასტიკე, არადამიანური დამოკიდებულება ან სხვა ამისთანა ქმედება, რომლებიც ადამიანის ღირსებას ლახავს;
- გ) შინობა, მისთვის დამახასიათებელი და შესატყვისი მეთოდები, იძულებითი შრომა;
- დ) გრძელვადიანი კაბალა.

12. მოხდეს იმის გარანტირება, რომ საქმის მოსმენის დროს არ დაირღვეს ვაჭრობისგან დაზარალებული პირის უფლება და არ მოხდეს მის ფსიქოლოგიურ წინასწარობასა და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე შექარა (ეს ეხება ამასვე მოსმენის მოწვევასაც).

უკიდურეს შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა გასცენ იმის გარანტია, რომ:

- ა) მოვაჭრის ბრალდულობის დამტკიცება სასამართლო მოსმენამდე და მათი მიმდინარეობისას უნდა დაეკისროთ სასამართლო ორგანოებს და არა ვაჭრობისგან დაზარალებულ პირებს;
- ბ) ბრალდებელი იძახებს უკიდურეს შემთხვევაში ერთ ექსპერტს ადამიანებით ვაჭრობის საკითხებში ან იღებს ასეთი ექსპერტებისაგან კონსულტაციებს სასამართლო მოსმენისათვის მომზადების პროცესში;
- გ) გამოძიება, მტკიცებულების გამოვლინება, შეკრება და მათი ინტერპრეტაცია არ უნდა ამცირებდეს მსხვერპლს და უნდა გამოირიცხაუდეს გენდერულ შეხედულებებს.

მაგალითად, თანამდებობის პირებმა არ უნდა გამოიყენონ მასალები პირადი საქმიდან ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია თვით ამ პირის წინააღმდეგ, ან ინფორმაცია, როგორც ასეთი პირისათვის სარჩელის დისკვალიფიკაციის საფუძველი, ან მომსახურებზე ბრალდების მომხსნელი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დ) მოპასუხეებს – დაცვის მტკიცებულების მიზნით, ეკრძალებათ ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის პირადი საქმიანობის, მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის (მაგალითად, მემადე ან დიასახლისი) წარმოდგენა.

ე) ვაჭრობის მსხვერპლ პირებს, რომლებმაც გადაიტანეს სექსუალური ძალადობა ან არიან მისი მოწმეები, – მიეცეთ შესაძლებლობა კამერის ან სხვა ელექტრონული თუ საყვილური საშუალებით მოწმედ დასწრებისა, იმის შემდეგ, რაც მოსმენილი და გათვალისწინებული იქნება მსხვერპლისა თუ მოწმის ყოველი წინადადება.

ვ) ვაჭრობისაგან დაზარალებული ხალხი საქმის კურსში იქნეს ჩაყენებული – მათი როლისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელიც მათივე საქმიანობის ხასიათისა და პროცესების განვითარებას შეეხება;

ზ) ეროვნული კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად, ვაჭრობისაგან დაზარალებული ხალხის აზრი შეიძლება წარმოდგენილი და განხილული იქნეს საქმის მოსმენის შესაბამის სტადიებზე, რომლებიც მათ პერსონალურ ინტერესებს შეეხება.

13. ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის მოპასუხის როლში ყოფინასა მოხდეს იმის გარანტირება, რომ:

ა) მას აქვს საშუალება საკუთარი ქმედებების გასამართლებლად წარმოადგინოს თავისუფლების აღკვეთის ან ძალადობის ფაქტები, და ეს მოწმობა განიხილება შემამსუბუქებელ გარემოებად (თუ ეს პიროვნება განსასჯელია) განაჩენის გამოტანის დროს;

ბ) მოვაჭრის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის დროს, (მათ შორის მეკლდობის დროს) განსასჯელს უფლება აქვს განაცხადოს, რომ ის იყო ვაჭრობის ობიექტი. იგივე მტკიცებულებები განიხილულ იქნება, როგორც შემამსუბუქებელი ფაქტორი განაჩენის გამოტანისას, თუ, რა თქმა უნდა, ეს პიროვნება არის განსასჯელი.

გ) სასამართლო მოსმენები, სადაც მიწვეულნი არიან ვაჭრობისგან დაზარალებული მიგრანტები, იმართება საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის შეთანხმების მე-5 სტატიისა (VCCR) და ICPRW-ის მე-16, მე-19 სტატიებთან თანხმობით სახელმწიფოები, რომლების VCCR-თან თანხმობით უზრუნველყოფენ თავიანთ ქვემდებარეებს, – ვალდებული არიან იმოქმედონ ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის ინტერესების შესაბამისად.

კომენტარი: ვაჭრობის წინააღმდეგ ქმედებები მიმართული უნდა იყოს არა იმათკენ, ვინც ამ მოვლენის შედეგად დაზარალდა, არამედ სამართალდამრღვევებისკენ. ძალიან ხშირად, მსხვერპლი იძულებულია სამართალდამრღვევის მაგივრად წარსდგეს სასამართლოს წინაშე. ამგვარად, ირღვევა მსხვერპლის რწმენა იმის შესახებ, რომ სასამართლო სისტემა შეძლებს ჭეშმარიტების დადგენას. ვაჭრობასთან ბრძოლის კანონმდებლობა (რომელიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად უკანონო გადაადგილებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას შეეხება, ვიდრე მსხვერპლის უფლებებსა და მოთხოვნილებებს) სახელმწიფოს მიერ კრიმინალიზებული პირების და მათი ძირითადი უფლებების რეპრესირების ინსტრუმენტად აღიქმება, რომლებიც ვაჭრობისგან დაზარალებულენ.

კანონები, რომლებიც ტიპურ „ქაღალურ“ პროცესებს უკეთებენ დეკლარირებას, როგორც წესი, იცავენ ქალებსა და ეწინააღმდეგებიან ქალების მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთა მიღებაც სრულწლოვან მამაკაცებსაც ძალუქთ. მაგალითად, ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართულ კანონებს შეუძლიათ შრომითი მოწყობის მიზნით ქალთა მიგრაციების აღკვეთა და ამით, ქალებით მოვარეების ხელში ბიძგება. ამას გარდა, ბევრი ქალისათვის მიუწვდომელია ინფორმაცია მიგრირებულ ქალებთან დაკავშირებული დისკრიმინაციული ურთიერთობის შესახებ, განსაკუთრებით იმ ქალებისათვის, რომლებიც სექსუალურ ინდუსტრიაში მოშაობენ. ამიტომ, საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობისგან დაზარალებული ხალხის ძალადობრივ

ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ან მათი მოწმედ გამოიყენება. ასევე, მოხდეს „სამართლიანი დამოკიდებულების“ და დასაფრთხილების უსრუნველყოფა სასამართლო ორგანოების მიერ.

საზოგადოებრივი და ადამიანთა

14. მიღებულ იქნეს ყველა აუცილებელი ზომა, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ ვაჭრობისაგან დაზარალებულ ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი მიგრაციული სტატუსის კანონიერებისა, თუ იმ სამუშაოს მართლსაწინააღმდეგო ხასიათისა, რომელსაც ისინი ასრულებენ (მაგალითად, მათხოვრობა ან სექს-ბიზნესში მუშაობა) აქვს უფლება აღძრას სამოქალაქო ან სხვა სახის საქმე მოვატრეების და იმ პირების (საჯარო თანამდებობებისა და დიპლომატიური ხელშეუხებლობის მქონე პირების ჩათვლით) წინააღმდეგ, რომლებიც მათ ექსპლუატაციას უწყებდნენ ან ბოროტად სარგებლობდნენ სამსახურეობრივი მდგომარეობით, და - მოხდეს მათი დაშვება კომპენსაციის იურიდიულად განმარტებული ფორმებითან, რესტრუქციასთან და ასევე, უსრუნველყოფილ იქნას - ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დანაკარგების ანაზღაურება.

15. მოხდეს განხილვები მოვატრეება მთელი ქონების კონფისკაცია და მისი კომპენსაციის (როგორც გადაუხადელი სამუშაო ხელფასის), რესტრუქციისა და აღდგენის მხრივ გამოყენება ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთათვის.

16. მოხდეს იმის გარანტირება, რომ შესაბამისი ორგანოები, ვაჭრობისაგან დაზარალებული ადამიანის ან მისი იურიდიული წარმომადგენლის მოთხოვნით მომთხოვნ მხარეს მიაწვდიან ყველა დოკუმენტსა და ინფორმაციას, ან ანაზღაურებას დაზარალებული პირის მოთხოვნის მიხედვით თანხობრივ ხარჯებზე, კომპენსაციაზე, ესტრუქციასა და აღდგენაზე.

17. პირდაპირ: ადამიანებით ვაჭრობას გააჩნია უდიდესი ეკონომიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური, და ფიზიკური შედეგები მსხვერპლთათვის, მათი ოჯახებისა და მეგობრებისათვის. ამ შედეგების გათვალისწინება არ ხდება სისხლის სამართლის და სასამართლო გამოძიების დროს. ადექვატური დახმარება და მხარდაჭერა, ისევე როგორც ფინანსური კომპენსაცია, საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ ანაზღაურებული იქნას შედეგები, არამედ იგი მოვატრეებსაც აწინებს და აძლიერებს ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა პოზიციებს. ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევაში - ეროვნული და საერთაშორისო ინტერესების ასპექტის მიღმა დარჩენა, თუმცა, ბოლო წლებში, მსხვერპლთა მიმართ ყურადღების მოთხოვნილება (განსაკუთრებით უფლება კომპენსაციაზე) - სამართლიანობის აუცილებელ მოთხოვნადაა მიჩნეული. ეს ტენდენცია განმტკიცებულია დოკუმენტებით, რომლებიც ციტირებულია 34 შენიშვნაში.

ხშირდამსახურის საბაზის

17. დაუყოვნებლივ შეწყდეს დევნა დემორტაციის ნებისმიერი ქმედების შეჩერებით და მოხდეს რეზიდენტის სტატუსის უსრუნველყოფა (შრომაზე უფლებასთან ერთად) 6 თვის ვადით, რომლის დროსაც, დაზარალებულ პირს შეუძლია გადაწყვიტოს, ღირს თუ არა მოვატრის წინააღმდეგ სამოქალაქო საქმის აღძვრა ან მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესზე მოწმედ გამოიყენება. თუ ვაჭრობისაგან დაზარალებული პირი გადაწყვეტს სამოქალაქო საქმის აღძვრას ან სისხლის სამართლის პროცესზე მოწმედ გამოიყენება, ან ორივეს, სახელმწიფო ვალდებულია დაზარალებული პირი უსრუნველყოს რეზიდენტის სტატუსით (ივლისისმება შრომაზე უფლება).

18. არ მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის დემორტაცია, თუ არსებობს რეალური მიზეზი იმისა, რომ ის შეიძლება საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. დემორტაცია უნდა ხორციელდებოდეს კანონის შესაბამისად.

19. მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა ინფორმაციით უსრუნველყოფა, ასევე მიეცეთ უფლება თხოვნით მომართონ მუდმივი საცხოვრებლის შესახებ რეკომენდაციის კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით. მოხდება რა ვაჭრობისაგან დაზარალებული პირის პოლიტიკური თავშესაფრის გამოყოფის შესახებ განცხადებების განხილვა, ამ პირმა უნდა წარმოადგინოს იმის მტკიცებულება, რომ რეპატრაციამ შეიძლება მის სიცოცხლეს შეუქმნას საფრთხე.

მაგალითად, ეს ეხება მოვაჭრეების მხრიდან რეპრესიების რისკს ან ხელისუფლების მიერ დევნასა და თვალთვალს. გენდერული მიზნით დევნა, ასევე უნდა განიხილებოდეს თავშესაფრის მოცემის მოტივად.

20. თუ სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის ვაჭრობისაგან დაზარალებული პირი, უსაფუძვლოდ აცხადებს უარს მისი მოქალაქეების ცნობაზე, ასეთ შემთხვევაში ქვეყანამ, სადაც ვაჭრობისაგან დაზარალებული პირი ცხოვრობს (დუგალურად თუ არა დუგალურად) უნდა უსრუნველყოს ეს აღამიანი ყველა იმ უფლებებითა და პრივილეგიით, რომელიც მინიჭებული აქვთ სხვა, მოქალაქეობის არმქონე პირებს. ეს განპირობებულია გაეროს შეთანხმებით, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსს შეეხება.

კომენტარი: ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა უმრავლესობა თავს იკავებს დახმარების მიღებისა ან ძალოვანი ორგანოების ინფორმირებისაგან იმიტომ, რომ დემორტაციის შიში აქვთ. თუმცა, ერთი შეხედვით, დემორტაცია ვაჭრობისაგან გათავისუფლებად აღიქმება, მაგრამ რეალობა რამდენადმე რთულია. საკმაოდ ხშირად მსხვერპლი სესხულობს ფულს, რათა გადაუხადოს გადამხრებულს. ისინი, ამ შემთხვევაში, შესაძლოა საკუთარი ოჯახისა და გადამხრებულის მველევად მოგვევლინონ. დემორტაცია ნიშნავს სახლში ცარიელი ხელებითა და ვალებით დაბრუნებას, რომელთა დაბრუნებაც შეუძლებელია მომავლის პერსპექტივის არქონის გამო.

თუ ცნობილი ხდება, რომ ქალი მუშაობდა სექს-ინდუსტრიაში, მან შეიძლება განიცადოს დევნა ოჯახისა და სასოფლოეობის მხრიდან. ამას გარდა, უცნობია, მართლაც წარმოადგენს თუ არა დემორტაცია დანაშაულის სამყაროდან თავის დაღწევის საშუალებას. თუ მსხვერპლი არ ასრულებს მოვაჭრეების მოთხოვნებს, ისინი იმუქრებიან მისი საქმიანობის შესახებ მისივე ოჯახის ინფორმირებით. დემორტაცია უმეტეს შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ვაჭრობისაგან დაზარალებული პირი ხელახლა ხდება მოვაჭრეუ და მოკიდებულ, ამავე დროს არ სარგებლობს არც ხელისუფლების და არც სასოფლოეობის დაცვით.

ხშირ შემთხვევაში ვაჭრობისაგან დაზარალებული ხალხი იძულებულია ეწინოდეს არა მარტო მოვაჭრეების მხრიდან შესაძლო რეპრესიებსა, არამედ მათ საკუთარ ქვეყნში ხელისუფლების მხრიდან დევნისა, დაკავების ან დემორტაციისა.

დემორტაციის პროცესის შეწყვეტა, ქვეყანაში სისიხლის სამართლისა და სამოქალაქო პროცესების მიმდინარეობისას დროებითი ყოფნის სტატუსის უსრუნველყოფა და შესაძლებლობა, მოითხოვონ მუდმივი საცხოვრებელი, ვაჭრობისაგან დაზარალებული ხალხს საშუალებას აძლევს არ ეწინოდეთ დაუყოვნებლივ გასახლებისა. ამგვარად, ხდება ერთდროულად ორი მიზნის მიღწევა, პირველ რიგში, ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირს საშუალება ეძლევა თავიდან აკონტროლოს საკუთარი ცხოვრება და მეორე მხრივ, ეს საშუალებას გვაძლევს ვუქმტურად ვებრძოლოთ მოვაჭრეებს, რადგანაც ზემოთაჩმოვლილი ზომები მსხვერპლს ხელისუფლების ორგანოების ინფორმირებისა და სასამართლო პროცესებზე მოწმედ გამოხსენის სტიმულს აძლევს.

საუიხირო და სხვა სხვის მოსახუხაბა

21. მოხდეს ვაჭრობისაგან დაზარალებულ ადამიანებს შორის თანამშრომლობის პროპაგანდა და მხარდაჭერა სამართალდამცავი ორგანოებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ვაჭრობისაგან დაზარალებულებს ეხმარებიან. ყველა დაცვა, რომელიც სხვადასხვა სახის მომსახურებას გასცემს (ჯანმრთელობის დაცვა, იურიდიული დაცვა და ა.შ.) უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, როგორი გავებით მოექცეს ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა უფლებებსა და საჭიროებებს. ასევე, საჭიროა მათი იმ სახელმძღვანელო პრინციპებით აღჭურვა, რომლებიც შესაფერისი და სწრაფი დახმარების გარანტია მოგვეცემს.

22. მოხდეს ადეკვატური კონფიდენციალური სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების უსრუნველყოფა, რომელიც სახელმწიფოს მოქალაქეებისადმი გაწეული დახმარების დონეს არ ჩამოუვარდება.

23. მოხდეს შიდასა და სხვა დაავადებებზე (რომლებიც სექსობრივი გზით გადადის) კონფიდენციალური ტესტირება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს პაციენტი. გამოკვლევას თან უნდა ახლდეს შესაბამისი კონსულტაციები

და არ უნდა გამოიყენებოდეს რამენაირი დამსჯელი ან შეშლადევი ზომები ვაჭრობისაგან დაზარალებული ხალხის წინააღმდეგ, რომელთაც შიშის ან სხვა სქესობრივი გზით გადაამდები დაავადებების ტესტირების დადებითი პასუხები აქვთ. გამოკვლევები უნდა ჩატარდეს იმ სტანდარტებთან შესაბამისობით, რომლებიც მოცემულია „ადამიანის უფლებათა და შიშის შესახებ საერთაშორისო მოხსენებაში“ (გენერალ „ადამიანის უფლებათა ცენტრი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია“, ევრეა, 1989 წლის იელისი).

24. მოხდეს დროებითი ცხოვრების სტატუსის განმავლობაში უზრუნველყოფა:

- ა) ნორმების შესაბამისი და უსაფრთხო საცხოვრებლით;
 - ბ) მედიცინისა და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სოციალური შეღავათით სარგებლობით;
 - გ) ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთათვის კონსულტაციების გაცემით მათ მშობლიურ ენაზე;
 - დ) შესაბამისი ფინანსური დახმარებით;
 - ე) სამუშაოზე მოწყობის, განათლებისა და ტრენინგების შესაძლებლობით.
- კომენტარ: უმეტეს შემთხვევებში, ვაჭრობისაგან დაზარალებულ ადამიანებს, მას შემდეგ, რაც თავს დაადევნენ მოვაჭრის კონტროლს, - არ გააჩნიათ არც ადგილი, სადაც ცხოვრებას შესაძლებლად, არც არსებობის საშუალებები, არც ელემენტარული არსებობისათვის საჭირო ფულის გამოშუშაების შესაძლებლობა. ისინი შეიძლება არ ფლობდნენ იმ ქვეყნის ენას, სადაც ცხოვრობენ ან არ პოულობენ ოჯახს, რომელიც მათთვის იზრუნებდა. ხშირად ეს ადამიანები ზარალდებოდნენ ფიზიკური ძალადობით, იძულებითი აბორტებით, საშიში სექსუალური კონტაქტებით ან მუშაობდნენ საშიშ პირობებში (მაგალითად ქიმიკატებთან) და მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ სამედიცინო დახმარება. გარდა ამისა მათ შესაძლოა შეესრულებინათ იძულებითი სამუშაოები, მიეღოთ ტრავმები ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის შედეგად. ასევე შესაძლებელია იტანჯებოდნენ ფსიქიკური და ფსიქოსომატური წარმომავლობის ტკივილებით. ხდება ისეც, რომ ვაჭრობისაგან დაზარალებულთ არ შეუძლიათ მუშაობა იმ დაზიანებათა მიზეზით, რომლებიც ვაჭრობის შედეგად მიიღეს. ამიტომ საჭიროა ადეკვატური მხარდაჭერა, შრომით მოწყობაში და განათლების მიღებაში დახმარება, - რომელიც ვაჭრობის მსხვერპლთ ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

ხაჯახიან და ხინგაბახიან

25. როდესაც ვაჭრობისაგან დაზარალებული პირი ბრუნდება სახლში, აუცილებელია მოხდეს მისი ფინანსებით უზრუნველყოფა და დახმარების აღმოჩენა ახალი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაში.

26. სახლში დაბრუნების მოსურნე, ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა წინაშე წარმოქმნილ პრობლემათა მიზმიზიაციის მიზნით, მოხდეს მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში აღმოსაჩენი დახმარებით უზრუნველყოფა და მათი დახმარება განხორციელდეს რეინტეგრაციული პროგრამები. ასეთი სახის დახმარება მნიშვნელოვანია იმ სისწრაფა ილექეთისა და გადალახვისათვის, რომლებიც წარმოიშობიან ოჯახების ან საზოგადოების არცნობის, სამსახურის ცნობის შეუძლებლობის, ასევე მოვაჭრეთ და ხელისუფალთა მხრიდან ძალადობის, რეპრესიებისა და დასჯის შედეგად. რეინტეგრაციული პროგრამები თავის თავში უნდა აერთიანებდეს განათლებას და ტრენინგებს მომავალი შრომითი მოწყობისათვის. მათ არ უნდა განსაჯონ და დეჟონ ვაჭრობისაგან დაზარალებული ადამიანები.

კომენტარ: უმეტეს შემთხვევებში, ვაჭრობისაგან დაზარალებულ ადამიანებს ჩამოერთვათ ფინანსები და სწორედ ამის გამო, მათ ვერ შესძლეს სახლში დაბრუნება. ფინანსების გარდა დაზარალებულებს შესაძლოა აკლდეთ სამუშაო დოკუმენტები იმდენად, რამდენადაც მოვაჭრეები ართმევენ თავიანთ მსხვერპლთ პასპორტებს, ან პირადობის დამადასტურებელ საბუთებს. ფულისა და საბუთების გარეშე სახლში დაბრუნება კი ფაქტურად შეუძლებელია. ამას იქამდე მიყვავართ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, ისინი ხშირად რჩებიან არადაამიანურ პირობებში, თავშესაფრებასა და დაკავების ადგილებში.

ვაჭრობისაგან დაზარალებული ადამიანები, რომლებიც სახლში ნებაყოფლობით ან დეჰორტაციის შედეგად ბრუნდებიან, აწყდებიან არსებულ პრობლემას. შესაბამისი მხარდაჭერისა და დაბრუნების საშუალებების არსებობის გამო ისინი ხელახლა ექვემდებარებიან ძალადობასა და ექსპლუატაციას, განმეორებითი გაყიდვის სახით. ამგვარად, რეინტეგრაციული მომსახურება დიდად მნიშვნელოვანია ვაჭრობის ციკლის დასრულებისათვის.

სახანგეოლოგიური თანამშრომლობა

27. სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს ორმხრივი, რეგიონალური, რეგიონთა შორისო და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებას, ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთისაკენ მიმართული სტრატეგიისა და საერთო მოქმედებების დასამუშავებლად. ამ მოქმედებებში შედის თანამშრომლობა სასაზღვრისპირა ტერიტორიებზე მოვაჭრეთა დევნისა და ვაჭრობისაგან დაზარალებულ პირთა უფლებებისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით.

28. აუცილებელია იმ მოქმედებათა კოორდინირება, რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა ნებაყოფლობით და უსაფრთხო რეპატრიაციას, რომლებიც დაზარალებულ ადამიანებით ვაჭრობისაგან.

29. აუცილებელია იმ პროგრამათა მხარდაჭერა, რომელთაც ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები იმისათვის, რათა საზოგადოება უფრო გათვითცნობიერდეს ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებისა და მისი საეარაუდო შედეგების შესახებ.

კომენტარო: ქვეყანათა შორის თანამშრომლობა – ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუკი მოცემული სტანდარტები იქნებიან რეალიზებულნი. ადამიანებით ვაჭრობა – ეს არის საერთაშორისო დანაშაული, რომელიც აქტიურ წინააღმდეგობას მოითხოვს. სახელმწიფოებმა უნდა გაშალონ ფართოდ დისციპლინირებული და მრავალ დონეზე გათვლილი სტრატეგია ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების წინააღმდეგ, რომლებიც პლანეტარული მასშტაბით მოქმედებენ. სახელმწიფო ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანოებმა ერთად უნდა იღვაწონ გარანტიის მოსაპოვებლად, რომ ადამიანებით მოვაჭრენი ვერსად და სერასდროს ვერ შეძლებენ მართლმსაჯულებისაგან დამალვას და „უსაფრთხო თავშესაფრის“ მოძებნას. ასევე შეთანხმებული და კოორდინირებული ქმედებების გარეშე, ადამიანებით ვაჭრობა არასოდეს გაქრება და თავის მასშტაბებსაც არ შეამცირებს.

– სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება;
– შეთანხმება წამების, გამოყენების სისასტიკისა და არაჰუმანურობის გამოვლენებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
– შეთანხმება ქალთა დისკრიმინაციის კველა ფორმის თავიდან აცილებების შესახებ;

– შეთანხმება ბავშვთა უფლებების შესახებ;
– შეთანხმება მონობისა და მონათვაჭრობის გაუქმების შესახებ;
– საერთაშორისო შეთანხმება მიგრირებადი მუშებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ (ჯერ ძალაში არ შესულა);
– საერთაშორისო ორგანიზაციის შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია შრომის საკითხებით N29 (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია), და N105, საკითხით იძლეობთი შრომის აღკვეთის შესახებ;

– ამ დოკუმენტის მრავალ დებულებას შეიცავს ასევე ჰააგის მინისტრთა 9ან სამინისტროს (ლ.) დეკლარაცია ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპთა შესახებ, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და თავიდან ასაცილებლად ეფექტური ზომების მიღებისათვის.

16 აპრილი 1997 წელი
იხილეთ ICBRMW 68.1

პაპის საინისტიტო დახმარებით უკრაინის ხელოვნების მუხრანის
სახელობის უნივერსიტეტის მიხედვით უკრაინის პარლამენტის მიხედვით
მისი თანხმად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით.

*საინისტიტო უნივერსიტეტის
უკრაინის ხელმძღვანელობით*

პაპი, 1997 წლის 24-26 აპრილი

1. საერთო მონაცემები

1997 წლის 26 აპრილს, პაპაში, ნიდერლანდების მთავრობის ინიციატივით ჩატარებულ იქნა ევროპული გაერთიანების სამინისტრო კონფერენცია – სექსუალური ექსპლუატაციის მიხედვით ქალების გაჭრობის საკითხებზე.

ევროპული გაერთიანების წევრ-სახელმწიფოებმა დაადასტურეს ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლაში კერძოდ – ქალებით ვაჭრობასთან მიმართებაში თავიანთი მაქსიმალური თანამშრომლობის განზრახვა, და შეიმუშავეს ეს დეკლარაცია, რათა გაეძლიერებინათ ევროპის ხალხების შემოფარება.

მათ აღიარეს, რომ სექსუალური ექსპლუატაციის მიხედვით ქალებით ვაჭრობა საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ სერიოზულ და ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელსაც დანაშაულისათვის მცირე რისკის ხარჯზე – უდიდესი მოგება მოაქვს. უკანასკნელი წლების მანძილზე, ქალებით ვაჭრობის პრობლემა უფრო და უფრო ძლიერ იყვრება სამთავრობო და საერთაშორისო ყურადღებას. ქალთა IV მსოფლიო კონფერენციის პეკინის დეკლარაციამ ხაზს გაუსვა იმ მოქმედებების სასიცოცხლო აუცილებლობას, რომლებიც მიმართული არიან ადამიანის ამ შემთხვევაში ქალის უფლებების დარღვევის ამ უნიკალური ფორმისადმი.

ადამიანებით ვაჭრობის სფეროში ევროპულ დონეზე გაიფიქრა გარკვეულმა ინიციატივებმა. კერძოდ, ევროპული პარლამენტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადამიანებით ვაჭრობის შესახებ (1997 წლის იანვარში), ასევე წინადადებები ქმედებისაკენ, რომლებიც ევროსაბჭოს ჩარჩოებში უნდა სრულდებოდეს წევრის სახელმწიფოების მიერ.

უსტატივისა და შინაგან საქმეთა საბჭომ, ირლანდიისა და ბელგიის მთავრობების ინიციატივით ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის ოთხი ერთობლივი საშუალება შეიმუშავა:

1. ევროპოლიციის მმართველობის მანდატის გაფართოება ნარკოტიკებთან ბრძოლის მიმართულებით და ადამიანებით ვაჭრობის სფეროში;
2. დაჯილდოებისა და გაცვლითი პროგრამების შემოღება ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლაში (STOP პროგრამა);
3. საექსპერტო ცენტრების საკმაო რაოდენობით არსებობის ორგანიზება;
4. ერთობლივი მოქმედებები ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ადამიანებით ვაჭრობასთან მიმართებაში.

პაპის სამინისტრო დეკლარაცია სწორედ ქალებით ვაჭრობას ეძღვნება, რადგან ქალთა მოთხოვნილებები და ძალადობა, რომელიც მათ წინააღმდეგ არის მიმართული – მოითხოვს განსაკუთრებულ ქმედებებს, რაც 1995 წლის პეკინის დეკლარაციაში იქნა ხაზგასმული. ამიტომ, ქალებით ვაჭრობის სფეროში ევროპულ დონეზე მრავალი ინიციატივა იქნა წარმოდგენილი. ერთ-ერთი მათგანი იყო ქალებით ვაჭრობის თემაზე – ვენაში (1996 წლის ივნისში) ჩატარებული ევროპული კონფერენცია, რომელიც ევროპის კომისიის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით გაიმართა. კონფერენციის შედეგად ევროპის საბჭოს პარლამენტს (1996 წლის ნოემბერში), რომელიც ვენის კონფერენციის რეკომენდაციებს ეყრდნობა, გადაეცა კომუნიკე სექსუალური ექსპლუატაციის მიხედვით ქალების ვაჭრობის შესახებ.

ეთანხმება რა ზემოთხსენებული ინიციატივების აქტუალობას და ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების აუცილებელი, საერთო და კოორდინირებულ მიდგომას ამ პრობლემისადმი, დეკლარაცია მიზნად ისახავს შეიმუშაოს კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ქალებით ვაჭრობასთან ბრძოლას

შეეხება. დეკლარაციაში მოიცვა არამარტო მამაკაცთა და ქალთა თანასწორი შესაძლებლობების სფერო, არამედ – იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებიც. ის იძლევა რეკომენდაციებს – ქალებით ვაჭრობის თავიდან აცილების, მსხვერპლის მიერ ვაჭრობის ფაქტის პოლიციაში გაცხადებისათვის ხელის შეწყობისა და დახმარების, მსხვერპლთათვის აუცილებელი დახმარების, თანადგომისა და დაცვის, ასევე სუსხლის სამართლის სისტემიდან ადექვატური და „სამართლიანი პასუხის“ მიღების უზრუნველყოფის შესახებ, როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეებზე.

ჰააგის სამინისტრო დეკლარაცია ქალებით ვაჭრობას მიიჩნებს ქმედებად, რომელიც მიმართულია ქალთა კანონიერი თუ უკანონო გადაადგილების ან ცხოვრებისაკენ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის მიზანიც მდგომარეობის მოგების მიღებაში ან ქალების სექსუალური ექსპლუატაციის, ან იძულების, ეკრძოდ – ძალადობის მუქარის ან მოტყუების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ან სხვა ზემოქმედების მეთოდების საშუალებით, რომელთა გამოც ქალს არ გააჩნია რაიმე რეალური დამაკმაყოფილებელი არჩევანი გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს ზეწოლის ფაქტორებს და მიმდინარე არასამართლებურე ქმედებებს.

ქალებით ვაჭრობა არის ადამიანის უფლებების დარღვევა, რომელთან ბრძოლაც შეიძლება მხოლოდ მრავალმხრივი და კოორდინირებული მიდგომის გზით, რომელშიც მოხდება დიდიტერესებული მონაწილეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამართალდამცავი, საკანონმდებლო, მიგრაციული და სოციალური დაცვის სფეროების გაერთიანება. ასეთი სახის ბრძოლა მოითხოვს საერთო ძალისხმევას, როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე.

მიგრამ, ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს. ეინადან არასამთავრობო ორგანიზაციები ასეთი ქალების დაცვისა და თანადგომის გარანტიის წყაროებად ითვლებიან, ევრო გაერთიანების წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაეხმარონ მათ ამ რთულ გზაზე.

ჰააგის სამინისტრო დეკლარაციის მიზანს წარმოადგენს ქალებით ვაჭრობის სფეროში შემდგომი ურთიერთობების და მოქმედებების მხარდაჭერა, ეკრძოდ ვაჭრობის თავიდან აცილება, ასეთი შემთხვევების გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა, ასევე ადექვატური კომპეტენტური დახმარებისა და თანადგომის აღმოჩენა არსებული საკანონმდებლო და საბიუჯეტო ნორმებთან შეთანხმებით, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ევროპულ დონეებზე.

ეს დეკლარაცია დაწერილია პეკინის მოქმედებათა პლატფორმის სტილში და ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირების შედეგად (როგორცაა, მიგალითად 1949 წლის კონვენცია ხალხით ვაჭრობისა და მესამე პირების მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციის აკრძალვის შესახებ, ასევე 1997 წლის კონვენცია ქალებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის ექველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ) აღებულ ვალდებულებებთან ყინაადმდეგობაში.

II. ანონონი და სახითაშორისო თანამშრომლობა დანაშაულის თავიდან აცილების, ბომონიანის, დასჯის და ენაშაუნი დახმარების და თანამშრომლის აღორჩენის სფეროში.

II. 1. ანონონითანაშაულის ნაწილ სახელმწიფოების თანამშრომლობა

- გაეროცელდეს თანამშრომლობის საერთო, აქტიური პროცესი, ინტეგრირებულ და მიზანმიმართულ პოლიტიკასთან შეთანხმებით, რომელსაც ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს და ევროპული თანამშრომლობის სტრუქტურებს შორის შეთანხმებულ 1996 წლის ქალებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ კომუნიკეში ჩაყვარა საფუძველი.

- შემუშაედეს კოორდინირებული, მუდმივი მოქმედების გეგმა, ეკრძოდ იურისპრუდენციის სფეროში – 1997 წლის თებერვალში ერთობლივ მოქმედებებთან შეთანხმებით.

- იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საბჭოს მიერ შემოთხსენებული ქმედებების მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა, 1999 წლის ბოლომდე მათი მთლიანად დანერგვის მიზნით. უფრო კონკრეტულად, ეს შეეხება – ეროვნულ საშუალებებს გადელენა იქონილი ქცევის გარკვეული ტიპების კრიმინალიზაციასთან, დასჯასთან და მიზანმიმართულ აღმინისტრაციულ ქმედებებთან დაკავშირებით, ასევე, ადექვატური

გამოიძიებს და დანაშაულის ეფექტურად დასჯისთვის საჭირო მექანიზმების უზრუნველყოფის მხრივ.

- ხელი შეეწყოს კოორდინირებული სტრუქტურების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ნარკოტიკებთან ბრძოლის ევროპოლიციის მმართველობის (ნემ) შესაძლებლობების სრული გამოყენებით; ასევე, ნემ-ის ანალიტიკური თანადგომის სარგებლობით „ევროპოლის“ კონვენციის ძალაში შესვლის დროს.

- მთლიანად გამოყენებულ იქნეს საზოგადოებაში არსებული რესურსები და ხელი შეეწყოს ევროპულ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის განვითარებას. მხარი დაეჭიროს და წახალისდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა საპილოტო პროექტები ევრო გაერთიანების წევრ სახელმწიფოებში ქალებით ვაჭრობის მაგალითზე, ასევე გაფართოვდეს ევროპული კომისიის და არასამთავრობო ორგანიზაციათა ევროპული ქსელების მუდმივი თანამშრომლობა.

- მთლიანად გამოყენებულ იქნეს – 1996 წელს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საბჭოს მიერ მიღებული მრავალწლიანი პროგრამა STOP-ის რესურსები, რომელიც მიმართულია იმ პირებისადმი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ადამიანებით ვაჭრობის ბრძოლასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ გამოსწორდეს არსებული ხარვეზები, მაგალითად, მასალების შეგროვებასა და გამოძიებაში, ძალისმიერ სტრუქტურებს შორის ინფორმაციის გაერთიანებასა და მათი განათლების დონის ამაღლებაში.

II. 2. აზიზიანიანის წახი სახელმწიფოსა და აზიზიანიანის ანდრეასის თანამშრომლობა.

- გაუმჯობესდეს თანამშრომლობა კანდიდატ ქვეყნებსა შორის სტრუქტურირებული დილაგის ჩარჩოებში, განსაკუთრებით – იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებში.

- მთლიანად გამოყენებულ იქნეს პროგრამების – Phara და Lien პოტენციალი ასევე გაფართოვდეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაწილეობა STOP პროგრამაში.

II. 3. აზიზიანიანის წახი სახელმწიფოსა და იმ აზიზიანის თანამშრომლობა, სინდრეასიანიანი ჩამოიხი.

- გაფართოვდეს აქტიური თანამშრომლობა ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს, ევროგაერთიანების ინსტიტუტებს და ასევე ევროპის საბჭოს შორის კოორდინირებული მუდმივი მოქმედებების განვითარების მიზნით, რომელიც მიმართული იქნება ქალებით ვაჭრობასთან ბრძოლის და შესაბამისი პოლიტიკის გატარების კონტროლისაკენ.

- განვითარდეს ევროგაერთიანების არსებული თანამშრომლობის პროგრამები იმ ქვეყნებთან, საიდანაც მსხვერპლი ჩამოდის. ასევე, შესრულდეს არსებული საბიუჯეტო რესურსები, რათა დაფინანსდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა აქციები, რომლებიც ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ არიან მიმართულნი, როგორცაა, მაგალითად, დახმარების და საზოგადოებასთან ადაპტაციის პროგრამები, ასევე სპეციალური ქმედებები, რომლებიც მსხვერპლთა საკუთარ ქვეყანაში რეინტეგრაციისაკენ არიან მიმართული.

II. 4. თანამშრომლობა ბაჩოს სინდრეასიანიანი და ინდოპოტანს

- რეგულარულად ხდებოდეს გაეროს კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ქალებთან მიმართებაში ყოველწლიური დისკრიმინაციის ფორმის აღმოფხვრის მიზნით (CEDAW). გაეროცვლდეს ინფორმაცია მიღებულ ზომებთან დაკავშირებით, მათ შორის, ზომები CEDAW-ის მე-6 კონვენციის სტატიის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას და ასევე მსხვერპლთა დახმარებას ეხება.

- გაფართოვდეს და ხელი შეეწყოს გაეროს სპეციალური მომხსენებლის მუშაობას, რომელიც ქალების მიმართ ძალადობისა და ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას ეხება, ასევე მოხდეს აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

- მოლიანად იქნეს გამოყენებული ინტერპოლის ინფორმაცია მომწოდებელი და სატრანსპორტო ქვეყნების შესახებ.

III. ჰანდაუაზი, ხოშაზის საფარული ბრუნა უნდა მხსნა და დახარისხოს თავისი პოლიციის, ბაზილიის, ესპანის და საფარული ბრუნაზისა და თანამართლის სფარული.

საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ყოველმა სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა, კერძოდ:

- თავიდან აიცილოს დარღვევა;
- გამოიძიოს დარღვევა და დაინაშავეების წინააღმდეგ მიიღოს აუცილებელი ზომები;
- მოხდეს აუცილებელი კომპენსაციისა და დახმარების გაწევა მათთვის ვინც სწორედ ამგვარი დარღვევების შედეგად დაზარადა.
- შესაძლო ქმედებების მიხედვით უნდა იყოს-დანაშაულის თავიდან აცილება, სისხლის სამართლებლივი გამოძიება და დასჯა, საიმედო დახმარება და დაზარალებულ ქალთა თანადგომა. მხოლოდ ინტეგრირებული მიდგომის ჩარჩოებში – ყველა დონეზე, შეესაბამება ფუნქციონალური ადგილობრივი და კერძოლოთ ქალებით ვაჭრობას. ეროვნულ-საერთაშორისო წყვილი სახელმწიფოების ქმედებები.

III. 1. 1. საერთაშორისო ბრუნა

- მომწოდებელ ქვეყნებსა და დანიშნულების პუნქტებში მოხდეს ინფორმაციული და პროფილაქტიკური კამპანიების ორგანიზება, რომელთა მიზანია მიგრაციის წესის, შესაძლებლობისა და შესაძლებლობების გამორკვევა, რათა ქალებმა შეძლონ ინფორმაციულად გამყარებული გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ვაჭრობის მცდელობის შემთხვევაში – მიმართონ დახმარებისათვის;
- გაფართოვდეს მომწოდებელი ქვეყნების საეკონომიკური და საკონსულოების მონაწილეობა ინფორმაციულ-პროფილაქტიკური მიმართულებით;
- პროგრამები უნდა შეიქმნას, რომელიც მომწოდებელი ქვეყნების, ისე დანიშნულების ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, სადაც მათ დაზარალებულ ქალებთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალება აქვთ.

III. 1. 2. ბრუნა

- მოხდეს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა პოლიციის, იურიდიული, იურიდიული, ფსიქოლოგიის, სამედიცინო თუ სხვა სოციალური სფეროს წარმომადგენლებს შორის, რომლებიც ვაჭრობის სისტემასთან ბრძოლის შესაძლებლობებს ზრდიან, ასევე მოხდეს მათ შორის თანამშრომლობის გაფართოება;
- მოხდეს სამედიცინო და სხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა, იმისათვის, რომ მათ შესძლონ ვაჭრობის მსხვერპლთა ამოცნობა და შესაბამისი რეაგირება.

III. 1. 3. თანამართლობა ბრუნაზე და ბრუნაზე

- ამაღლდეს მომწოდებელ ქვეყნებში ქალების სოციალური, ეკონომიკური და იურიდიული სტატუსი ერთმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმების შედეგით, ასევე იმ სამთავრობო სააგენტოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გზით, რომლებიც ქალთა უფლებების სფეროში მუშაობენ;
- გაფართოვდეს და საფუძველი ჩაეყაროს მომწოდებელ ქვეყნებსა და დანიშნულების ქვეყნებს შორის ინფორმაციების გაცვლას;
- მოხდეს დახმარების და თანადგომის პროგრამების განხორციელება რისკის ჯგუფების ქალებისათვის, მათ შორის საგანმანათლებლო, პროფესიული ტრენინგები, კონსულტაციები და კონსალტინგი შრომითი მოწყობის შესაძლებლობებზე, ასევე მომწოდებელ ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება.

III. 1. 4. სახელმწიფო მოხსენებების

- მოხდეს სახელმწიფო მოხსენებლების დანიშვნა ან დანიშვნის შესაძლებლობის გამორკვევა, რომლებიც მოახსენებენ სახელმწიფოს ქალებით ვაჭრობის მასშტაბებზე, მასთან ბრძოლისა და მისი თავიდან აცილების მეთოდებზე.
- შემუშავდეს მოხსენებათა კრიტერიუმები ქალებით ვაჭრობის მექანიზმის მასშტაბებისა და ბუნების შესახებ, ასევე ამ მოვლენასთან მიმართებაში გამოყენებულ და მიღებულ ზომებთან დაკავშირებით;
- გაფართოვდეს სახელმწიფო მოხსენებების რეგულარული თანამშრომლობა.

III. 1.5. ბაზუკაეხი

- მოხდეს სტრატეგიის სფეროში გამოკვლევების ინიცირება და გაფართოება, განსაკუთრებით STOP – პროგრამის ჩარჩოებში მინიმალური განსაზღვრის საფუძველზე, რომელიც ზემოთ იქნა მოყვანილი შედარებითი მასალების შესაფერხებლად;
- 2. ქალებით ვაჭრობის მასშტაბების, ბუნებისა და მექანიზმების შესახებ;
- 3. ქალების მოთხოვნილებების და მათი დაკმაყოფილების პერსპექტივების შესახებ;
- 4. პოლიტიკისა და განზრახვების სფეროს შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ ქალებით ვაჭრობა სერიოზულ პრობლემად ითვლება, მაგრამ, საჭირო ინფორმაციის როდენობა არასაკმარისია.
- გაფართოვდეს და ხელი შეეწყოს იმ სფეროში თანამშრომლობას, რომელიც მიმართულია ევროპული და საერთაშორისო დონეზე შედარებითი მონაცემებით უზრუნველყოფის მიზნით სტრატეგიების კვლევისაკენ.

III. 2. ბაზიკა და სახედი

ქალებით ვაჭრობაში დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯა მიმართული უნდა იყოს არა იმით მიმართ ვინც ამ პრაქტიკის მსხვერპლი შეიქნა, არამედ თვითდამრღვევების წინააღმდეგ.

დამნაშავეთა ეფექტურად გამოვლენისა და დასჯის უზრუნველყოფის პირობას წარმოადგენს ქალების მსადაფოვნა პოლიციის ინფორმირებისა და მოწოდებების შესახებ. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქალები ძალიან ხშირად თავს იკავებენ სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებისაგან, რადგან, ასეთ შემთხვევებში ისინი აწყდებიან დაპატიმრებას, დაკავებას და რეპატრაციას, როგორც არალეგალური მიგრანტები და მესავეები.

ამგვარად, საჭიროა გაფართოვდეს დახმარება იმ ქალებისადმი, რომლებმაც პოლიციას მიმართეს და მოწოდებ გამოდინა დამნაშავეების წინააღმდეგ. უნდა მოხდეს „სამართლიანი პასუხის“ უზრუნველყოფა სამართალდამცავების მხრიდან. მაგალითად, პოლიციისა და პროკურორებისთვის სპეციალური ინსტრუქციების შემუშავების გზით, ასევე პოლიციისა და სხვა ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული პირებისათვის ტრენინგებისა და საგანმანათლებლო სემინარების ჩატარების გზით.

ევროპერთიანების წევრი სახელმწიფოების ქმედებები:

III. 2.1. მსხვილხმად დახმარებისა და დახმარების საშუალებები სახმართლდამცავ ორგანოებში დახმარებისა და მონაცემების ჩვენების ძროს.

- მოხდეს, გარკვეულ შემთხვევებში, რაც შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება, დროებითი რესიდენცის სტატუსის მინიჭება მაშინ, როდესაც განიხილება საქმე ვაჭრობის შესახებ, იმისათვის, რომ ქალებს შეეძლოთ პოლიციაში ჩოხი და იყენენ დაკუღანი, სადაც ამას ევროპერთიანების წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის საკანონმდებლო სისტემა მოითხოვს. ამ დროის განმავლობაში, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ სოციალური, სამედიცინო, ფინანსური და იურიდიული დახმარებით;
- მსხვერპლ ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა საქმის განხილვისას დაიცვან საკუთარი ინტერესები – სამართლებდი რჩევის ან სხვა აუცილებელი დახმარების, ასევე კომპეტენტური და კვალიფიციური თარჯიმნებით უზრუნველყოფის მხრივ;

- მოხდეს მსხვერპლთათვის შესაბამისი დახმარების გაწევა: უსაფრთხო თავშესაფრის, სამედიცინო და სოციალური დახმარების, მშობლიურ ან სხვა ენაზე, რომელზეც მათ ესმით და რომელზედაც შეუძლიათ ლაპარაკი – რჩევების მიღების, ასევე შესაბამისი ფინანსური დახმარების მხრივ;
- მოხდეს იმიგრაციულ პროცედურებთან, განსაკუთრებით დაკავებასთან დაკავშირებული მოქმედებების აღკვეთა, რომლებიც ხშირად – სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას მსხვერპლი-მოწმეების რაოდენობის შემცირებას უწყობს ხელს;
- გაფართოვდეს და მხარი დაეჭიროს თანამშრომლობას მსხვერპლთა, კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელ სააგენტოთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, რომელიც მსხვერპლთა დახმარებისაკენაა მიმართული.

III. 2.2. სისხლის სამართლის სისხლის მხილვან მსახიობის სამართლიანი ჩაჯარიმებისა და ბაჟიანობის ზომები.

- სისხლის სამართლის პროცესებთან დაკავშირებულმა ყოველმა თანამშრომელმა უნდა გააცნობიეროს გენდერული დისკრიმინაციის შეწყვეტის, და ამით ქალთა პოზიციების გაუმჯობესების აუცილებლობა;
- მსხვერპლთა თანხმობით მოხდეს მსხვერპლთა საკითხებთან დაკავშირებულ თანამდებობებზე რაც შეიძლება მეტი დანიტერესებული ქალი-თანამშრომლის დანიშვნა;
- მოხდეს იმ მოწმეთა დაცვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი მუქარისაგან, ზეწოლისა და დაშინებისაგან, რომლებიც ქალებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომწოდებლად გვევლინებიან. მოხდეს მათი დაცვის უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმეების განხილვამდე, მისი მიმდინარეობისას და მის შემდეგ, როცა ეს კომპეტენტურ ორგანოებს მიაჩნიათ აუცილებლად, ასევე დაცვა გავრცელდეს მოწმეთა მშობლებზე, შეილებსა და სხვა ახლო ნათესაებზე, თუ ეს არამე ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით არის აუცილებელი;
- სერიოზული მუქარის შემთხვევაში მოწმეს და, თუ საჭიროა, მისი ოჯახის წევრებს მიეცეთ სახელის შეცვლის უფლება;
- მსხვერპლის თხოვნის საფუძველზე, მიეცეს მას ინფორმაცია – დამნაშავეს გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ იქნა იგი დაკავებული ან აუცილებელი კონტროლზე საქმის ოფიციალური განხილვის დროს;
- ვაჭრობასთან და სასჯელთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მოხდეს ქალთა უსაფრთხოებისა და მათ მიმართ ხელშეუხებლობის, პატივისცემის უზრუნველყოფა;
- შემუშავებულ იქნეს მტკიცებულებების გამოვლენის და შეკრების მეთოდები, რომლებიც არ იქნებიან მიღებული და უკიდურესად დამამძიმებელი მსხვერპლის გენდერული შეხედულებებისათვის;
- პროკურატურა და პოლიცია უნდა ემხრობოდნენ იმ აზრს, რომ მსხვერპლის პირადი ისტორია, ხასიათი, ახლანდელი თუ ძველი საქმიანობები, როგორც ასეთი, არ უნდა იყენებ მის წინააღმდეგ გამოყენებული და არ უნდა გახდეს მისი სარჩელის დისკვალიფიკაციის მიზეზი. მოხდეს სამართალდამცავი მუშაკებისაგან ამ პრინციპების გაგების უზრუნველყოფა;
- უნდა იქნეს დაცული მსხვერპლის პირადი ცხოვრება ისეთი სახის გარანტიების მინიჭებით, რომ მსხვერპლით ვაჭრობის ისტორია არ იქნება გამოყენებული მის წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმეებზე თავისუფალ გადაადგილებას, ქორწინებაში შესვლას და სამუშაოს ძიებას.

III. 2.3. ქალბით ვაჭრობასთან მხილვის ბაჟიანობის ზომები:

- მოხდეს უზრუნველყოფა იმისა, რომ ტრენინგები და განათლების პროგრამები. რომლებიც განკუთვნილია ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი ორგანოებისათვის, როგორებიცაა – სამინისტროები, პოლიციის სამსახური და სამართალდამცავი დაწესებულებების განყოფილებები (რომლებიც გასცემენ ვიზებს), ასევე სასოციალურ-ოცნებო ორგანოებისათვის, რომელთაც პირადი

კავშირები აქვთ ამ სფეროში, – აქცევენ შესაფერის ყურადღებას ვაჭრობის მსხვერპლი ქალების მოთხოვნილებებსა და სპეციფიკურ სიტუაციებს;

- მოხდეს პოლიციის პერსონალის შეკრება, რომელიც ალჭურვილი იქნება საკმარისი კომპეტენციით და გაითვალისწინებს ამ ტიპის დანაშაულის მგრძობიარე მომენტებსა და სირთულეებს;

- მოხდეს იმ ინფორმაციის სისტემატიზაცია, რომელიც ქალებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ განსასჯელებს შეეხება, ასევე იმ ინფორმაციის, რომელიც შეიძლება ასეთი ტიპის დანაშაულების გამოძიებისა და დასჯას წაადგეს და რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფოთაშორისი გაცვლისათვის. ამ კონტექსტში სპეციალური მონაცემთა ბაზა იძლევა შესაძლებლობას – კანონმდებლობის გათვალისწინებით, შემოწმდეს პოლიციის პრაქტიკა და პროცედურები ევროგაერთიანების თითოეული წევრ-სახელმწიფოში, ასევე სასამართლოში საქმის განხილვისა და გამოძიების დროს;

- შემოღებული იქნეს შემდეგი საშუალებების მოცემი ზომები; ქალებით ვაჭრობის ინსტრუმენტებისა და მისგან მიღებული მოგების კონფისკაცია, სადაც მიზანშეწონილია;

იმ დაწესებულებების დროებითი ან მუდმივი დახურვა, რომლებიც შეიქმნენ ან გამოიყენებინ ქალებით ვაჭრობის ორგანიზებისათვისიქ, სადაც ეს ევროგაერთიანების ქვეყნების ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

III. 3. შსახაზისი დახმარება და თანადრობა

ქალებით ვაჭრობამ შეიძლება მსხვერპლთათვის, როგორც მატერიალური ისე მნიშვნელოვანი არამატერიალური შედეგები მოიტანოს, რომელთა კომპენსირება არ ხდება სისხლის სამართლის გამოძიებით და დამნაშავეს დასჯით.

შესაბამისი დახმარება და თანადრობა არა მარტო შედეგების აღმოფხვრასა და შემსუბუქებაში დაგვეხმარება, არამედ ქალთა პოზიციების გამაგრებით მოხდება საკუთარი წვლილის შეტანა ვაჭრობის მიმართ გაფრთხილებასა და თავშეკავებაში.

ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების ქმედებები.

III. 3.1. ინფორმაცია

ინფორმაციის მიწოდება დაზარალებული ქალებისათვის სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური დახმარების, ასევე კომპეტენციის არსებული საზოგადოებრივი თუ კერძო მექანიზმების არსებობის შესახებ.

III. 3.2. სამონაწილი საჩუქარი

- მოხდეს დამნაშავეზე სამოქალაქო სარჩელის შეტანის უსრუნველყოფა ქალებით ვაჭრობის შედეგად დაზარალებულ მსხვერპლთათვის კომპენსაციის მიღების მიზნით;

- მოხდეს სათანადო დახმარების გაწევა დაზარალებულთათვის, რათა მათ საშუალება მიეცეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები სასამართლოში.

III. 3.3. შსახაზისი დახმარება

- მოხდეს იმის ცნობა, რომ რამენაირი ზიანის კომპენსაციისათვის, რომელსაც შესაბამისი ეკონომიკური ექვივალენტი გაანინა, შეიძლება საჭირო გახდეს საზოგადოებრივი და კერძო რესურსების, ასევე დაფინანსების არატრადიციული წყაროების მობილიზაცია;

ასეთი სახის ზიანს განეკუთვნება:

ფიზიკური ან მორალური ზიანი, კერძოდ ტკივილი, ტანჯვა და მძიმე ემოციური მდგომარეობა;

მატერიალური ზიანი;

ექსპერტისა და საკანონმდებლო ხარჯების ღირებულება.

- შესაძლებლობების ფარგლებში, კომპეტენტურ ორგანიზებს მიეწოდოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია, რათა შეფასებულ იქნეს კომპენსაციაზე შემოსული განცხადებები.

- აუცილებლობის შემთხვევაში, მოხდეს დახმარების გაწევა ახალი პირადი დოკუმენტების გასაფორმებლად;
- აუცილებლობის შემთხვევაში, მოხდეს კუმიანტარულ საფუძველზე რეზიდენტის სტატუსის მინიჭება.

III. 3.4. შახაჯაჩიანა და თანადგომის თანხებით

• მოხდეს ეფექტური, სასწრაფო, კონფიდენციალურ – სამედიცინო, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა, ასევე მოხდეს სახელმწიფოს მიერ უსაფრთხო თავშესაფრის გამოყოფა;

• თანამშრომლობის განვითარების ჩარჩოებში მოხდეს მომწოდებელი ქვეყნების დახმარება, დაზარალებულთათვის, რომლებიც სახლში ბრუნდებიან, სპეციალური დაწესებულებების ორგანიზების მიზნით.

ამგვარად, ეს იძლევა იმ პრობლემების მინიმიზაციის საშუალებას, რომლებსაც ვაჭრობის მსხვერპლნი სახლში დაბრუნებისას აწყდებიან, ესენია: საკუთარი სახლებიდან და სოციალური ჯგუფებიდან განდევნის საშიშროება; სასურველი სამუშაოს პოენის შეუძლებლობა; საზოგადოებისაგან გარიყვის საშიშროება და სახელმწიფო ორგანოების ან დამანაშავეთა მხრიდან რეპრესიებისა და დასჯის საშიშროება.

გაფართოვდეს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობები, რომლებიც ქალებით ვაჭრობის მსხვერპლთა პრობლემებზე მუშაობენ, იმისათვის, რომ მოხდეს აუცილებელი დახმარებისა და თანადგომის უზრუნველყოფა მსხვერპლთა საჭიროებების გათვალისწინებით.

ღამატიკითი მანაღ



სანაჰთვრდომოშო ტჰაჟოტიკობის მსხვკიჰდთა
მანაღმჰჰიის სისტიკის ანაღიოი
ღ

ჰანომანდესტიკი კიომჰედი ჰაჟოტიკი მანაღობის
შკსანაღნაღ

ღაღაღა ღომანოჰსენა ღ ჰნაღნაღნა ჰკიკიოთი თიკი
სანაჰთვრდომოშო კიოთო-ს მისიოთიოთი
მომანაღნაღი ანაღიოთი
2005 იჰსისი

ამ ანგარიშის მიზანია, შეაფასოს საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებული მხარდაჭერის სისტემა და ხელმისაწვდომი რესურსები, ასევე წარმოადგინოს რეკომენდაციები სამომავლო განვითარებისათვის. შეფასების მიზანია ეუთო-სა და საქართველოში მისი პარტნიორების საშუალო პროგრამით უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული რეფერალური მექანიზმის განვითარების, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმისა და კანონმდებლობის წინასწარი პროექტის შემუშავების შუალედურ პერიოდში. შეფასება ეყრდნობა ეუთო-სა და ODIHR-ის მიერ შექმნილ მეთოდოლოგიას, რომელიც წარმოდგენილია თედა კროგერის, იასნა მაღკოჩის და ბერბელ ულის წიგნში, "ეროვნული რეფერალური მექანიზმები. გაგავრთიანოთ ძალები ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად". *პრაქტიკული სახელმძღვანელო*⁴.

აღნიშნული ანგარიში მოიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა საერთო მხარდაჭერის არსებული სისტემის ანალიზს, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის, სასამართლო პროცედურების დროს მათი მხარდაჭერის, თავშესაფრებით უზრუნველყოფის, უკან დაბრუნებისა და ასევე ეკონომიკური ინტეგრაციის ანალიზს; გამოავლენს არსებულ ხარვეზებს; აუღიბებს რეკომენდაციებს ჩასატარებელი საქმიანობისათვის და დასახავს საქმიანობის პრიორიტეტებს, რათა 1-3 წლიანი პერიოდის განმავლობაში მოხდეს არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. შეფასების დასკვნები წარმოდგენილი და განხილული იქნა თბილისში, 2005 წლის 22 აპრილს ჩატარებულ სემინარზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლები და ის სახელმწიფო ექსპერტები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება ადამიანთა ტრეფიკინგს.

1. **საერთაშორისო მართლმადიდებელი მართლმადიდებელი მართლმადიდებელი**

ეროვნული რეფერალური მექანიზმი, როგორც წესი, მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას, მსხვერპლთა დახმარებას და მათ რე-ინტეგრაციას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ მათ შემდგომ სოციალურ ინტეგრაციას.

1.1 **იდენტიფიკაცია**

იდენტიფიკაცია მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რომელიც მიმართულია და მიზნად ისახავს პოტენციურ მსხვერპლთა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციას. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ იდენტიფიკაციის პროცესი შეიძლება გართულდეს და გაიწელოს დროში, პიროვნებები, რომლებიც იმყოფებიან იდენტიფიციციების პროცედურის ქვეშ, უნდა იქნან აღქმულნი როგორც პოტენციური მსხვერპლნი და უზრუნველყოფილი უნდა იქნან დაცვითა და დახმარებით იდენტიფიციციების პროცესში.

⁴ თედა კროგერი, იასნა მაღკოჩი და ბერბელ ული. "ეროვნული რეფერალური მექანიზმები. გაგავრთიანოთ ძალები ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად. *პრაქტიკული სახელმძღვანელო*"⁴. OSCE/ODIHR ვარშავა, 2004.

აღსანიშნავია, რომ სათანადო იდენტიფიკაცია საჭიროა არა მარტო ტრეფიკინგის მსხვერპლთა: ქალების, მამაკაცების და ბავშვების დასაცავად შემდგომი მოსალოდნელი ზიანისგან და მათთვის შესაბამისი დახმარების აღმოსაჩინად, არამედ ნიეთმტკიცებების შესაგროვებლად ყოველ ცალკეულ ტრეფიკინგის შემთხვევაზე, რათა მოხდეს ამ შემთხვევების გამოძიება და დამნაშავეების სამართლებრივი დევნა. ტრეფიკინგის მსხვერპლთაგან მიღებული ინფორმაცია არის ყველაზე გამოსადეგი და უმეტეს შემთხვევაში, არის ერთადერთი ნიეთმტკიცება, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია.

აღამიანთა უფლებების დაცვის ოფისის უმაღლესი კომისრის მიერ გამოცემული აღამიანთა უფლებების და აღამიანთა ტრეფიკინგის შესახებ რეკომენდირებული წესების და დირექტივების შესაბამისად, ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლი უნდა იქნას აღიარებული ასეთად და არ უნდა ატვირდეს პასუხს ნებისმიერ უკანონო ქმედებაზე, დაკავშირებულს მათ ტრეფიკინგთან⁵.

ტრეფიკირებული პიროვნებები არ უნდა იქნან დაკავებული, გასამართლებული და არ უნდა წაეყენოთ ბრალი სატრანზიტო ან დანიშნულების ქვეყანაში არაღებულ შიდა მდგომარეობის, თუ ამგვარი მონაწილეობისათვის კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, თუ ამგვარი მონაწილეობა წარმოადგენს პირდაპირ შედეგს, დაკავშირებულს მათ, როგორც ტრეფიკირებული პიროვნების მდგომარეობასთან⁶.

დირექტივები აგრეთვე გეთავაზობს კონკრეტულ ნაბიჯებს, რათა მოხდეს მსხვერპლთა სათანადო იდენტიფიკაცია⁶.

ბავშვების შემთხვევაში სათანადო იდენტიფიკაცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. UNICEF-ის დირექტივები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის⁷ შესახებ შეიქმნა

⁵ აღამიანთა უფლებების და აღამიანთა ტრეფიკინგის შესახებ რეკომენდირებული წესები და დირექტივები. გაცროს აღამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისრის ეკონომიკური და სოციალური საბჭოსთვის მომზადებული ანგარიშების დანართი, იხილეთ ვებ გვერდი:

[p://www.unhcr.ch/huridocda/huridoca.nsf/\(Symbol\)/E.2002.68.Add.1.En?Opendocument](http://www.unhcr.ch/huridocda/huridoca.nsf/(Symbol)/E.2002.68.Add.1.En?Opendocument)

⁶ *Ibid.*, გვ. 5-6:

“სახელმწიფოები ვალდებული არიან უსრუნველყონ ამგვარი იდენტიფიკაციის არსებობა და ქველთუნარიანობა.

1. სახელმწიფოებმა და სადაც მიზანშეწონილია სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა ისრუნონ: შესაბამისი მმართველობის ორგანიზაციებისთვის და ოფიციალური პირებისთვის როგორცაა პოლიცია, მესასლურეები, საიმიგრაციო სამსახური და სხვა მმართველობითი ორგანოები რომელთა საქმიანობა უკავშირდება არაკანონიერი შიგარტების აღმოჩენას, დაკავებას და დარეგისტრირებას დირექტივების და პროცედურების შექმნაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკირებული პიროვნებების სწრაფ და სწორ იდენტიფიკაციას.

2. ტრეფიკირებული პიროვნებების იდენტიფიკაციისთვის და მათ მიმართ დირექტივების და პროცედურების სწორედ გამოყენებისათვის აუცილებელია სათანადო ტრენინგების ჩატარება შესაბამის მმართველობით ორგანიზაციებისთვის და ოფიციალური პირებისათვის.

3. საჭიროა თანამშრომლობის უსრუნველყოფა შესაბამის მმართველობით ორგანოებს, ოფიციალურ პირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რათა მოხდეს იდენტიფიკაციის პროცესის და დახმარების უსრუნველყოფის გაადვილება ტრეფიკირებული პიროვნებებისათვის.

უნდა განხორციელდეს ამგვარი თანამშრომლობის ორგანიზების და დანერგვის ფორმალისება, რათა მოხდეს მისი ეფექტურობის მაქსიმისაცია:

არსებული საერთაშორისო ადამიანთა უფლებების აქტებზე დაყრდნობით. კერძოდ, *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა უფლებებზე*, სადაც ბავშვთა უფლებების სპეციალური დაცვის ზომები დეტალურად არის განხილული⁶. ისინი იმეორებენ იმ ფაქტს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს ენიჭებათ სპეციალური დაცვა გამომდინარე მათი, როგორც ბავშვის და დანაშაულის მსხვერპლის სტატუსიდან. დირექტივების რეკომენდაციის თანახმად, არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული პრო-აქტიური საიდენტიფიკაციო ზომები, იმის პრეზუმფციით, რომ მსხვერპლი არის ბავშვი, თუ არსებობს ამის გონივრული საფუძველი.

1.2. ხაჯნაზოვა

ხელშეწყობის უფლება ეფუძნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანს-ნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის პალერმოს პროტოკოლს⁷, და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს, რომელიც მიუთითებენ ქვეყნებს მათ პასუხისმგებლობაზე, რათა მიიღონ პრევენციული ზომები ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ და გაუწიონ დაცვა ამგვარი დარღვევის მსხვერპლს.

ტრეფიკირებულ პიროვნებებს, როგორც ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევის მსხვერპლს, გააჩნიათ დაცვის და დახმარების უფლება. პალერმოს პროტოკოლის მიხედვით, დაცული უნდა იყოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა კონფიდენციალურობა და მათ უნდა მიიღონ ინფორმაცია სასამართლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაზე. ყველა ქვეყანამ უნდა განიხილოს: "ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გაჯანსაღებას. აღნიშნული უნდა განხორციელდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამის ორგანიზაციებთან და სხვა სამოქალაქო დაწესებულებებთან ურთიერთშეთანხმებით, განსაკუთრებით კი როცა საკითხი ეხება:

1. საჭიროა ინტერვენციის შესაბამისი წერტილები იდენტიფიცირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიგრანტები და პოტენციური მიგრანტები გაფრთხილებული არიან ტრეფიკინგის საშიშროებაზე და გამომდინარე შედეგებზე და გააჩნიათ ინფორმაციის მიღების საშუალება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მათ საშუალებას მისცემს შესაბამისი დახმარების მოსიძებაში.
2. იმის უზრუნველყოფა რომ ტრეფიკირებული პიროვნები არ იქნებიან დასჯილინი სამეზობლო კანონების დარღვევისათვის ან სხვა მათ მიერ განხორციელებული საქმიანობისათვის რომელიც არის მათი როგორც ტრეფიკირებული პირის სიტუაციის შედეგი.
3. იმის უზრუნველყოფა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ტრეფიკირებული პიროვნებების სამეზობლო კანონის ან სხვა სახით დაპატიმრება.
4. პროცედურების და შესაბამისი პროცესების არსებობის უზრუნველყოფა რათა მოხდეს ტრეფიკირებული პიროვნების და კონტრაბანდული გზით შემოდგენილი პიროვნების მიერ თავშესაფარის მოთხოვნების მიღება და განხილვა, ამასთანავე აუცილებელია იძულებით დაბრუნების აკრძალვის პრინციპის დაცვა.

⁶ UNICEF-ის დირექტივები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. იენისი 2003. იხილეთ ვებ გვერდი: www.seerights.org
გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვთა უფლებებზე. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.unicef.org/crc/crc.htm>

⁷ იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.uncjin.org/Documents/Conventions/conventions.html>.
გაერთიანებული ერების პროტოკოლი ტრეფიკინგის პრევენციის დასაჯის და აკრძალვის შესახებ და გაერთიანებული ერების პროტოკოლი მიწით, წყლით და პავითი კონტრაბანდული გზით გადაყვანის შესახებ, რომელიც წარდგინდა იქნა პალერმოში. მესამე პროტოკოლი ტრეფიკინგის წარმოების წინააღმდეგ მომზადებულ იქნა ხელმოსაწერად 2001 წლის იენისში.

- შესაბამისი საცხოვრებელი უზრუნველყოფას;
- კონსულტაციებით და ინფორმაციით უზრუნველყოფას ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით და იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ტრეფიკირებული პიროვნებისთვის; სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფას;
- დასაქმების, განათლების და ტრენინგების შესაძლებლობებით უზრუნველყოფას.

ყოველი სახელმწიფო ზემოთ მოხსენებული პუნქტების უზრუნველყოფისას გაითვალისწინებს ყოველი ცალკეული ტრეფიკინგის მსხვერპლის სქესს, ასაკს და მათ სპეციფიკურ მოთხოვნილებებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების მოთხოვნილებებს, შესაბამისი საცხოვრებელი და განათლების უზრუნველყოფის ჩათვლით.

ყველა სახელმწიფო შეეცდება უზრუნველყოს მათ ტერიტორიაზე მყოფი ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოება.

ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც საშუალებას მისცემს ტრეფიკირებულ პიროვნებას მიიღოს კომპენსაცია მიყენებული ზარალისთვის”.¹⁰

დახმარება უნდა გაეწიოს ნებისმიერ მსხვერპლს განურჩევლად მათი ეროვნებისა, სქესისა თუ ასაკისა. ყოველმა სახელმწიფომ პალერმოს პროტოკოლის პირობების უზრუნველყოფისას უნდა გაითვალისწინოს ყოველი ცალკეული ტრეფიკინგის მსხვერპლის სქესი, ასაკი და მათი სპეციფიკური მოთხოვნილებები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების მოთხოვნილებებს, შესაბამისი საცხოვრებელი და განათლების უზრუნველყოფის ჩათვლით. UNICEF-ის დირექტივები აქცენტს აკეთებს იმის თაობაზე, რომ მსხვერპლ ბავშვთა შემთხვევაში აუცილებელია მეურვის დანიშვნა, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იმოქმედებს ბავშვთა ინტერესიდან გამომდინარე. მეურვის ფუნქციაა აგრეთვე მოახდინოს რისკისა და უსაფრთხოების შეფასება, ბავშვის მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებამდე.¹¹

1.3. ხაინძაბახანი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანს-ნაციონალური დანაშაულის კონვენციის 25-ე პარაგრაფი რე-ინტეგრაციის შესახებ გულისხმობს, რომ “ყოველი ქვეყანა თავისი შესაძლებლობების მიხედვით მიიღებს სათანადო ზომებს, რათა გაუწიოს დახმარება და დაცვა იმ პიროვნებებს, რომლებიც დასარაღდნენ ამ კონვენციაში განხილული დანაშაულებრივი ქმედებით, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც

¹⁰ ibid გვ.3.

¹¹ UNICEF-ის დირექტივები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. ივნისი 2003. იხილეთ ვებ გვერდი: www.seerights.org

არსებობს დასარაღებულ პირსე შუროისძიების ან მისი დაშინების საშიშროება”, რაც მოიცავს სათანადო პროცედურების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს კონვენციით¹² გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებით დასარაღებულ პირებს მიიღონ კომპენსაცია და აუნაზღაურდეთ მიყენებული ზარალი. პალერმოს პროტოკოლი ტრეფიკინგის შესახებ მიუთითებს მხოლოდ იმის შესახებ, რომ “ყოველი ქვეყანა განიხილავს იმ ღონისძიებების დანერგვას, რომლებიც მიმართული იქნება ყოველი ცალკეული დასარაღებული პირის ფისიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ინტეგრაციისათვის”.¹³ SPTF-ის (სტაბილურობის პაქტის ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისია) რეკომენდაციები კიდევ უფრო შორს მიმართულია და მიუთითებს სახელმწიფოებს რესურსების გამოყოფას კომპლექსური პროგრამებისთვის, რომლებიც მიმართული იქნება ტრეფიკინგის მსხვერპლთა რე-ინტეგრაციისთვის სასოგადოებაში და რაც თავის მხრივ, წარმოშობს ტრეფიკირებული პიროვნებებისათვის გრძელვადიანი დახმარებისა და სოციალური ინტეგრაციის საჭიროებას¹⁴.

ეუთო-ს სამოქმედო გეგმა აღნიშნავს, რომ ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა უნდა განიხილონ: “ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერა, რეაბილიტაცია და სოციალური რეინტეგრაცია მათთვის სოციალური და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენით”¹⁵

UNICEF-ის დირექტივები *სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში¹⁶* ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ არ ითვალისწინებს რე-ინტეგრაციის რაიმე სპეციფიკურ ზომებს, აღნიშნული დირექტივები მიანიშნებს, რომ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ “ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს უფლება აქვთ მიიღონ გრძელვადიანი დახმარება და დაცვა, მიიღონ საკვები, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი, სამედიცინო დახმარება, ფსიქო-სოციალური დახმარება, იურიდიული ხელშეწყობა, სოციალური და საგანმანათლებლო ხელშეწყობა მათი

¹² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანს-ნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორანიზაცია 2000წ. იხილეთ ვებ გვერდი:

http://www.uncjin.org/Documents/Conventions/dcatoc/final_documents_2/convention_eng.pdf

¹³ “ყველა ქვეყანამ უნდა განიხილოს ღონისძიებების დანერგვა რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფისიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ინტეგრაციას. აღნიშნული უნდა განვიხილოთ კონვენციის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რეკლუკანტურ ორგანიზაციებთან და სხვა სამოქალაქო ელემენტებთან ურთიერთშეთანხმებით, განსაკუთრებით კი როცა საქმე ეხება:

- ა) შესაბამისი საცხოვრებლის უზრუნველყოფას
- ბ) კონსულტაციებით და ინფორმაციით უზრუნველყოფას ყოველი კონკრეტული შემთხვევის მსხვერპლი და იმ ენაზე რომელიც გასაგებია ტრეფიკირებული პიროვნებისთვის.
- გ) სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფას.
- დ) დასაქმების, განათლების და ტრენინგების უზრუნველყოფას.

¹⁴ გრძელვადიანი ანტი-ტრეფიკინგული სამოქმედო გეგმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის. სტაბილურობის პაქტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისია. ვენა, 16 მარტი 2001წ გვ.11. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.stabilitypact.org/trafficking/atap-2001.doc>

¹⁵ OSCE-ს სამოქმედო გეგმა ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.osce.org/docs/english/nc/2003/decisions/pcdd557.pdf>

¹⁶ UNICEF-ის დირექტივები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. იენისი 2003. იხილეთ ვებ გვერდი: www.seerights.org

სამომავლო საზოგადოებაში სამომავლო რეინტეგრაციისათვის¹⁷. რეინტეგრაცია თავის მხრივ, გულისხმობს ბავშვებისთვის უსაფრთხო და პროტექციული გარემოს¹⁸ შექმნას, რაც მოიცავს მრავალმხრივ დახმარებებსა და მხარდაჭერის აღმოჩენას.

1.4 უსაფრთხო გარემოს მართვის სტანდარტები (NRM)

“ადამიანის უფლებების დარღვევა არის ტრეფიკინგის წინაპირობაც და შედეგიც. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ადამიანის უფლებების დაცვამ დაიკაოს ცენტრალური ადგილი ტრეფიკინგის პრევენციულ სომეხში. ანტი-ტრეფიკინგულმა ქმედებებმა არ უნდა ხელეყოს ადამიანის უფლებები, მისი ღირსება, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებისა, რომლებიც არიან ტრეფიკინგისა და მიგრაციის მსხვერპლნი, იძულებით გადაადგილებულნი, თავშესაფრის გარეშე დარჩენილნი¹⁹ და ლტოლვილები.

ეროვნული რეფერალური მექანიზმების ჩარჩოებში განხორციელებულ ყველა ქმედებას საუფლებოდ უნდა დაედოს დახმარების პროცესში ადამიანისთვის ზიანის არ მიყენება. ეროვნული რეფერალური მექანიზმების განვითარების უმთავრესი წინაპირობა არის მსხვერპლთა კეთილდღეობა და მათი დაცვა. აგრეთვე აუცილებელია დაზარალებული ადამიანის ინტერესები მოქცეს განვითარებული სტრუქტურის ყურადღების ცენტრში. აქედან გამომდინარე, ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის დახმარების გაწევა უნდა მოხდეს მასთან შეთანხმებით და უნდა იყოს ნებაყოფლობითი. უნდა გამოირიცხოს ყველა ის სიტუაცია, როდესაც დახმარების პროცესში ირღვევა მსხვერპლთა უფლებები. ამასთან დაკავშირებით რეფერალულ სისტემაში მონაწილე ყველა ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შემუშავებულ უნდა იქნას ტრეფიკინგით დაზარალებულ ადამიანთან ურთიერთობის სტანდარტული მინიმალური წესები და პროცედურები.

ადამიანის უფლებებისადმი მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ტრეფიკინგით დაზარალებული ადამიანის უფლებები, მხარს უჭერს ყველანაირ ანტი-ტრეფიკინგულ ინიციატივას, ვინაიდან “ადამიანის უფლებების ცნება” წარმოიშვა ადამიანის უფლებების სტანდარტებისა და პრინციპებიდან, რომლებიც შედის საერთაშორისო კონვენციებში, შეთანხმებებსა და პროტოკოლებში. სახელმწიფოები ვალდებული არიან განიხილონ ადამიანის უფლებებისადმი მიდგომა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდიანმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესმა კომისარმა განსაზღვრეს ტრეფიკინგი, როგორც ადამიანის უფლებების ერთ-

¹⁷ *ibid.*, გვ. 9.

¹⁸ იხილეთ ვებ გვერდი: http://www.unicef.org/protection/index_environment.html UNICEF-ის “პროტექციული გარემოს” კონცეფციის განსაზღვრავად.

¹⁹ ადამიანთა უფლებების და ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ რეკომენდირებული წესები და დირექტივები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების დაცვის უმაღლესი კომისიის ეკონომიკური და სოციალური საბჭოსთვის მომზადებული ანგარიშგების დანართი, იხილეთ ვებ გვერდი:

[p://www.unhcr.ch/buridocda/huridoca.nsf/\(Symbol\)/E.2002.68.Add.1.En?Opendocument](http://www.unhcr.ch/buridocda/huridoca.nsf/(Symbol)/E.2002.68.Add.1.En?Opendocument)

ერთი ყველაზე მძიმე დარღვევა²⁰. UNOHCHR რეკომენდირებული ადამიანთა უფლებების და ადამიანთა ტრეფიკინგის²¹ დირექტივები და ნორმები განსასაზღვრავს ადამიანთა უფლებების უზენაესობას იმის ხაზგასმით, რომ:

1. ტრეფიკირებული პიროვნებების ადამიანური უფლებები არის უზენაესი და საჭიროა ძალისხმევის გამოყენება ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად დაზარალებულთათვის კომპენსაციის და დახმარების აღმოსაჩენად;
2. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმოქმედონ სათანადო ძალისხმევით, რათა აღკვეთონ ტრეფიკინგი, გამოიძიონ და დასაჯონ ტრეფიკირები, გააუწიონ დახმარება და დაცვა ტრეფიკირებულ პიროვნებებს;
3. ანტი-ტრეფიკინგულმა ღონისძიებებმა არ უნდა იქონიონ არახელსაყრელი შემოქმედება ადამინის უფლებებზე და მის ღირსებაზე²².

ადგილობრივი მფლობელობა წარმოადგენს ორგანიზაციებისათვის კურატორობის გაწვევის და ეროვნული რეფერალური მექანიზმის დანერგვის ერთ-ერთ პრიციპს. ადამიანთა უფლებების მიდგომა ანტი-ტრეფიკინგულ ქმედებებთან მიღებულ იქნა როგორც სამთავრობათშორისო, საერთაშორისო და ადგილობრივ მოქალაქეთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების, ასევე სოციერთი სამთავრობო სტრუქტურის მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანია მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს ადამიანთა უფლებების დაცვის ვალდებულებების შესრულებაში. SPTF-ის (სტაბილურობის პაქტის ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისია) თანახმად, “ყველა ვალდებულების შესრულება (ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში) ცალკეულად ეკისრება ყოველ სახელმწიფოს. აღნიშნულმა უნდა უზრუნველყოს მათი ქმედებების შესაბამისობა მათ საერთაშორისო ვალდებულებებთან ადამიანთა უფლებების დაცვის ნორმების მიხედვით, რაც გულისხმობს ინდივიდების უფლებების პატივისცემას და დაცვას იურიდიული, ადმინისტრაციული და სხვა ბერკეტებით”²³

ეროვნული რეფერალური სისტემის წარდგენილი მოდელი, ითვალისწინებს სახელმწიფოს და სახელმწიფოებრივი ორგანოების პასუხისმგებლობას და წამყვან როლს ტრეფიკინგის მსხვერპლთა

²⁰ იხილეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანგარიში: ქალების და გოგონების ტრეფიკინგი, /55/გენერალური ასამბლეის ახამბლეა/22 აქტისტი 2000წ. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.un.org/womenwatch/daw/trafficking.html>. აგრეთვე: გენერალური მდივნის მიმართუა უძალდესი დონის შეხვედრაზე პალერმოში, იტალიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანს-ნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის ხელმოწერის შესახებ, 12 დეკემბერი 2000წ. იხილეთ ვებ გვერდი: http://www.odccp.org/palermo_convmain.html. აგრეთვე: ქალების და გოგონების ტრეფიკინგი, გენერალური მდივნის ანგარიში, E/CN.4/2003/74, იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.unhchr.ch/Huridocda/Huridoca.nsf>.

²¹ ადამიანთა უფლებების და ტრეფიკინგის შესახებ რეკომენდირებული წესები და დირექტივები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების დაცვის უძალდესი კომისიის ეკონომიკური და სოციალური საბჭოსთვის მომზადებული ანგარიშის დანართი, იხილეთ ვებ გვერდი: [http://www.unhchr.ch/huridocda/huridoca.nsf/\(Symbol\)/E.2002.68.Add.1.En/Opendocument](http://www.unhchr.ch/huridocda/huridoca.nsf/(Symbol)/E.2002.68.Add.1.En/Opendocument)

²² ibid. გვ.2.

²³ გრძელვადიანი ანტი-ტრეფიკინგული სამოქმედო გეგმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის. სტაბილურობის პაქტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისია. ვენა, 16 მარტი 2001წ გვ.11. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.stabilitypact.org/trafficking/atan-2001.doc>

იდენტიფიკაციისა და დახმარების პროცედურების შექმნაში და ამ პროცედურების რეალიზაციაში.

საერთაშორისო ოგანიზაციები ფოკუსირებას ახდენენ ადამიანთა უფლებების დაცვის ნორმების გაცნობაზე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფო და უწყებათაშორის ორგანიზებებში (მაგალითად, UNOHCHR-ის დირექტივები და რეკომენდაციები ადამიანთა უფლებებზე და ტრეფიკინგზე და UNICEF-ის დირექტივები ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში) აქტიური მონაწილეობის და არსებული ანტი-ტრეფიკინგული საკანონმდებლო ინიციატივების მონიტორინგის გზით. ტრეფიკინგის მსხვერპლთან მოპყრობის და მხარდაჭერი უწყებების მუშაობის სტანდარტები შემუშავებულია და საერთაშორისო ოგანიზაციებით მხარს უჭერენ და პროპაგანდას უწევენ მათ გამორეზებას. თუმცა, არ განახორციელებენ პირდაპირ სეწოლას ადამიანთა უფლებების დაცვის ნორმების დანერგვაზე, რადგან ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.

ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნისას გასათვალისწინებელია ყველა მონაწილე პირის უსაფრთხოება. აღნიშნული ეხება არა მარტო ტრეფიკინგის მსხვერპლებს, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს. ტრეფიკინგის მსხვერპლებს ემუქრებათ არა მხოლოდ ხელმეორედ ტრეფიკირება, არამედ შურისძიება ტრეფიკერების მხრიდან, თუ ისინი გასცემენ ინფორმაციას და ითანამშრომლებენ სამართალდამცავ ორგანოებთან და პროკურატურასთან. დაზარალებულები, რომლებიც გადაწყვეტენ ჩვენების მიცემას და გააანთით ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ტრეფიკერების გასამართლებას და დამნაშავედ აღიარებას, იმყოფებიან განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ და აუცილებელია მათი შესაბამისი დაცვით უზრუნველყოფა. თავშესაფრების თანამშრომლები და სხვა პირები, რომლებიც მუშაობენ დასაზარალებულებთან და მათგან იღებენ ინფორმაციას ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ, ასევე იმყოფებიან მრავალი რისკის ქვეშ. საჭიროა სათანადო მონისპიებების ჩატარება, რათა მოხდეს რისკის შეფასება და გადაიდგას ნაბიჯები ყველა მონაწილე პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2. შიჯიანგანს მსხვიხტუნ იღანაიჯიანსი და მათი საქიოუბანის შაჯანაბ

არსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველო ძირითადად გამოიყენება, როგორც ტრეფიკირებული პირების სატრანზიტო ქვეყანა. 2004 წელს ადგილი ჰქონდა გახმაურებულ შემთხვევას: თბილისში იდენტიფიცირებულ იქნენ უსბეკი ქალები, რომლებიც ტრეფიკინგის მიზნით გადაყვავდათ დუბაიში. უფრო ადრე მოხდა სხვა შემთხვევაც, როდესაც უკრაინელი ქალები დემორტირებულ იქნენ თურქეთიდან საქართველოში. ისინი აღმოაჩინა საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ და აღიარა ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლად. აგრეთვე არის შემთხვევები ქართველების სასაზღვრე ტრეფიკირებისა. ამგვარი ინფორმაცია ძირითადად უკავშირდება ქართველ ქალებს, რომელთა უმეტესობა არის 18 წლიდან ასაკის, ტრეფიკირებას თურქეთში და არაბეთის გაერთიანებულ სამეორეებში სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ არის მიგრაცია და შესაძლო ტრეფიკინგი ქართველი მოქალაქეებისა, როგორც ქალების, ასევე მამაკაცების: საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიაში, ესპანეთსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგი ძირითადად უკავშირდება ძალადობრივ პროსტიტუციას, არის გარკვეული შემთხვევები ქართული მოქალაქეების შრომითი ექსპლუატაციის, ორგანოების გადაწერვის, საერთაშორისო არაკანონიერი გაშვების, მათხოვრობისა და სხვა არალეგალური ქმედებისა.

ასეთ შემთხვევებში ტრეფიკინგის პოტენციური/მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცესი უნდა იყოს ორიენტირებული შემთხვევებულ ჯგუფებზე – როგორც უცხოელ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს საქართველოში, ასევე ქართველ მამაკაცებს, ქალებსა თუ ბავშვებს საზღვარგარეთ, რომლებიც ბრუნდებიან ან უკვე დაბრუნდნენ საქართველოში და რომლებიც იყვნენ ტრეფიკირებული საქსუალური, შრომითი ან სხვა სახით ექსპლუატაციის მისხით.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოსააშკარაებლად და მათი იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია ამ პროცესში სხვადასხვა უწყებების ჩართვა. საქართველოში ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი უწყებების ჩართვა:

სასაზღვრო პოლიციას შეუძლია მოახდინოს პიროვნების იდენტიფიკაცია ქვეყნის დატოვების, ქვეყანაში დაბრუნებისა თუ ტრანზიტით გადის დროს. მიუხედავად ამისა, დასამახსოვრებელია, რომ სასაზღვრო გადაკეპისას პიროვნების იდენტიფიცირება შეიძლება იყოს პრობლემატური. იურიდიული თვალსაზრისით, იმ ქალთა უმეტესობა, რომლებიც კვეთენ საქართველოს საზღვარს და მიემართებიან დანიშნულების ქვეყანაში, ჯერ არ არიან ტრეფიკირებულები. უმეტეს შემთხვევაში, საზღვარზე დაფიქსირებისას ისინი არიან მარტო ან პიროვნებასთან (ტრეფიკერთან) ერთად, რომელსაც ისინი გადაეცავენ საზღვარგარეთ და ამ მომენტში მათ არანაირ ექსპლუატაციას არა აქვს ადგილი. არც ქალებს და არც სასაზღვრო პოლიციას ამ მომენტში არ შესწევთ იმის უნარი, რომ განსაზღვრონ გახდებიან თუ არა ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლნი. შეუძლებელია ამ მომენტში ტრეფიკინგის ფაქტის დამტკიცება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასაზღვრო პოლიცია წინასწარ ფლობს ინფორმაციას და გააჩნია ნივთმტკიცებები ტრეფიკინგის ფაქტის შესახებ. არსებობს იმის საშიშროება, რომ სასაზღვრო პოლიციამ შესაბამისი მტკიცებულების გარეშე, საკუთარი დასკვნებიდან გამომდინარე ჩათვალოს ქალები პოტენციური ტრეფიკინგის მსხვერპლად. რეალობაში ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ქალების უკანონო შეჩერება ქვეყნის დატოვებისას ან ქვეყანაში შესვლისას და აქედან გამომდინარე, დაარღვიოს მათი თავისუფლად გადაადგილების უფლება.

პოლიციას ძირითადად არ გააჩნია ტრეფიკირებული პიროვნებების იდენტიფიკაციის შესაძლებლობები. როგორც წესი, მხოლოდ ანტი-ტრეფიკინგული დანაყოფები ფლობენ სათანადო უნარ-ჩვევებს და ინფორმაციას. არსებობს იდენტიფიცირების სამი შესაძლო სცენარე: ქალების იდენტიფიცირება პოლიციის რეგულარული შემოწმებებისას ძირითადადში მანქანების შემოწმებისას; ქალები, რომლებიც შემთხვევით შევიდნენ კონტაქტში ადგილობრივ პოლიციასთან და იყვნენ ამ შანსს დახმარების მისაღებად; ქალების იდენტიფიცირება ტრეფიკირების წინააღმდეგ განხორციელებული სპეც-ოპერაციების და პროსტიტუციით და უცხოელ

ქალების დაქირავებით ცნობილი ადგილების რეიდების დროს. ამგვარი ოპერაციების დროს მოწმედება ყველა ადგილზე მყოფი ქალის იდენტიფიკაცია. ის პიროვნებები კი, ვისაც არ გააჩნიათ სათანადო დოკუმენტაცია, დაიკითხება პოლიციის მიერ, რის შემდეგაც მათ თავისებურად დახმარებას (ქალები, რომლებიც აღიარებენ საკუთარ თავს ტრეფიკინგის მსხვერპლად და გააჩნიათ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების სურვილი) ან გადაყავთ დაკავების ცენტრში ან ხორციელდება მათი, როგორც უკანონო მიგრანტების დეპორტაცია. მეორე ტიპის მოქმედების ორგანიზება ძირითადად ხორციელდება სპეციალური ანტი-ტრეფიკინგული დანაყოფების მიერ.

იდენტიფიკაცია წინასწარ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. პოლიცია განახორციელებს ქმედებებს, რომელთა მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება. აღნიშნული ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს გაწეული ოპერატიული სამუშაო, ტრეფიკირებული პიროვნების ოჯახი ან მეგობრები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შემდგომ ტრეფიკირებული პიროვნებების გამოვლენის ყველაზე წარმატებული ხერხია, ე.წ. “თვით-იდენტიფიკაცია”. თვითიდენტიფიკაცია გულისხმობს ტრეფიკირებული პიროვნებების, მათი მეგობრების და ოჯახის წევრების (ზოგ შემთხვევაში მათი კლიენტების) აქტიურ მონაწილეობას იდენტიფიკაციის პროცესში. ტრეფიკირებული პიროვნებები ცდილობენ დაამყარონ კონტაქტი და მოითხოვონ დახმარება არსებული ორგანიზაციებისგან, რომელთა საქმიანობა უკავშირდება ტრეფიკირებული პიროვნებების დახმარებას. აღნიშნული ტიპის იდენტიფიკაციის ყველაზე წარმატებული ხერხია სატელეფონო ცხელი ხაზების არსებობა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირდაპირი კონტაქტის არსებობა.

უკან დაბრუნებული ქართველი ქალების შემთხვევაში, კონტაქტი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან (პირდაპირ ან სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით) შეიძლება მათ დაეხმაროს არსებული დახმარების და რე-ინტეგრაციის პროგრამების გამოყენებასა და მონაწილეობაში. ტრეფიკირებულ ქართველ ქალებს, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ, შესაძლებლობა გააჩნიათ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით დაუკავშირდნენ ამ ქვეყნის ანტი-ტრეფიკინგულ პოლიციას ან საქართველოს საკონსულს და მიიღონ დახმარება.

ზოგიერთ შემთხვევაში უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები დანიშნულების ქვეყნებში ახორციელებენ დახმარების პროგრამებს იმ ადგილებში, სადაც შეიძლება მიაკვლიონ სექსუალური ექსპლუატაციისათვის ტრეფიკირებულ ქალებს, მაგალითად, ბარებსა და ღამის კლუბებში, სადაც ახდენენ ტრეფიკირების საქმობლოში და მდებარეობის ქვეყანაში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებული დახმარების პროგრამების შესახებ ინფორმირებას. ინფორმირებული ქალები შეიძლება შეეცადონ ტრეფიკირებისგან გაქცევას და მოითხოვონ დახმარება. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია განახორციელებს დახმარებას, მას შეუძლია, შეატყობინოს პოლიციას ტრეფიკინგის შემთხვევა და თხოვოს მათ დახმარება გააწვიონ ტრეფიკინგის მსხვერპლს, თუ ამას მოითხოვს ტრეფიკირებული პიროვნება. თუ დაზარალებულს არ სურს სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა, მაშინ პიროვნების დაბრუნება და რე-ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს პოლიციის ჩარევის გარეშე.

იდენტიფიკაციის სისტემის შესაქმნელად აუცილებელია ყველა უწყებების თანამშრომლობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა. ორივე სახის ორგანიზაცია, რომელთა ვალდებულებაა ტრეფიკინგის (პოტენციური) მსხვერპლის აღიარება, საბოლოო იდენტიფიკაცია და სისტემის მონიტორინგი უნდა მოქმედებდეს ერთი და იმავე წესების და ნორმების ჩარჩოებში. ყველა ამ სახის ორგანიზაცია სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭიროებს შესაძლებლობებს, საერთო მეთოდოლოგიის და ესპერტიზის ჩათვლით.

ორგანიზაციები საჭიროებენ იდენტიფიკაციის საერთო სისტემის შექმნას (რაც შეიძლება ეფუძნებოდეს საერთო კითხვარების შექმნას) და უნარ-ჩვევების სათანადო წერტილს მათი გამოყენებისათვის. ყველა პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ უნდა იცოდეს ტრეფიკინგის მსხვერპლის ამოცნობა, მათთან მოპყრობა და მათი სწორი გადაამისამართება.

მათ აგრეთვე ადგილზე უნდა გააჩნდეთ რეფერალური სისტემა, რაც გულისხმობს: ადგილების არსებობას, სადაც განხორციელდება იდენტიფიკაცია; ორგანიზაციების არსებობას, სადაც მოხდება დასარაღებულების გადაამისამართება შემდგომი დახმარებისთვის, რაც აგრეთვე მოიცავს ფორმალური თანამშრომლობის ხელშეკრულებებს დაფუძნებულს სტანდარტულ პროცედურებზე და თავშესაფრების არსებობას. სტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო წესებს. აღნიშნული სტრუქტურა მიღებული უნდა იყოს ყველა მონაწილის მიერ და უნდა აღწერდეს, როგორც თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის სისტემას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას, მიზნებს, ასევე იდენტიფიკაციის სისტემას და დასარაღებულებთან მოპყრობის სტანდარტებს.

საზოგადო, აჯანჯაი ინაანაჰასაიის სისახა მოიისრუს:

- დამოუკიდებელი უწყებების ჩამოყალიბებას, რომლებიც განახორციელებენ სიტუაციის შეფასებას და მსხვერპლთა იდენტიფიკაციას (არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური მუშაკები, სახელმწიფო წარმომადგენლები და სხვა);
- იდენტიფიცირებულ მსხვერპლთათვის რეფერალური სისტემის ჩამოყალიბებას. სტანდარტიზირებული, ადამიანთა უფლებებზე დაფუძნებული პროცედურების შექმნას ზრდასრული და მცირეწლოვანი ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისათვის (დაფუძნებულს პალერმოს პროტოკოლის განსაზღვრებებზე). ყველა მონაწილე უწყებისათვის წერილობითი დირექტივების შექმნით.
- მონაცემთა შეგროვებისათვის, ინფორმაციის გაცვლისათვის სტანდარტიზირებული პროცედურების შექმნა და მკაფიო წესების შემუშავება ინფორმაციის და მონაცემთა კონფიდენციალურობის დასაცავად²⁴.

²⁴ კითხვარები უნდა დასახედეს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ტრეფიკინგის განმარტებას და უნდა ითვალისწინებდეს პოტენციური/მსხვერპლის ფსიქოლოგიურ და აუროლოგიურ მდგომარეობას. კითხვარები უნდა შემუშავდეს, მიღებულ და გამოყენებულ იქნას ყველა მონაწილე უწყების მიერ, რაც გულისხმობს: პოლიციას, სასაზღვრო პოლიციას, სპეციალიზირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სატელეფონო ცხელ ხაზებს, პირებს სპეციალიზირებულებს ძალადობის და დანაშაულებრივი ქმედებებით დასარაღებულ პირებთან მუშაობაში, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს

- დამატებითი წვრთნების ჩატარება პოლიციისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და სხვა უწყებებისათვის, რომლებიც ჩართული არიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.
 - დროს და უსაფრთხო ადგილს ქალებისათვის, რათა მოხდეს მათი მდგომარეობის შეფასება და არსებული შესაძლებლობების განხილვა.
 - მეტ ძალისხმევას თვით-იდენტიფიკაციისათვის და ტრეფიკინგის პოტენციური/მსხვერპლის ინფორმაციით უზრუნველყოფას.
 - უკეთეს თანამშრომლობას ტრეფიკირებულ პირთა წარმომავლობის და მდებარეობის ქვეყნებში არსებულ ორგანიზაციებს შორის.
 - უკეთეს თანამშრომლობას ტრეფიკირებულ პირთა წარმომავლობის და მდებარეობის ქვეყნებში არსებულ ანტი-ტრეფიკინგულ დანაყოფებს შორის.
- საქართველოს საკონსულოების ჩართვას - ტრეინინგები, იდენტიფიკაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ეროვნულ რეფერალურ სისტემაში ჩართვა.
- იდენტიფიკაციის სისტემის მონიტორინგს და შეფასებას.

3. ტიპოლოგიის მსხვილი ნაწილი

3.1 საერთო მონაცემები

მრავალ ქვეყანაში დაუხვეწავი იდენტიფიკაციის სისტემის გამო, ტრეფიკირებული პიროვნებების იდენტიფიკაციის და მათთვის დახმარების²⁵ გაწევის ძალიან მცირე პროცენტული მაჩვენებელია. არსებობს შემთხვევები, როდესაც მოხდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაკავება და დეპორტაცია.²⁶ არასამთავრობო ორგანიზაციები გამოსატყვევებელ ადვოკატებს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პოლიცია, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხელმოწერილი მემორანდუმისა და გაკვლილი სწავლებისა, უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ იმ პიროვნებებს, რომლებიც თანახმა არიან ჩვენება მისცენ ტრეფიკერების წინააღმდეგ და გაანჩიანთ ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებათ სამართალდამცავ ორგანოებს დამნაშავეების გასამართლებაში.

²⁵ 2002 წელს სამართალდამცავი უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით დასაუბლეს ბალკანებში ტრეფიკირებული პიროვნებების მხოლოდ 35% იქნა იდენტიფიცირებული. 2003 და 2004 წლებში წარმატებული იდენტიფიკაციის და დახმარების რადიკალური შემცირების გამო, ეს პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება კიდევ უფრო შემცირდა. იხილეთ ბარბარა ლივანოვსკას ადამიანთა ტრეფიკინგი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. არსებული სიტუაცია და ადამიანთა ტრეფიკინგ სე გამოჩნდა ურუბლები, ალბანეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, იუგოსლავიის ყველაფერ რესპუბლიკაში, ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში, მოლდოვაში და რუმინეთში, UNICEF, UNOHCHR, OSCE/ODIHR. ბულგარადი 2002.გვ 143-152. იხილეთ ვებ გვერდი: www.seerights.org

²⁶ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ბულგარადში ხშირად სტუმრობდა არადედალური მიგრანტების დაკავების ცენტრს პაღინსკა სკელაში, რათა მოეყენებინა ტრეფიკირებული ქალები და შეეთავასებინა მათთვის დახმარება.

კიდევ ერთი საერთო პრობლემაა შეთავაზებული დახმარების სახეობა. მრავალი ტრეფიკირებული ქალი და ბავშვი უარს ამბობს დახმარებაზე შეთავაზებული პირობების გამო. ტრეფიკირებულ პიროვნებებს შორის ნატარებული გამოკითხვის მიხედვით, რომლებსაც დახმარებას უწყვედა გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციები, გამოიკვეთა სამშობლოში მიმავალი ტრეფიკირებული პიროვნებების სამი ძირითადი სასურუნავი, ესენია: კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური დახმარება.²⁷ აუცილებელია ამ პრობლემების გათვალისწინება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ჩართული არიან რეფერალური სისტემის შექმნასა და ტრეფიკირებულ პიროვნებათა დახმარებაში.

სასოგადოდ, დამხმარე უწყებები ძირითად ფოკუსირებას ახდენენ ტრეფიკირებული პიროვნებების, როგორც არალეგალური მიგრანტების იურიდიულ სტატუსზე და ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას (დოკუმენტების შეგროვების და პიროვნების სამშობლოში დაბრუნების ორგანიზების გზით) იმის ნაცვლად, რომ ფოკუსირება მოახდინონ მათ, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატუსზე (დახმარების გაწევა უსაფრთხო, მაგრამ ჩეგობრულ და ღია გარემოში, მენტალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაზე ფოკუსირებით, სოციალური, სამედიცინო და ეკონომიკური დახმარების გაწევით და ა.შ) ამგვარი მიდგომა მკაცრად გაკრიტიკებულია ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ამგვარი მიდგომა არ პასუხობს ტრეფიკირებული პიროვნებების მოთხოვნილებებს: დაუფრენებელი დაბრუნების პროცედურა აღიქმება არა როგორც დახმარება, არამედ როგორც დამატებითი სასჯელი; ამის მიზეზია ისიც, რომ ტრეფიკირებული პიროვნებების სამშობლოში არ არსებობს დაცვისა და დახმარების არანაირი გარანტია. აქედან გამომდინარე, უჩეტეს შემთხვევაში არ ხერხდება ტრეფიკირებული პირების მოთხოვნების: კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური დახმარების პირობების შესრულება.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სისტემის შექმნის პროცესში ჩართული უწყებები აწყდებიან შემდეგ სირთულეებს:

- რეფერალური სისტემის და თავშესაფრების უსრუნველყოფა ადამიანთა უფლებების დაცვის სტანდარტებზე დაფუძნებული მოქმედი მკაფიო პროცედურებით;
- დამხმარე უწყებების უსრუნველყოფა ადამიანთა უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მინიმალური სტანდარტებით ტრეფიკირებული პირების დასახმარებლად;
- ტრეფიკირებული პიროვნებების, როგორც არალეგალური მიგრანტების სტატუსზე ფოკუსირების ნაცვლად, მკაფიო ფოკუსირება მათი უფლებების დაცვაზე და მათ კეთილდღეობაზე;
- კონფლიქტის მოგვარება ტრეფიკირებული პირების, სამართალდამცავი უწყებების (მონაცემთა შეგროვება, ჩვენებების აღება) და საემიგრაციო პოლიციის (იურიდიული საფუძელის ნაკლებობა, რომელიც იძლევა

²⁷ იხილეთ: თედა კროგერი, იანა მალკოვი და ბაერბელ ული. "კონფიდენციალური რეფერალური შექმნის რეგულირება. გაგავრთიანთ ძალები ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად. პრაქტიკული სახელმძღვანელო". OSCE/ODIHR ვარშავა, 2004. გვ 59-65.

მდებარეობის ქვეყანაში დროებითი დარჩენის და სამშობლოში დაბრუნების ალტერნატიული გზის გამოჩახვის უფლებას) ინტერესების გათვალისწინებით;

- ტრეფიკირებული პირების მოთხოვნილებების გამოკვლევა და მათი გათვალისწინება;
- დამხმარე პროგრამების ბენეფიციარების მოთხოვნილებებისა და მოლოდინის გამოკვლევა.

3.2 დახმარების სისხლზე სააქტიურობი

თუ ტრეფიკინგის მსხვერპლ ქართველებისთვის საჭიროა მოკლევადიანი დახმარება საზღვარგარეთ, ამ დახმარებას მათ სთავაზობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისები, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. ადგილობრივი პოლიცია (მაგალითად, თურქეთში) და საქართველოს საკონსულტოები არ არიან ჩართულნი ამ სისტემაში, არ გააჩნიათ სათანადო უნარი და შესაძლებლობა, რომ გასწიონ დახმარება. საქართველოში რეფერალური სისტემის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კავშირების დამყარება დანიშნულების ქვეყნებში არსებულ ორგანიზაციებთან და ანტი-ტრეფიკინგულ პოლიციასთან. საკონსულტოები ასევე უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, უნდა ჩაუტარდეთ სათანადო სწავლება და უნდა ჩაერთონ სისტემაში.

იდენტიფიკაციის შემდეგ დაზარალებულებს უნდა გაეწიოთ დახმარება:

- პირველადი დახმარება – მოკლევადიანი, პირდაპირი დახმარება იდენტიფიკაციის ან საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ამ სახის დახმარება მიზნად უნდა ისახავდეს ტრეფიკირებული პირების მოთხოვნილებების უკეთესად შეფასებას და გაინიხილავდეს მათთან ერთად დახმარების და რეინტეგრაციის მომავალ შესაძლებლობებს. ამ სახის დახმარების გაწევა უნდა მოხდეს იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტია პიროვნების იდენტიფიცირების შანსი: სასაღვრიის გადაკვეთისას აეროპორტში და თბილისში.
- გრძელვადიანი დახმარება უნდა მოიცავდეს მომსახურებით და თავშესაფრებით უზრუნველყოფას. მომსახურება გულისხმობს: სამედიცინო, (გამოკვლევა და მოვლა) და ფსიქოლოგიურ დახმარებას; სოციალურ დახმარებას; იურიდიულ კონსულტაციებს და წარმომადგენლობას საჭიროების შემთხვევაში (კომპენსაციის ჩათვლით) და ფინანსურ დახმარებას. დაზარალებულმა პირებმა ასევე უნდა მიიღონ ადმინისტრაციული დახმარება საქართველოში დასაბრუნებლად საჭირო საბუთების მოძიებაში (ან იქვე დასარჩენად, ან საქართველოდან წასასვლელად, თუ საქმე ეხება უცხოელ ტრეფიკირებულ პირებს); მათთვის ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთი მომსახურება, როგორცაა სახელმწიფო სოციალური დახმარება და ბავშვების შემთხვევაში - განათლება და ა.შ.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი საჭიროებს საცხოვრებელ ადგილს, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო თავშესაფრით.
- ბავშვების შემთხვევაში ორგანიზებული უნდა იყოს სპეციალური პროგრამები და განსაკუთრებული მომსახურება, რომელთა საშუალებით მათ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ განათლება, იპოვონ თავშესაფარი ოჯახებში, ბავშვთა სახლებსა თუ სხვა დაწესებულებებში.

ყველანაირი სახის მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთან შეთანხმებით და უნდა იყოს ნებაყოფლობითი.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მსხვერპლის დაცვა და დახმარება არ უნდა უკავშირდებოდეს გამოძიებას. პოლიციას არ უნდა ჰქონდეს თავშესაფარი შეთანხმებულ შესვლის უფლება; კონტაქტი უნდა დამყარდეს მსხვერპლთან შეთანხმებით, იურიდიული მრჩეველის თანდასწრებით და თავშესაფრის ხელმძღვანელის ნებართვით.

დახმარების სისტემის შექმნაში ჩართული უნდა იყვნენ შემდეგი უწყებები: არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სხვა სახის დანაშაულების მსხვერპლებთან; პროფესიონალი და სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც შესუქლიათ გაუწიონ სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, იურიდიული, სოციალური და ადმინისტრაციული დახმარება; და სხვა ყველა, ვისაც აქვს შესაძლებლობა გაუწიოს აუცილებელი დახმარება ტრეფიკირებულ პირებს.

დახმარების სისტემაში ასევე უნდა შედიოდეს არსებული ახალგაზრდული და კრიზისული ცენტრები, რათა სამშობლოში დაბრუნებულმა ტრეფიკინგით დაზარალებულმა ქართველებმა მიმართონ მათ დახმარებისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ასევე უნდა გაუწიონ დახმარება ტრეფიკინგით დაზარალებულ უცხოელ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

პირველადი დახმარების გაწევის ადგილების შერჩევასა და თავშესაფრების ფუნქციონირების წესების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებსაც გამოცდილება აქვთ ოჯახური ძალადობის (ან სხვა ტიპის ძალადობის) ან ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების მართვაში.

პოლიციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მსხვერპლთა დაცვის სისტემის და თავშესაფრების ორგანიზებაში. პოლიცია ასევე აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეფერალური სისტემის სტანდარტული პროცედურების განვითარებაში და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით პოლიციასა და მსხვერპლთა შორის კონტაქტის დამყარების პროცედურებში.

იდენტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად დახმარების სისტემა საჭიროებს ნებაყოფლობით მონაწილეობას და ამ პროცესში ჩართულ ყველა უწყებათა შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას. ყველა ორგანიზაცია (იქნება ეს ის, რომელიც დახმარებას უწევს ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლს, თუ რომელიც პასუხისმგებელია იდენტიფიცირებაზე, თუ სისტემის კოორდინირებასა და მონიტორინგზე) უნდა მოქმედებდეს საერთო პრინციპებისა და წესების დაცვით. კარგად ფუნქციონირებისათვის ყოველმა მათგანმა უნდა განავითაროს შესაძლებლობები, რაც გულისხმობს ერთობლივ მეთოდოლოგიასა და ექსპერტიზას.

ორგანიზაციებს პირველ რიგში ესაჭიროებათ დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და შეთანხმება, ხოლო შემდეგ ამ სისტემის გამოყენების კარგად შესწავლა. ყველა პასუხისმგებელმა უწყებამ უნდა იცოდეს სად უნდა გააგზავნოს ტრეფიკინგის მსხვერპლი, რა სახის ინფორმაცია უნდა შესთავაზოს მას და როგორ უნდა მოექცეს დაზარალებულს.

დახმარების პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის აუცილებელია რეფერალური სისტემის ისე ორგანიზება, რომ ცნობილი იყოს ის ადგილები, სადაც შეიძლება მსხვერპლის იდენტიფიცირება, მასთან თანამშრომლობა, მისთვის შემდგომი დახმარების აღმოჩენა, პირველადი დახმარების გაწევა და თავშესაფრების ადგილების ცოდნა. ეს სტრუქტურა უნდა მოეწიოს ყველა მონაწილისათვის გარკვეულ და მისაღებ წესებსზე დაყრდნობით, რაც

გულისხმობს ურთიერთთანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის, მოვალეობების და პასუხისმგებლობების განაწილების, იდენტიფიცირების სისტემის და ტრეფიკირებულ პიროვნებასთან მოქცევის სტანდარტების დაცვას.

ზოგადად დახმარების სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- ყველა იდენტიფიცირების და დახმარების პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს უპირველესად, მსხვერპლთა უფლებების და ღირსების დაცვას, რაც გულისხმობს: უსაფრთხოებას, კონფიდენციალურობას, სრულ თანხმობას, ინფორმირებულობას და გრძელვადიანი დახმარების უზრუნველყოფას;
- ტრეფიკინგის პრობლემისადმი გლობალურმა მიდგომამ, რომელიც ეფუძნება უწყებათაშორის თანამშრომლობას, უნდა გააერთიანოს დაცვის, პრევენციის და სამართლებრივი დეენის საკითხები, რომლებიც ჩამოყალიბებულია UNOHCHR-ის და UNICEF-ის მიერ ადამიანისა და ბავშვთა უფლებების დაცვაზე დაყრდნობით;
- ფართომასშტაბიანი დახმარების პროგრამები, რომლებსაც გააჩნიათ გრძელვადიანი მიზნები და სტრატეგიები უნდა განხორციელდეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე;
- ყველა მსხვერპლს, მიუხედავად მისი სტატუსისა, უნდა აქონდეს თავშესაფრით და დახმარებით (მათ შორის, იურიდიული დახმარებით) სარგებლობის უფლება;
- ყველა თავშესაფარში დაცული უნდა იყოს მსხვერპლთან მოპყრობის მინიმალური ნორმები და უნდა ხორციელდებოდეს ყველასათვის გასაგები, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული, სტანდარტული ოპერაციული პროცედურები;
- იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსხვერპლთათვის/მოწმეთათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის;
- თავშესაფრებში უნდა არსებობდეს სპეციალური დახმარებისა და მოპყრობის სისტემა 18 წლამდე ბავშვებისათვის;
- 18 წლამდე ბავშვების დახმარებისა და დაბრუნების პროცედურების შესრულებისას აუცილებელია “ბავშვის საუკეთესო ინტერესების” გათვალისწინება;
- უნდა ფინანსირდებოდეს ის ადგილობრივი უწყებები (არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციები), რომლებიც უზრუნველყოფენ მსხვერპლთა დახმარების გაწევას;
- უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას მიღებული ტრეფიკირებული პირებისათვის და იმ უწყებებისათვის, რომლებიც მათ გაუწევენ დახმარებას;
- რეპატრიაციის ან სხვა ალტერნატიული ვარიანტებისათვის საჭირო იურიდიული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ენაზე, რომელსაც ფლობს ტრეფიკირებული ადამიანი;
- სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ მოხდეს დახმარების და რეინტეგრაციის პროგრამების და განსაკუთრებით მათი გრძელვადიანი შედეგების შესწავლა და შეფასება.

4. ბავშვთა დაზარალება

2003 წელს მრავალი სახელმწიფოსა და ორგანიზაციისათვის ყველაზე პრიორიტეტული გახდა ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციის საკითხი. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობის პაქტის ტრეფიკინგის შემსწავლელმა კომისიამ UNICEF-თან ერთად მხარი დაუჭირა ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე გამოხმაურების გაძლიერებას რეგიონალურ დონეზე. სტაბილურობის პაქტის ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისიის 2003 წლის მე-4 რეგიონალური სამთავრობო ფორუმის ვალდებულებების ბიულეტენი²⁸ მოიცავდა ბავშვთა ტრეფიკინგის აღკვეთის რამოდენიმე ვალდებულებას, რომლებიც ითვალისწინებენ:

- მოხდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღიარება, ბავშვთა ტრეფიკინგის პრობლემის რეგიონალური მასშტაბით სისტემატიურად გადახედვისათვის;
მოხდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღიარება, რათა მოხდეს ბავშვთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული პრაქტიკების და პროცედურების მიღება ბავშვთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;
- მოხდეს იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვთა ტრეფიკინგზე ორიენტირებული სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებენ ბავშვთა სპეციალისტები და რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ სამუშაო ჯგუფთან;
- იყოს თანხმობა, რომ შეიქმნას ფართომასშტაბიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იქნება ბავშვთა ტრეფიკინგის სხვადასხვა განსაკუთრებულ ასპექტზე;
- მიღებული იქნას და დაინერგოს ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებთან მოქცევის მინიმალური სტანდარტები, რომლებიც დაეფუძნება UNICEF-ის შემუშავებულ დირექტივებს და შეთანხმებული იქნება სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- უნდა მოხდეს ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევების მონაცემების სისტემატიური მოკვლევა;
- უნდა მივიღოთ ყველა საჭირო ზომა, რაც აუცილებელია ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების სწრაფი იდენტიფიცირების ეფექტური პროცედურების ჩამოყალიბებისათვის; და
- ყველა შესაბამისი ორგანო თუ უწყება ჩართული უნდა იყოს სპეციალური რეფერალური პროცედურების ჩამოყალიბების და ტრეფიკირებული ბავშვების დაცვისა და დახმარების პროცესში.

ამ ნაკისრ ვალდებულებებთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები ოფიციალურად შეთანხმდნენ, რომ ეროვნული კოორდინატორის ოფისის თანადგომით შექმნიდნენ ბავშვთა ტრეფიკინგის სამუშაო ჯგუფებს და შეუსაბამებდნენ მათ UNICEF-ის ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ დირექტივებს.

²⁸ სტაბილურობის პაქტის ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისია. ანგარიშგება მსხვერპლთა/თითმხილველების დაცვაზე და ბავშვთა ტრეფიკინგზე, დეკემბერი 2003წ. იხილეთ ვებ გვერდი: <http://www.osce.org/attf/index.php?sc=Soфия>

UNICEF-ის ბავშვთა უფლებებისადმი მიდგომა და ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხო გარემო ყველა ბავშვისათვის და არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ბავშვი ტრეფიკირებული, უხეში მოპყრობის მსხვერპლი, მიტოვებული, დაობლებული, ადგილობრივი თუ უცხოელი. თუ ყველა დონეზე არის კარგად ფუნქციონირებული ქსელი, ყველა სოციალურად დაუცველი ან რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, განურჩევლად მათი ეროვნებისა, იქნება იდენტიფიცირებული და შესაბამისად დაცული.

UNICEF-ის დირექტივებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ტრეფიკირებული ბავშვისათვის დახმარების აღმოჩენა უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ყველა ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული, იდენტიფიცირებული და დაუნიშნონ მეურვე, რომელიც იმოქმედებს მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მშობლების არყოფნის პერიოდში. ყველა ბავშვისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯანდაცვისა და განათლების მიღება. ბავშვის უკან დაბრუნებამდე უნდა მოხდეს იმ სიტუაციის შეფასება, სადაც იგი ბრუნდება. თუ ეს სიტუაცია არ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მაშინ ისინი უნდა მოთავსდნენ სპეციალურ დაწესებულებებში ან ამყვან ოჯახებში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა უფლებების კონვენციის და პალერმოს პროტოკოლის თანახმად, ყველა 18 წლამდე პირი უნდა ჩაითვალოს ბავშვად.

ისევე, როგორც ტრეფიკირებული ქალებისა და მამაკაცების შემთხვევაში, ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების, რეფერირებისა და დახმარების პროცესში უნდა იქნას შემუშავებული და დაცული მკაცრი წესები და პროცედურები. ამ პროცესში ჩართული ყველა ორგანიზაცია, მათ შორის, ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, მკაცრად უნდა იქნან იდენტიფიცირებულნი. ასევე უნდა მოქმედებდეს სისტემა, რომელიც მსხვერპლ ბავშვებს უზრუნველყოფს სპეციალური დაცვით, უსაფრთხოებით, ჯანდაცვითა და განათლებით.

5. ხაზგასმით

5.1. ხაზგასმით მნიშვნელოვანი

რე-ინტეგრაციის თეორია და პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის სწორად გაგებული. წესების შეზღვევა და დამნებარე უწყებებს ჯერაც არ გააჩნიათ მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და რისი გაკეთებაა საჭირო ტრეფიკინგის მსხვერპლთა რე-ინტეგრაციისათვის. რე-ინტეგრაციის პროცესის სტრატეგიები, რომლებიც ნახსენებია სტაბილურობის პაქტის ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისიის რამდენიმე წლის წინანდელ დოკუმენტაციაში, არის საერთო და მოიცავს:

- სტიგმატიზაციის აქტიურ პრევენციას;
- იურიდიულ და საშედიცილო მხარდაჭერას;
- დაზარალებულთა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას;
- თავშესაფრებს;

- კონსულტაციებს;
- მატერიალურ დახმარებას;
- ტრენინგებს და სამსახურთან დაკავშირებულ კონსულტაციებს.²⁹

უკანასკნელი წლების მანძილზე უკან დაბრუნებულ დასარალებულთათვის დახმარების გაწევის გარდა, რე-ინტეგრაციას კიდევ სხვა მნიშვნელობა მიენიჭა. იგი განიხილება არა მხოლოდ როგორც დასარალებულთათვის გაწეული დახმარების ნაწილი არამედ როგორც რე-ტრეფიკირების აღმკვეთი სტრატეგიის აუცილებელი ნაწილი. ბოლო სამი წლის განმავლობაში დამხმარე უწყებები მიუთითებენ იმ ფაქტს, რომ რამოდენიმეჯერ ხორციელდება ზოგიერთი ქალის ტრეფიკირება. აგრეთვე ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ აღნიშნული განპირობებულია დაბრუნებული ქალებისათვის მხარდაჭერის და შესაძლებლობების არ არსებობის გამო, რაც მათ ტრეფიკირებისათვის იოლ მსხვერპლად აქცევს. რე-ინტეგრაციას უწყობენ არა მხოლოდ როგორც საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს პუმანიტარული დახმარების და მხარდაჭერის გაწევას ინდივიდუალურ შემთხვევებში, არამედ, როგორც ყოვლისმომცველი სისტემის ნაწილს მიმართულს მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა დასახმარებლად, რათა მათ შეძლონ დაძლიონ ტრეფიკინგის ციკლი და მოძებნონ სხვა შესაძლებლობები თავის ცხოვრებაში.

ტერმინი “რე-ინტეგრაცია” (აგრეთვე წოდებული როგორც ინტეგრაცია ან სოციალური ინტეგრაცია) ფართოდ გამოიყენება დამხმარე უწყებების მიერ, რათა აღწერონ ის სამუშაო, რომელსაც ისინი ატარებენ დაბრუნებულ ქალებთან, აღნიშნული სამუშაო სთავაზობს მათ პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტას და მათ რე-ინტეგრაციას მშობლიურ ქვეყანაში ან ზოგიერთ შემთხვევაში იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი იმყოფებიან. აღსანიშნავია, რომ ამ სახის დახმარება პირდაპირი დახმარებისგან განსხვავებით გრძელვადიანი და ყოვლისმომცველია.

5.2. ჩა-ინსახსარიის საჩინარის მახალითაი

რეალობაში რე-ინტეგრაციის პროგრამები არის იშვიათი და კარგად ვერ ფუნქციონირებენ. უმეტეს შემთხვევებში, დამხმარე უწყებებს უხდებთ ისეთ ქალებთან მუშაობა, რომელთაც არ გააჩნიათ მომავლის იმედი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ და არ სჯერათ რე-ინტეგრაციის შესაძლებლობის, სამუშაო ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და უკან დაბრუნების შემდგომ წარმოქმნილი პრობლემების გამო. უმუშევრობა და სიღარიბე წარმოადგენენ ამ ქალების მიგრაციის უპირველეს ფაქტორს და ამიტომაც რჩებიან უმთავრეს პრობლემად დაბრუნების შემდგომ. OSCE/ODIHR-ის მიერ გამოშვებული *პრაქტიკული სახელმძღვანელო*ს თანახმად, ქალები რომელთა ტრეფიკინგი მოხდა გერმანიაში, სამშობლოში დაბრუნების შემდგომ აწყდებიან შემდეგ პრობლემებს: სამუშაოს არარსებობა, ფსიქოლოგიური

²⁹ ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის და ეროვნული პროგრამების დირექტივები. სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტი ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი კომისია ვენა 2001წ. და ანჯელიკა კარტუშის ცნობარი ანტი-ტრეფიკინგულ კანონმდებლობაზე, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაზე. ლუდვიგ ბოლცმანის ადამიანთა უფლებების ინსტიტუტი, ვენა სექტემბერი 2001წ. ცნობარი მომზადებულია OSCE/ODIHR-ისათვის.

პრობლემები. სამედიცინო პრობლემები, ვალები, რომელთა გადახდასაც ისინი ვერ შეძლებენ, სირცხვილი ან სასოგადოების³⁰ მხრიდან უარყოფა.

რე-ინტეგრაციის რომელიმე პროგრამაში ჩართვამდე დაზარალებულთა 30%-ზე მეტი საჭიროებს გრძელვადიან თერაპიას და ხელშეწყობას. თმის შეჭრის, ქსოვის და კულისარიული კურსები, რომლებსაც სთავაზობენ ტრამპირებულ გოგონებს, არ ამზადებს მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და არ აძლევს მათ მათი პრობლემების ხანგრძლივი ვადით გადაწყვეტის საშუალებას. უკან დაბრუნებული ქალებისთვის სამსახურის შეთავაზება არ არის საკმარისი. ქალების და გოგონების უმეტესობას არ გააჩნიათ სათანადო განათლება, უნარ-ჩვევები ან სამსახურეობრივი გამოცდილება, რათა დამატებითი სწავლების ან ტრენინგის გარეშე შეუდგნენ მუშაობას. იმისთვის, რომ რე-ინტეგრაცია იყოს წარმატებული, აუცილებელია მისი ისეთი სახით დაგეგმვა, რომ ის იყოს ყოველმხრივი და გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს ქალების ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას. გაითვალისწინებს მათ ოჯახურ მდგომარეობას, განათლებას, უნარ-ჩვევებს, მიზნებს.

გრძელვადიანი ხელშეწყობა და იმ ქალების მონიტორინგი, რომლებმაც თავშესაფარი დატოვეს, წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან და დელიკატურ საკითხს. უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივ არ არსებობს გრძელვადიანი ხელშეწყობის სისტემა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქალთა დასახმარებლად საჭირო ფინანსური სახსრები. ხოლო მეორე საკითხი, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია, არის სისტემის არ არსებობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივაწვდინოთ ქალებს ინფორმაცია არსებული დახმარების შესახებ.

გრძელვადიანი რე-ინტეგრაციის პროგრამებზე რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციათა უმეტესობა დაარწმუნდა, რომ არ არსებობს ტრეფიკირებული და უკან დასაბრუნებული ქალების და ბავშვების პრობლემების უნაკლო გადაწყვეტილება, მაგრამ აქვე აღნიშნავენ, რომ გრძელვადიანმა დახმარებამ შეიძლება გამოიღოს საკმაოდ კარგი და დადებითი შედეგი. ტრეფიკინგის მსხვერპლს უნდა შეეთავაზოთ მათთვის ყველაზე შესაბამისი მხარდაჭერა და ინტეგრაციის ალტერნატივა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ მდგომარეობას და მოთხოვნილებას. უკვე არსებობს რამოდენიმე ალტერნატივა, როგორცაა თავშესაფრებში და დროებითი საცხოვრებლებში განთავსება, საცხოვრებლის მოძებნაში დახმარება, სხვადასხვა მოსამზადებელი კურსები და ტრენინგები ბიზნეს-კურსებზე ჩასაბარებლად, სტიპენდიები სკოლის და უნივერსიტეტის დასამთავრებლად. სოციურთი ქალი ანტი-ტრეფიკინგულ არასამთავრობო ორგანიზაციაში იწყებს მუშაობას, სოცს სთავაზობენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სამუშაოს.

სოციურთი არასამთავრობო ორგანიზაცია აგრეთვე სთავაზობს დასაქმების ალტერნატივებს. მაგალითად, არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის მსხვერპლთან, აქვსებენ მათ თვითდასაქმებისკენ, სთავაზობენ ბიზნეს-კურსებს დაბრუნებულ ტრეფიკირებულ ქალებს და მაღალი რისკის ჯგუფებს. ხორციელდება ქალების ტრენინგი ბიზნეს-გეგმების შედგენაში და გამოეყოფათ გრანტები საკუთარი ბიზნესის დასაწყებად და საკუთარი შემოსავლის მიღების მიზნით. აღნიშნული ალტერნატივა არ არის მისაწვდომი ყველა დაზარალებულისთვის, რადგან ის შოთხივს განათლების გარკვეულ დონეს, უნარ-ჩვევებს და ძლიერ

³⁰ ibid, გვ.80.

თვითმორტივაციას. გარკვეულ შემთხვევებში აღნიშნული ალტერნატივის გამოყენებამ საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო, წარმატებული მონაწილეებისთვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების შეთავაზების გზით.

ტრეფიკირებათა პირების მშობლიურ ქვეყანაში, სოვიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია განახორციელებს პრევენციულ და რეინტეგრაციის კომბინირებულ პროგრამებს. ეს პროგრამები მისანმიმართულია მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ქალების ჯგუფისკენ (ეთნიკური უმცირესობები, გოგონების ბავშვთა სახლები, გოგონების სკოლა-ინტერნატები რომლებიც მდებარეობენ ისეთ რაიონებში, რომლებიც ხასიათდებათ მაღალი უმუშევრობის დონით ან ტრეფიკინგის მაღალი დონით) და ქალებზე, რომლებიც დაბრუნდნენ და რომელთაც მხარს უჭერენ დამხმარე უწყებები. პრევენციის და რეინტეგრაციის შერეული აღნიშნული უწყებები თავიდან იცალებენ დაბრუნებული ქალების სტიგმატიზაციას და აძლიერებენ დასაქმების შანსებს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც აწყდებიან უკან დაბრუნებული ქალები, არის არაადეკვატური სოციალური უსრუნველყოფის სისტემა. უკან დაბრუნებულ ქალებს გააჩნიათ უმუშევრად დარეგისტრირების პრობლემა, სამედიცინო დახმარების პრობლემა, ბავშვების სკოლაში დარეგისტრირების ან სოციალური სარგებლის მიღების პრობლემა. სოციალური უსრუნველყოფის სისტემები სვეულბერიე ან არ ფუნქციონირებენ, ან ფუნქციონირებენ ისე ცუდად, რომ პირებს, ვისაც ეკუთვნით დახმარების მიღება, როგორცაა სამედიცინო დახმარება ან უმუშევართათვის განკუთვნილი დახმარება, ვერ იღებენ აღნიშნულ დახმარებას.

ტრეფიკინგის მსხვერპლი რეინტეგრაციისათვის საჭიროებს უკეთეს ალტერნატივებს, მეტ დროს ამ ალტერნატივების განსახილველად და უკეთეს რეფერალურ მექანიზმს ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. აუცილებელია ტრეფიკინგის საკითხის ჩართვა: შრომის და სოციალური უსრუნველყოფის სამინისტროების სამუშაო პროგრამებში, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რათა ქალებს მიეცეთ საშუალება დარეგისტრირდნენ სამსახურში, მიიღონ სამედიცინო დახმარება, ხოლო მათმა შვილებმა მიიღონ დახმარება, რათა იცხოვრონ თავიანთ ოჯახებში, ან ამყვან ოჯახებში და იარონ სკოლაში. როგორც წესი, არსებობს კარგად ფუნქციონირებადი რეფერალური მექანიზმის არსებობის მოთხოვნილება. სადაც ფუნქციონირებენ ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციები და ურთიერთთანამშრომლობით ახორციელებენ გრძელვადიან დახმარებას, რათა დააკმაყოფილონ ქალების მოთხოვნილებები.

როდესაც სამშობლოში დაბრუნება წარმოადგენს ტრეფიკირებული პირის ერთადერთ ალტერნატივას, მისთვის დახმარების არ აღმოჩენა წარმოშობს არა მარტო ეთიკურ, არამედ პრაქტიკულ კითხვებსაც ანტი-ტრეფიკინგული ქმედებების ეფექტურობის და დაფინანსების ხარჯვის შესახებ.

5.3. ჩა-ნსაზახასიონ სისხამა სააჰითვალთი

საქართველოში რეინტეგრაციის ან სოციალური ინტეგრაციის სისტემა უნდა მოიცავდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ყველა ჯგუფს: ქართველ ქალებს, მამაკაცებს, ბავშვებს, იმ უცხოელებს, რომელთაც გააჩნიათ ქვეყანაში დარჩენის ნებართვა. ამგვარი რეინტეგრაციის სისტემა მიმართული უნდა იყოს ისეთ პირებზე რომლებიც საჭიროებენ დახმარებას ახალი ცხოვრების დასაწყებად და სთავაზობდეს მათ დახმარებას ახალი სამუშაოს მოძებნაში, განათლების მიღებაში, საცხოვრებლის მოძებნაში და ა.შ. სისტემა უნდა

მოიცავდეს არა მარტო იმ პირებს რომლებიც ცხოვრობენ თავშესაფრებში, დროებით საცხოვრებელში, არამედ იმათაც, ვინც ცხოვრობს დამოუკიდებლად ან თავიანთ ოჯახთან ერთად. სისტემის მთავარი მიზანი უნდა იყოს: დახმარების აღმოჩენა ტრეფიკირებული პირებისთვის, რათა ისინი გახდნენ ეკონომიკურად დამოუკიდებლები, დახმარება სათანადო ტრენინგების და სწავლების მიძღვებაში, სამსახურის მოძიება, მიკრო სესხების მოძიება და სათანადო განათლების მიღებაში ხელშეწყობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი დახმარების შემდგომ დაზარალებულებს აუცილებლად დასჭირდებათ პირდაპირი დახმარება. როგორცია: დაცვა, საცხოვრებელი, ფსიქოლოგიური მკურნალობა და ოჯახური თერაპია, იურიდიული დახმარება საბრალდებო პროცედურებში ან კომპენსაციის მიღების დროს.

• იდენტიფიკაციის და დახმარების სისტემის ჩამოყალიბების შედეგად, რეინტეგრაციის სისტემა საჭიროებს ყველა მონაწილე უწყების აქტიურ მონაწილეობას და თანამშრომლობას. ყველა უწყება უნდა მოქმედებდეს ერთი და იმავე წესების და პრინციპების მიხედვით. სწორად ფუნქციონირებისათვის, ყოველი მათგანი საჭიროებს საერთო მეთოდოლოგიის და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

რეინტეგრაციის პროგრამებში ჩართული ორგანიზაციების სექტორი უნდა იყოს უფრო ფართო, ვიდრე დახმარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა. რეინტეგრაციის პროგრამების წარმატება დამოკიდებულია მათ კავშირებზე ეკონომიკურ განვითარებაზე, ანტი-დისკრიმინაციაზე, სიღატაკის დაძლევის და ქალთა უფლებების დაცვაზე ფოკუსირებულ პროგრამებთან. აგრეთვე მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების და განათლების უწყებებთან, ასევე ბიზნეს და საქველმოქმედო დაწესებულებებთან კავშირების დამყარება.

მონაწილე ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ და შეათანხმონ ყველა მონაწილე ორგანიზაციის თანამშრომლობის სისტემა, ამოცანები და პასუხისმგებლობა. მათ ასევე უნდა მოიპოვონ მეტი ინფორმაცია შესაძლო რეინტეგრაციის სტრატეგიების შესახებ, დანერგონ მათი გამოყენების პრაქტიკა და დაამყარონ კავშირები პოტენციურ პარტნიორებთან. ყველა პასუხისმგებელ ორგანიზაციას უნდა ესმოდეს რეფერალური სისტემა, მათ უნდა იცოდნენ, თუ სად მოახდინონ დაზარალებულთა რეფერირება, იცოდნენ, თუ რა სახის ინფორმაცია და დახმარება შესთავაზონ მათ.

აღნიშნული სტრუქტურები უნდა ფუნქციონირდნენ მკაფიო წესებს, მიღებულს ყველა მონაწილის მიერ. აღნიშნული წესები უნდა მოიცავდნენ, როგორც თანამშრომლობის სისტემის, ინფორმაციის გაცვლის, პასუხისმგებლობის გადანაწილების და მიზნების, ასევე იდენტიფიკაციის სისტემის და ტრეფიკინგის მსხვერპლთან მოპყრობის აღწერას.

სამთავრობო ორგანიზაციებს ეკისრებათ წამყვანი როლი ამგვარ რეინტეგრაციის სისტემებში, მათ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხოლო საერთაშორისო უწყებებს ეკისრებათ რეინტეგრაციის პროგრამების შექმნა და მხარდაჭერა. სხვა რეგიონებიდან მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უშუალოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ საუკეთესო შესაძლებლობა, რათა მოახდინონ საუკეთესო გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება იმ პირებისთვის, რომელთაც ესაჭიროება გრძელვადიანი დახმარება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი პროგრამები კომბინირებულია მალაღი რისკის ჯგუფებში ორიენტირებულ ტრეფიკინგის პრევენციულ პროგრამებთან. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ სათანადო კონტაქტები სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და

სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მომუშავე დაწესებულებებთან და განახორციელონ რეინტეგრაციის პროგრამების დანერგვა სოციალურად დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერისკენ მიმართულ უფრო ვრცელ პროექტებში.

6. ესაზნა

ზემოთმოყვანილი შეფასება ეფუძნება კვლევას, რომელიც ჩატარდა საქართველოში 2005 წლის 7-28 მარტს. ამ პერიოდის განმავლობაში მკვლევარები შეხედნენ ანტი-ტრეფიკინგულ საქმიანობაში ჩართულ ყველა მხარეს თბილისში – მთავრობის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2004 და 2005 წლებში მომხდარი ტრეფიკინგის შემთხვევები, რომლებიც არ იქნა დაფარული, გეაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს პრობლემა არსებობს საქართველოში და საჭიროებს ყურადღების მიქცევას. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების, სასაზღვრო პოლიციის და განსაკუთრებით ანტიტრეფიკინგული უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტრეფიკინგი არსებობს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის მასშტაბები უცნობია, მოგროვებული ინფორმაციის მიხედვით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მდგომარეობა ამ მომენტისათვის არ არის საგანგაშო. ვინაიდან არსებული ინფორმაცია არის ფრაგმენტული, განცხადებები უფრო ემყარება ვარაუდებს, ვიდრე მტკიცე სამხილებსა თუ რეალურ მონაცემებს. ამას ემატება ის, რომ პასუხისმგებელ ორგანოებს არ გააჩნიათ საშუალებები ტრეფიკინგის შემთხვევების სათანადოდ გამოსაკვლევეად (ტრენინგები, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა მოგროვების ჩამოყალიბებული სისტემები, სხვადასხვა უწყებებსა და მესობელ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის შემუშავებული მეთოდები). აქედან გამომდინარე, პრობლემის რეალური მასშტაბები სავარაუდოდ, უფრო დიდია, ვიდრე ეს სედაპირულად ჩანს.

გამოკვლევა ასევე დაგვანახა, რომ საქართველოში ტრეფიკინგის იდენტიფიცირებულ მსხვერპლთათვის გაწეული დახმარება არ იყო საკმარისი. ამ პროცესში ჩართული უწყებები თვითონ მიუთითებდნენ საშუალებების ნაკლებობასა და საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების კოორდინირებული სისტემის ხარვეზებზე.

აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, აუცილებელია საქართველოში ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთა დასახმარებლად ეროვნული რეფერალური სისტემის ჩამოყალიბება. სისტემა უნდა ეხებოდეს, ტრეფიკინგით დაზარალებულ როგორც ქართველ, ასევე საქართველოში იდენტიფიცირებულ უცხოელ პირებს – მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს.

6.1 ახსაზანი ანაიხაჟიანაზანი სხაჟაჟიანი და მანანოზანი

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საქართველოში ჩამოყალიბებულია ეროვნული რეფერალური მექანიზმის გარკვეული ელემენტები, საჭირო არ იქნება მთელი სისტემის თავიდან შექმნა. არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან ანტი-ტრეფიკინგულ მუშაობაში და აქვთ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების გამოცდილება. გარდა ამისა, არსებობს:

- ანტი-ტრეფიკინგულ საკითხებზე მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა არსებულ ორგანიზაციებში;
- თანამშრომლობის და ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნის ერთობლივი სურვილი;

- მთავრობის მიერ პასუხისმგებლობების აღება და მხარდაჭერა ეროვნული რეფერალური მექანიზმის ჩამოყალიბების პროცესში;
- მთავრობის მიერ ფინანსური დახმარების გაწევა ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფუნქციონირებისათვის;
- სამთავრობათშორისო ორგანიზაციების (OSCE, IOM) რეფერალური მექანიზმის სტრუქტურის შექმნაში დახმარების სურვილი;
- ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც აღმოუჩენენ პირველად დახმარებას ტრეფიკინგის მსხვერპლებს;
- ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომლებიც სთავაზობენ დახმარებას ძალადობის მსხვერპლებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ პროფესიონალურ დახმარებას (სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ადმინისტრაციულ, იურიდიულ) მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს;
- ცხელი ხაზი მიგრანტთა, ტრეფიკინგისა და ძალადობის პოტენციურ მსხვერპლთათვის; აგრეთვე არსებობს სხვა სახის ცხელი ხაზები, რომელთა თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები და შეუძლიათ სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ, როგორც ტრეფიკირებულ ადამიანებს, ასევე უბრალო მოქალაქეებს;
- თავშესაფრები ადგილობრივი ძალადობის მსხვერპლთათვის, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც საფუძველი ახალი თავშესაფრებისათვის;
- არასამთავრობო ორგანიზაციების გემები ბათუმიში პირველადი დახმარების ცენტრების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით;
- საიდენტიფიკაციო სისტემის ფუნქციონირების დასაწყისი; ამისათვის უკვე შექმნილია სპეციალური კითხვარი ანტი-ტრეფიკინგული უწყების მიერ;
- რე-ინტეგრაციის სისტემის ჩამოყალიბების დასაწყისი; ამისათვის უკვე შექმნილია ჩეხეთიდან დაბრუნებული მიგრანტების რე-ინტეგრაციის პროგრამა მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ;
- იმ სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის დამყარებული კავშირები, რომლებმაც უნდა ითანამშრომლონ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებში – სახელმწიფო უწყებები, სამართალდამცავი ორგანოები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ზოგერთი ორგანიზაციის პრაქტიკული გამოცდილება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევასა და დახმარების პროცესში ურთიერთთანამშრომლობაში.

6.2 ნააწინასწარი და სპეციფიკური

ყველაზე მეტად, რაც აუცილებელია რეფერალური მექანიზმისთვის, ეს არის პასუხისმგებლობების და მოვალეობების მკაცრი განაწილება ორგანიზაციებს შორის და ორგანიზაციებს შიგნით ურთიერთთანამშრომლობა. ყოველივე ეს საჭიროა, რათა ერთობლივად მოხდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება, დახმარება და ინტეგრაცია. უნდა აღინიშნოს, რომ რეფერალურ მექანიზმში არსებობს ისეთი ნაპრალები, რომლებიც აუცილებლად უნდა შეივსოს.

იდენტიფიცირების პროცესისას საჭიროა მოხდეს იმ ორგანიზაციების განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ტრეფიკინგის პოტენციური

მსხვერპლის იდენტიფიცირებაში. ამ პროცესში ჩართულ ორგანიზაციებში დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს თანამშრომელთა ტრენინგებს; ტრეფიკირებულ ადამიანთა საიდენტიფიკაციოდ ჩამოყალიბებული უნდა იქნას საერთო კითხვარები და დადგინდეს მათთან მიაკრობისა და ურთიერთობის პროცედურები. ასევე საჭიროა სპეციელური სააგენტოების დაარსება და ამ სააგენტოებში იმ პირების გამოყოფა, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან საიდენტიფიკაციო პროცედურებზე და ინფორმაციის გაცვლაზე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან. ამ პირებმა თავშესაფრის წარმომადგენლებთან ერთად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთა სტატუსთან დაკავშირებით, თუ როგორ მოექცნენ მათ, როგორ გაუწიონ დახმარება. მათ მოვალეობაში შედის ასევე თავშესაფრებთან თანამშრომლობა და იდენტიფიკაციის პროცედურების შესახებ მაკოორდინირებელი ორგანოს (ეროვნული უშიშროების საბჭოს) ინფორმირება.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებისას საჭიროა მოხდეს იმ ორგანიზაციათა და პროფესიონალებთან განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ პროცესში – გაუწევენ სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, იურიდიულ, ეკონომიურ და სხვა სახის დახმარებას. პროფესიონალებმა მომსახურება აგებული უნდა იქნას გაცვლით ვიზიტებზე, რათა მოიპოვონ ინფორმაცია სხვა ქვეყნებში არსებულ საუკეთესო პრაქტიკებზე და მიიღონ მონაწილეობა ამ საკითხზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებში. დამხმარე უწყებებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ თავშესაფრებთან და ტრეფიკინგის მსხვერპლის საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნოს მათთვის ინდივიდუალური პროგრამის მორგება. დამხმარე უწყებების და თავშესაფრების წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები მსხვერპლთა დახმარების და რეჟიმირების შესახებ; მათ უნდა ითანამშრომლონ სხვა ორგანიზაციებთან და მიაწოდონ ინფორმაცია მაკოორდინირებელ ორგანოს (ეროვნული უშიშროების საბჭოს) დახმარების პროცესებთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა უწყებათა ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა, რათა მოხდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა სასოგადოებასთან გაერთიანება. საქართველოში საჭირო არის ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეინტეგრაციის პროცესის ჩამოყალიბების კოორდინირების დაწყება. ასეთი პროცესების დაწყებას დასჭირდება დრო და რესურსები, კავშირების და კონტაქტების დამყარება განვითარების და საგანმანათლებლო პროგრამებთან და სხვა საქმიანობებთან, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევა და სოციალურად დაუცველი ჯგუფების მდგომარეობის გამოსწორებას. ამ ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი ორგანიზაცია (პიროვნება), რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს დამხმარე უწყებებთან, თავშესაფრებთან და მიაწვდის ინფორმაციას მაკოორდინირებელ ორგანოს (ეროვნული უშიშროების საბჭოს) რეინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებით.

6.3. უშიშროების საბჭოს წახება

საქართველოში ჩამოყალიბებული რეგულაციური სისტემა უნდა იცავდეს ტრეფიკირებულ ადამიანთა უფლებებს და უნდა სთავაზობდეს მათ იმ აუცილებელ დახმარებას, რომელიც მათ ეკუთვნის. რეგულაციური სისტემა

უნდა იყოს დაფუძნებული საქართველოში არსებულ მოქმედ კანონმდებლობაზე. შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები უნდა იყოს გათვალისწინებული სისტემის ჩამოყალიბებისას:

- კანონმდებლობა ანტიტრეფიკინგის შესახებ – ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ნორმები სისხლის სამართლის კოდექსში;
- კანონი ტრეფიკინგის შესახებ (კანონპროექტი);
- კანონი მიგრაციის შესახებ;
- კანონი სამუშაო მიგრაციის შესახებ (კანონპროექტი);
- კანონი დანაშაულის მსხვერპლისა და მოწმის დაცვის შესახებ;
- კანონი ქონების კონფისკაციისა და დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ;
- ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული გეგმა;
- წესდებები (ინსტრუქციები) იმის შესახებ, თუ რამდენად ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველი ჯგუფისათვის სოციალური დახმარება, სოციალური უსაფრთხოება და სოციალური დაცვა;
- წესდებები (ინსტრუქციები) იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალურად დაუცველი ჯგუფის დასაქმება და დასაქმების პროგრამების ხელმისაწვდომობა;
- წესდებები (ინსტრუქციები) იმის შესახებ, თუ რამდენად ეხმარებიან და აწვდიან ინფორმაციას საქართველოს საკონსულოები ტრეფიკინგით დაზარალებულ ქართველ მოქალაქეებს სასღვარგარეთ;
- ანტი-ტრეფიკინგული წესდებები, რომლებიც ეხება ტრეფიკირებული ბავშვების უფლებების დაცვას და განათლებას;
- ორმხრივი შეთანხმებები საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც იმყოფებიან ქართველი ტრეფიკირებული პირები და სადაც მიემგზავრებიან საქართველოს გავლით უცხოელი ტრეფიკირებული პირები;
- სხვა მნიშვნელოვანი ინსტრუქციები.

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა არ მოქმედებს ან იგი არ ეთანხმება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, უნდა შემუშავდეს კანონმდებლობის შეცვლის სტრატეგია და მოხდეს შესაბამისი ცვლილებები ეროვნული რეფერალური მექანიზმების სისტემაში.

6.3.1 **საქართველოში ტრეფიკინგის აღკვეთის ღონისძიებები:**

ურთიერთთანამშრომელ უწყებათა შორის უნდა არსებობდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც დაარეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა გარკვეული ორგანიზაციების მოვალეობების კომპეტენციების და პასუხისმგებლობების განაწილება;

- სტანდარტული ოპერაციული პროცედურები სისტემის ყველა ელემენტისათვის (იდენტიფიკაცია, დახმარება და რეინტეგრაცია) და მონაწილე ორგანიზაციისათვის (თავშესაფრები, პირველადი დახმარების ადგილები, ნახევრად-თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები);
- დახმარების პროცესში მონაწილე ადამიანების კომპეტენცია (პროფესიონალები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებით, თავშესაფრების თანამშრომლები, საკოორდინაციო ჯგუფის წევრები და ა.შ)

- ტრეფიკირებულ ადამიანებთან მოქცევის მინიმალური სტანდარტული წესები;
- სტანდარტირებული საიდენტიფიკაციო კითხვარები, პროცედურები და წესები რეფერალისტის;
- პროცედურები მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, მონაცემთა დასაცავად და ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად;
- ეროვნული რეფერალური მექანიზმების მონიტორინგისა და შეფასების წესები;
- UNICEF-ის წესდებებზე დაყრდნობით აგებული ბაეშეთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სტანდარტები და პროცედურები;
- წესები საკოორდინაციო ჯგუფის (ეროვნული უშიშროების საბჭო) ფუნქციონირების, კომპეტენციების და პასუხისმგებლობებისათვის.

ამ თავის დასაწყისში მოცემულია ანტი-ტრეფიკინგული სამუშაოების და ეროვნული რეფერალური მექანიზმების შექმნის ძირითადი პრინციპების მონახაზები. ისინი მოიცავენ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების, დახმარების პროცესში ზიანის არ მიყენების, საკუთრების უფლების და უსაფრთხოების პრინციპების გამოყენებას ყველა მონაწილე ადამიანისათვის.

გარდა ამისა, ეროვნული რეფერალური მექანიზმების სისტემა აგებული უნდა იყოს ყველა მონაწილე ორგანიზაციის ურთიერთთანამშრომლობის წესებსა და სტანდარტებზე. ეს სტანდარტები უნდა მოიცავდნენ ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას, კომპეტენციებისა და ვალდებულებების მკაცრ განაწილებას, ორგანიზაციების თანამშრომლობის გარკვეულ წესებს, ინფორმაციის გაცელასა და კონფიდენციალობას და მონაცემთა დაცვას³¹.

6.4 ნახაზთან ჰრფონხაზი

სხვა ქვეყნების გამოცდილება ხშირად გეიჩვენებს, რომ ხშირად არის დაძაბულობა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ერთად მუშაობენ ეროვნული რეფერალური მექანიზმების სისტემაში. სამთავრობო დაწესებულებებს, სამთავრობათშორისო სააგენტოებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს ხშირად სხვადასხვა ინტერესები, პოზიციები და მიზნები აქვთ. მაგალითად, მაშინ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები უპირველეს ყოვლისა, ფოკუსირებას ახდენენ ტრეფიკერების დაკავებაზე, ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს მსხვერპლთა დაცვა და მათთვის დახმარების აღმოჩენა.

იდენტიფიცირების სფეროში ინტერსთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- განსხვავებულდეს ფინანსთა სამინისტროს, ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, დასაქმებისა და სამართალდამცავი ორგანოების (პოლიცია და სასაზღვრო პოლიცია) მიდგომა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების და იდენტიფიცირების ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებით;

³¹ მოიცავს ინფორმაციის გაცელას და საერთაშორისო სააგენტოებს შორის კოოპერაციას, რათა თავიდან იქნას აცილებული პროექტების დუბლირება და მოხდეს თანხების ეფექტურს გამოყენება.

- განსხვავებულობა არასამთავრობო ორგანიზაციების და სამართალდამცავი უწყებების დამოკიდებულება ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის, დაცვის მეთოდებისა და პასუხისმგებლობებისადმი (მტკიცებულებების მოგროვება, ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მსხვერპლთა და სამართალდამცავი უწყებათა შორის ურთიერთთანამშრომლობა). მაშინ, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ყველანაირად დაიცვან დასარაღებულ, სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ისეთი მტკივნეული პროცესებისაგან, როგორცაა პოლიციისათვის ჩვენების მიცემა, პოლიციის თანამშრომლები დაინტერესებულნი არიან მხოლოდ ტრეფიკერების დასაკავებლად სამიხილების მოგროვებით. პოლიციისათვის ინფორმაციის მიწოდებით მსხვერპლი ხშირად სახიფათო მდგომარეობაში აყენებს როგორც საკუთარ თავს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს;

განსხვავებულობა სახელმწიფოებრივ უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა მიდგომა იმ საკითხებისადმი, როგორცაა: გადაწყვეტილებების მიღება იდენტიფიცირების პროცედურების დროს და გარკვეული წესების ჩამოყალიბება რეფერალური და დახმარების სისტემებში. საკმაოდ ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ იმის მცდელობა, რომ ადამიანები აღიარონ ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლად და მათთვის მოთხოვონ ისეთივე დაცვა და მოპყრობა, როგორც ეკუთვნით ტრეფიკინგით რეალურად დასარაღებულ პირებს. მაშინ, როდესაც მთავრობა გარკვეული მიზეზების გამო (პოლიტიკური კონტექსტი, საერთაშორისო ასრი, ხარჯები, ადმინისტრაციული მიზეზები) ცდილობს შეამციროს მსხვერპლთა რაოდენობა და შესუღლოს იდენტიფიცირებულთა და დახმარებულთა რიცხვი, არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ორიენტირებულნი არიან დასარაღებულთა კეთილდღეობაზე და მათი საკუთრების უზრუნველყოფაზე, განურჩევლად მათი სტატუსისა თუ დამხმარე უწყების შესაძლებლობისა. არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ყველა იმ ადამიანის მსხვერპლად იდენტიფიცირებას, რომელსაც მიესადაგება ტრეფიკირებული პირის ფართო განსაზღვრება.

- აგრეთვე იქმნება გარკვეული პრობლემები სხვადასხვა უწყებებს შორის - სახელმწიფო დაწესებულებებს, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ ვის რა როლი აკისრია ამ პროცესში. პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების მკაცრი განაწილების, მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების პროცედურების არასრულყოფილება იწვევს გაურკვევლობას და მეტოქეობის სურვილს მონაწილეთა შორის. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია იმ გზით, თუ მოხდება ყველა უწყების მიერ შეთანხმებული წესების ჩამოყალიბება იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, და გარკვეული რეფერალური პროცესისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩამოყალიბება.

დახმარების სფეროში ინტერსთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

